

**„სამოქალაქო მონიტორინგისა და კარგი მმართველობის შეფასება:
მეთოდოლოგია და საშუალებები“**

დემოკრატიული ტრანზიციის საერთაშორისო ცენტრისა და სამოქალაქო
საზოგადოების განვითარების ფონდის მიერ

სარჩვი

რეზიუმე	3
თავი 1: კარგი მმართველობის არსი და მნიშვნელობა	4
1. განმარტება.....	4
2. მაჩვენებლები	7
3. რატომ არის მნიშვნელოვანი კარგი მმართველობის შემოწმება?	10
თავი 2: როგორ გამოყენება გაზომვის სისტემა?.....	13
1. რას გვეუბნებიან მონაცემები?	13
2. მონაცემთა შეზღუდვები.....	16
3. კარგი მმართველობის მონიტორინგისას CSO-ების როლი	18
თავი 3: მეთოდოლოგია და პრაქტიკა	21
1. კვლევის პროცესი.....	21
2. კარგი მმართველობის შეფასება	28
თავი 4: კარგი მმართველობის შემოწმება პრაქტიკაში.....	28
თავი 5: კარგი მმართველობის პრაქტიკაში გაზომვის მოდელები	32
თავი 6: V4 ქვეყნების გამოცდილება „კარგ“ მმართველობასთან დაკავშირებით	45
შესასწავლი ქეისი: კარგი მმართველობა ჩეხეთის რესპუბლიკაში.....	46
1. გამოყენების სფერო და შეზღუდვები.....	46
2. ისტორია.....	46
3. 2013 წლის პოლიტიკური სკანდალი ჩეხეთის რესპუბლიკაში.....	52
4. მმართველობა ჩეხეთის რესპუბლიკაში	53
5. კარგი მმართველობის მაჩვენებლები ჩეხეთის რესპუბლიკაში	56
6. სახელმწიფოს რეკონსტრუქცია	59
შესასწავლი ქეისი: კარგი მმართველობა უნგრეთში	63
1. მმართველობის ზოგადი მიმოხილვა	63
2. კარგი მმართველობის მაჩვენებლები უნგრეთში.....	64
3. 2014 წლის „კონფლიქტი“ უნგრულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ფიდეჟის მთავრობას შორის	68
შესასწავლი ქეისი: კარგი მმართველობა სლოვაკეთის რესპუბლიკაში.....	71
1. მმართველობის მიმოხილვა	71
2. პროექტები სლოვაკეთში.....	73
3. სლოვაკეთის მთავრობა.....	77
ბიბლიოგრაფია	78

რეზიუმე

სათაური - აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორ ქვეყნებში კარგი მმართველობის აღმშენებლობა - გვიჩვენებს, რომ ეს მკვლევარი ცდილობს მრავალ-დონიანი განვითარების პროექტებში უფრო ინფორმირებული გახადოს ხალხი „კარგი“ მმართველობის პრაქტიკების მნიშვნელოვნობაზე. დემოკრატიული პრაქტიკებისა და რეგიონალური თანამშრომლობის გადრმავეების მიზნით საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკაში არსებული ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSOs) მოწადინებულები არიან რომ გაეცნონ „კარგი“ მართველობის კონცეფციას. როგორც თვითონ გადახედეს, საკუთარი „კარგი“ მმართველობის მოქმედებების მონიტორინგის გამოცდილება არ არის დიდი. ამ მკვლევარის მიზანია ნათელი და მიუკერძოებელი ინფორმაციის შემუშავება, რომელიც იქნება პოლიტიკის სხვადასხვა დონეებზე „მმართველობის“ შეფასებისა და მონიტორინგისათვის საჭირო და ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების შეზღუდვებისა და უპირატესობების შესახებ. ეს დაემატება დანარჩენ ორ მკვლევარს, ერთი რომელიც იყო მტკიცებულებაზე-დაყრდნობის ადვოკატურაზე და მეორე კანონის უზენაესობის შესახებ. აქედან გამომდინარე, ვისგარდის ფონდის მხარდაჭერით ICDDT-ს და CSDF-ს განზრახული აქვთ რომ გამოიყენონ დამოკრატული ცვლილების პროცესების საკითხებში საკუთარი და ასევე სხვა V4 ქვეყნების (პოლონეთი და სლოვაკეთი) გამოცდილება, რათა გააძლიერონ ადგილობრივი ორგანიზაციების შესაძლებლობები, რომლებიც შემდგომ შემდგომ წარუძღვენ საკუთარი ტრანსფორმირების პროცესებს დაინტერესებული მხარეების დახმარებით, საკუთარი რესურსების განვითარებითა და რეგიონალური პარტნიორობით.

აღნიშნული მკვლევარი გამოყენებულ იქნება როგორც საფუძვლელი ტრენინგებისა და კონფერენციების ორგანიზებისათვის, რათა ვუზრუნველყოთ რომ CSOs წევრები მიხვდებიან თავიანთ როლს „კარგი“ მმართველობის პრაქტიკების განვითარებასა და კონსოლიდაციაში. ამ პროექტში მონაწილეობისას მიღებულ უნარებსა და გამოცდილებას ორგანიზაციები გამოიყენებენ ეროვნული და რეგიონალური შესაძლებლობების განვითარებისათვის საჭირო სამოქმედო გეგმების შესაქმნელად.

აღნიშნულ მკვლევარში წარმოდგენილი აზრები და განცხადებები აუცილებლად არ წარმოადგენს ICDDT-სა და CSDF შეხედულებებს და არის დამოწმებული წყაროებიდან. ისინი მხოლოდ ემსახურებიან მკვლევარში წარმოდგენილი თეორიის ილუსტრაციას.

თავი 1: კარგი მმართველობის არსი და მნიშვნელობა

იმისათვის რათა ადგილობრივ მთავრობებში განპირობებული იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის დემოკრატიულობა უმნიშვნელოვანიესია მათი წესებისა და საქმისწარმოების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნული პროექტის ეფექტურად განხორციელებისათვის ყველა მასში ჩართულ პიროვნებას ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს „კარგი მმართველობის“ კონცეპციის მთავარი ასპექტების შესახებ. ეს თავი, მაშასადამე, ჩამოაყალიბებს თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ნათლად აჩვენებს თუ რა უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების მიერ ჩატარებული აქტივობების ბუნება და მიზნები.

1. განმარტება

„მმართველობა წარმოადგენს იმ გზას, რის მიხედვითაც საზოგადოება აწყობს და მართავს კანონმდებლობის მიღებისა და მისი იმპლემენტაციისათვის საჭირო წესებს“ (UNDESA, 2007: 1). იგი განაპირობებს ფასეულობებს, კანონმდებლობებსა და ინსტიტუტებს, რომელთა მეშვეობით საზოგადოება, სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის დახმარებით ახერხებს განავითაროს საკუთარ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ შესაძლებლობებს. მმართველობა ასევე შეიძლება გავიგოთ, როგორც „ის ტრადიციები და ინსტიტუტები რომელთა მეშვეობითაც ხდება ხელისუფლების ძალაუფლების გამოყენება“ (Kaufmann, Kraay and Mastruzzi, 2010). იგი უკავშირდება იმ გზას, რის მიხედვითაც საზოგადოება ახდენს საკუთარი თავის ორგანიზებას, რათა მიაღწიონ შეთანხმებებსა და დადონ ხელშეკრულებები, შემდგომ კი მოახდინონ ამ გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია (UNDP, 2007: 7). ეს არის მთავარი წინაპირობა ეფექტური კანონმდებლობის მიღებისა, რადგანაც იგი მოითხოვს უფრო დიდ პრინციპების დემოკრატიზაციას, პოპულარულ ჩართულობას (მონაწილეობის მიღებას) და ადამინთა უფლებების დაცვას (Thomas, 2010).

კერძოდ ევროკავშირმა დაარსა პოლიტიკაში ახლო კავშირი კარგად განვითარებული მმართველობის სისტემასა და ძლიერი ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის შორის (European Commission, 2003). მაშასადამე, CSOs მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ქვეყნებს შორის კონსტრუქციული დიალოგის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის გაძლიერება, რათა მოხდეს ინკლუსიური პროგრესი და ეფექტური განვითარება. გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტს (UNDESA) მიაჩნია, რომ მმართველობა მაშინ არის კარგი „როდესაც იგი ანაწილებს და მართავს რესურსებს ისე რომ გადაჭრას კოლექტიური პრობლემები, სხვანაირად რომ ვთქვათ, როდესაც სახელმწიფო ეფექტურად ამარაგებს საკუთარ მოქალაქეებს მაღალი ხარისხის საზოგადოების არსებობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და ზოგადი განვითარებისათვის საჭირო ელემენტები“ (2007: 4) გარდა ამისა, ყველა ჯგუფს - განსაკუთრებით კი ყველაზე მგრძობიარეებს - უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა რომ მონაწილეობა მიიღოს პროცესში. მმართველობის ეფექტური სისტემა უნდა ემსახუროს მოსახლეობებს საჭიროებებს და ამავდროულად უნდა დააბალანსოს მეტოქე ინტერესები შესაფერისი და რეაგირებადი მზით. მაშასადამე, ყველაზე ძალიან მმართველ ორგანოზეა დამოკიდებული ადეკვატური საზოგადოებრივი სიკეთის დაკმაყოფილება.

მმართველობა ძალიან ვრცელი კონცეფციაა და იგი ოპერირებს სხვადასხვა დონეებზე - როგორცაა სოფელი, ქალაქი, ერი ან რეგიონი - და მოიცავს სხვადასხვა ქმედების სუბიექტებს. მიუხედავად ამისა, არ არსებობს კარგი მმართველობის შეთანხმებული და უნივერსალური განსაზღვრება და არც მისი სხვადასხვა დონეებზე კონცეპტუალიზაცია. მაშასადამე, მისი სხვაგვარად ინტერპრეტაცია რისკს წარმოადგენს, გააჩნია რას ზომავენ რა დონეზე და ვინ ზომავს. (UNDP, 2007: 2). სხვადასხვა სააგენტოებმა შეიძლება კონცეფცია სხვადასხვანაირად გამოიყენონ, რაც დამოკიდებულია პროგრამის მიზანზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა სააგენტო თავისებურად განსაზღვრავს კარგ მმართველობას, რათა უზრუნველყონ მათ მიერ მათი ყველა აქტივობის დაფარვა. მსოფლიო ბანკი, მაგალითად, იყენებს მმართველობას, რომელიც მიესადაგება მთელ რიგ ინსტიტუციურ რეფორმებს, რომლებსაც მხარს უჭერს საკუთარი სხვადასხვა დეპარტამენტი. UNDP (გაეროს განვითარების პროგრამა), მსგავსად, მმართველობას უყურებს პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმების თვალსაზრისით (Hyden, Court and Mease, 2003: 1).

მაშასადამე, აღნიშნული გზამკვლევი იძლევა რიგ ინსტრუმენტებს, რათა CSO-ებმა მოახდინონ მმართველობის პრაქტიკების ზუსტი მონიტორინგი და შეფასება. კონცეფციის მომხმარებლები მონაცემთა გამოყენებისას უნდა შეეცადონ საერთო ჩარჩოების შეთანხმებას. კერძოდ, კვლევისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ზომებისა და ტერმინოლოგიის გამოყენებას. საჭიროა რომ პირველი რიგში მონაწილეებმა განსაზღვრონ მოქმედებების მამუტაბურობა და შემცველობა, ასევე უნდა გაეცნონ მოსალოდნელ შედეგებს. მაგალითად, გამოსადეგი შეიძლება აღმოჩნდეს მკვლევარებზე შეთანხმება, რათა მოხდეს მმართველობის ინდიკატორების ბრთხილი გამოყენება და ინტერპრეტაცია. კერძოდ, ძალიან მნიშვნელოვანია რომ მოხდეს აღნიშნული ინდიკატორების გამჭვირვალე, შეფასებული, კრიტიკულად განხილული და შედარებითად გამოკვლეული მოწოდება. აღნიშნული მაჩვენებლები უნდა იყოს საკმარისად გასაგები, რათა დაეხმაროს ყველა მონაწილეს პოლიტიკური პროცესების გაგებაში, პროცესებისა, რომლებიც არიან კარგი მმართველობის მამომრავებელი ძალა (Williams, 2011). ორგანიზაციები არ წარმოადგენენ, სახელმწიფოს მიერ მოწოდებული საზოგადოებრივი სიკეთის ხარისხისა და ოდენობის მონიტორინგითა და შეფასებით, ერთადერთ დაინტერესებულ პირებს; დონორები, კერძო ინტერესთა ჯგუფები და აკადემიური მკვლევარებიც ასევე შედიან დაინტერესებულთა რიგებში. ორივეს, დონორებსაც და რეფორმისტებსაც, სჭირდებათ ამჟამინდელი მმართველობის დონის ნათელი შეფასება, მანამდე სანამ შეაფასებენ კანონმდებლობების გავლენასა და დაარსებენ სამომავლო განვითარების პროექტებს (UNDESA, 2007). ეს არის გადამწყვეტი ფაქტორი დაფინანსებისა და სხვა რესურსების გადანაწილებისათვის. შესაბამისად, „კარგი“ მმართველობის ნებისმიერ დონეზე გაძლიერებამ დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს განსხვავებული პოლიტიკური მხარეებს შორის ურთიერთობაზე.

განმარტება	“გზა, რომლითაც საზოგადოება ამყარებს და მართავს წესებს, რომლის მიხედვითაც ხდება პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაცია” (UNDESA, 2007: 1).
შეფასება	„კარგი“ მაშინაა როდესაც იგი „ანაწილებს და მართავს რესურსებს, რომლებიც მიესადაგება კოლექტიურ პრობლემებს, სხვანაირად რომ

	ვთქვათ, როდესაც სახელმწიფო ეფექტურად ამარაგებს საკუთარ მოქალაქეებს ხარისხიანი საზოგადოებრივი სიკეთებით” (UNDESA, 2007: 4)
მიზნები	ორივეს, დონორებსაც და რეფორმისტებსაც, სჭირდებათ ამჟამინდელი მმართველობის დონის ნათელი შეფასება, მანამდე სანამ შეაფასებენ კანონმდებლობების გავლენასა და დაარსებენ სამომავლო განვითარების პროექტებს (UNDESA, 2007).
რისკები	იგი შედეგადად სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფენომენებისაგან, რომლებიც განვითარდა საზოგადოების სხვადასხვა დონეებზე. მაშასადამე, არ არსებობს კარგი მმართველობის უნვერსალური განმარტება, ისევე როგორც მისი სხვადასხვა დონეზე კონცეფტუალიზაცია.
მონიტორინგი	ჩარჩო მოქმედებებისა უნდა განისზღვროს ნებისმიერი მონაცემების გამოყენებამდე. მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგები რპოექტისა უნდა იყოს ნათელი დასაწყისიდანვე. კარგი მმართველობა გრძელვადიანი პროცესია, რომელიც შედეგადად სხვადასხვა საფეხურებისაგან (გაწეული სამუშაო, პროცესი და შედეგი). ამ ყველა საფეხურის განმავლობაში მმართველობის სხვადასხვა ასპექტი შეიძლება ამოქმედდეს სხვადასხვა საფეხურზე. შეიძლება უკეთესი იყოს „კარგი“ მმართველობის თითოეულ ეტაპსა ან ასპექტზე რიგრიგობით კონცენტრაცია.

ცხრილი: 1 - მმართველობის პრინციპების ეფექტური შეფასებისათვის საჭირო ნაბიჯები

2. მაჩვენებლები

მმართველობის მაჩვენებლები წარმოადგენენ ზომებს, რომლებიც სახელმწიფო მმართველობის მხოლოდ ერთ ასპექტზე კონცენტრირდება. საგანმავითარებლო პროექტში, კერძოდ, აღნიშნული მაჩვენებლები გამოიყენება მმართველობის

პროგრამების და ქვეყნის პროექტების მონიტორინგისა და შეფასებისათვის (UNDP, 2007). მაგალითად, ევროკომისია იყენებს ამ მაჩვენებლებს საკუთარი მმართველობის სტანდარტების დასამყარებლად. იმისათვის რომ მსოფლიო ბანკს დაეკმაყოფილებინა მთავრობების ხარისხიანობის შეფასებისათვის საჭირო საშუალებების მზრდადი მოთხოვნა, ისინი შეეცადნენ შეექმნათ მმართველობის გასაზომი მაჩვენებლები. მსოფლიო მმართველობის მაჩვენებლები (WGI) ქვეყნებს „კარგი მმართველობის“ სიაში 6 ასპექტის მიხედვით ამწვრივებს.

აღნიშნული მაჩვენებლებს შემდეგი სახით ახსნა შეიძლება: 1) მოქალაქეთა მთავრობის აღჩევაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, 2) მთავრობის ძალადობით დესტაბილიზაციის შესაძლებლობა, 3) საჯარო სერვისის ხარისხი, 4) მთავრობის მიერ ხმის პოლიტიკის ფორმულირების უნარი, 5) ძალოვანი სტრუქტურების ხარისხი, 6) კორუფციის აღქმა. აღნიშნული მაჩვენებლები არ ფორმულირდება ყოველწლიურად და მსოფლიო ბანკმა თვითონ გადაწყვიტა რომ არ გამოეყენებინა ისინი მუშაობის მსვლელობისას. თუმცა, ზოგიერთი დონორი, ინვესტორი და რისკის შემფასებელი სააგენტოები საკუთარ კვლევებს მათზე დაყრდნობით აწარმოებენ (Thomas, 2010). ისინი სასარგებლო საფუძველს წარმოქმნიან წინასწარმეტყველებისას, იმაზე თუ როგორ გავლენას იქონიებს გარკვეულ რეგიონში ამჟამინდელი მმართველობის ხარისხის დონე მომავალი პოლიტიკის შემუშავებისას და გადაწყვეტილების მიღებისას. კაუფმანის, კრეისა და მასტრუცის (2010) კვლევებიდან გამომდინარე ქვევით არის წარმოდგენილი „კარგი“ მმართველობის ექვსი მაჩვენებლების გმოკლე ანმარტებების სია:

ხმა და ანგარიშვალდებულება (VA): აღქმა იმისა თუ რამდენად შეუძლიათ ქვეყნის მოქალაქეებს საკუთარი მთავრობის არჩევაში მონაწილეობის მიღება, ისევე როგორც გამოხატვის თავისუფლება, ასოცირების თავისუფლება და თავისუფალი მედია.

პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის არ არსებობა (PV): აღქმა იმისა თუ რამდენად არის შესაძლებელი მთავრობის დესტაბილიზაცია ან გადაყენება არაკონსტიტუციური და ძალადობის გზებით, ტერორიზმისა და პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის ჩათვლით.

მთავრობის ეფექტურობა (GE): საზოგადოებრივი სერვისების ხარისხის, მისი ხარისხისა და პოლიტიკური ზეწოლისაგან თავისუფლების დონის, პოლიტიკის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის, მთავრობის ამგვარი პოლიტიკისადმე სანდომიანობის აღქმა.

მარეგულირებელი ხარისხი (RO): მთავრობის მიერ ხმის პოლიტიკისა და კერძო სექტორის განვითარებისათვის საჭირო რეგულაციების ფორმულირებისა და იმპლემენტაციის შესაძლებლობის აღქმა.

კანონის უზენაესობა (RL): აღქმა იმისა თუ რამდენად გააჩნიათ აგენტებს ნდობა და რამდენად ემორჩილებიან საზოგადოების წესებს, კერძოდ კი ხელშეკრულების აღსრულების ხარისხი, საკუთრების უფლება, პოლიცია და სასამართლო და ასევე დანაშაულისა და ძალადობის შესაძლებლობის დონე.

კორუფციის კონტროლი (CC): აღქმა იმისა თუ რამდენად შესაძლებელია საზოგადო ძალაუფლების კერძო მოგების სასარგებლოდ გამოყენება, კორუფციისა და ელიტებისა და კერძო ინტერესების მიერ სახელმწიფოს მართვის ჩათვლით.

კაუფმანის მიხედვით (2010), WGI-ს გააჩნია სამი უპირატესობა: პირველი რიგში, იგი ინახავს ხელთარსებული მონაცემებიდან ინფორმაციების ნაწილს. მეორე, მისი მონაცემებზე ორიენტირებული საზომი ტექნიკა საბოლოო მაჩვენებლებს დასძენს სიზუსტეს. მესამე, იგი ხაზს უსვამს აგრეგირებულ მაჩვენებლებს მმართველობასთან დაკავშირებულ გაურვევლობას და აღნიშნავს, რომ მმართველობის დაკვირვება რთულია და რომ ჩვენ მხოლოდ არასრულყოფილი მონაცემების დაკვირვება შეგიძლია. შესაბამისად, WGI წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებებსა და საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენის ეფექტურ ინსტრუმენტს, რათა მათ მხარი დაუჭირონ „კარგი“ მმართველობის პრინციპებს. მკითხველებმა უნდა მიმართონ მტკიცებებზე დაფუძნებული ადვოკატირებაზე არსებულ სახელმძღვანელოებს, რათა სრულად გაიგონ თუ რამდენად მნიშვნელოვანია, როდესაც არსებობს ძლიერი მტკიცებულება საკუთარი განაცხადის გასამყარებლად. არა მხოლოდ არ არსებობს „კარგი“ მმართველობის საერთო განსაზღვრება, არამედ ასევე ძალიან ძნელია მისი გაზომვაც, რადგანაც რთულია მასზე დაკვირვება. მაშასადამე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კარგად განსაზღვრულ მანიშნებლებზე დაყრდნობა, რათა განპირობებულ იქნას ჩვენი მოქმედებების

საიმედოობა და კანონიერება. WGI-ს შემქმნელებმა შემდეგნაირი განსაზღვრება გამოიყენეს: „ტრადიციები და ინსტიტუტები, რის მიხედვითაც ხდება ქვეყანაში ძალაუფლების გამოყენება. ეს მოიცავს ა) პროცესებს, რომელთა მიხედვითაც ხდება მთავრობის არჩევა, მონიტორინგი და შეცვლა; ბ) მთავრობის უნარი, რომ ეფექტურად მოახდინოს ხმის პოლიტიკის ფორმულირება და იმპლემენტაცია; და გ) მოქალაქეებისა და სახელმწიფოს მიერ იმ ინსტიტუტების პატივისცემა, რომლებიც განაგებენ მათ შორის ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობას“ (Kaufman et al., 2010).

ერთერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს სხვადასხვა მმართველობის დონეებზე აღნიშნული მაჩვენებლები უნივერსალურად შეთანმებული კონცეფტუალიზაცია. ისინი ზოგჯერ რისკის ქვეშ არიან, რომ მათ სხვადასხვანაირად გაიგებენ, რაც დამოკიდებულია იმაზე თუ რა ზომები იქნა მიღებული, რა დონეზე და ვის მიერ (UNDP, 2007). ამიტომაც; მონაცემთა გამოყენებისას ჩვენ იგი გარკვეულ ჩარჩოში უნდა ჩავსვათ. მაგალითად, UNDP-ს სახელმძღვანელოებიდან გამომდინარე, ეს სახელმძღვანელო მომხმარებლებს ურჩევს, რომ გაყონ საკუთარი ანალიზები სამ ნაწილად: შენატანი, პროცესი და შედეგი. პირველ კატეგორიაში, ჩვენ უნდა გავანალიზოთ კარგი მმართველობის შენარჩუნებისათვის ჩვენ მთავრობის მიერ დადებული დაპირებები. მაგალითად, ეროვნული კონსტიტუციისა და ხელშეკრულებების საშუალებით. მეორე კატეგორიას წარმოადგენს აღნიშნული მხარეების მიერ განხორციელებული მოქმედებების დონე, რათა მოეხდინათ საკუთარი პასუხისმგებლობების შესრულება (მაგალითად: შესაბამისი ინსტიტუტების შექმნა). და ბოლოს, მესამე კატეგორიაში, ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას თუ რა დონეზე იღებს სარგებელს მოსახლეობა მათი მოქმედებების შედეგად.

3. რატომ არის მნიშვნელოვანი კარგი მმართველობის შემოწმება?

უმეტესად გლობალური მმართველობის შემფასებლება ეყრდნობიან სტანდარტიზირებულ ადმინისტრაციის პრინციპებს, რომლებიც საჭიროა ეფექტური საჯარო ადმინისტრაციის განვითარებისათვის. როგორც უკვე ვახსენეთ ზევით, „კარგი“ მმართველობა წარმოადგენს ფუნდამენტალურ საფუძველს შემდგომი დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბებისათვის. პრაქტიკაში დებატები უმეტესად ტრიალებს დემოკრატიული ელემენტების გაძლიერებასა და გადაწყვეტილების მიღებისას უფრო

დიდი სამოქალაქო ჩართულობის გარშემო, ასევე მთავრობის მიერ ადგილობრივი საზოგადოებრივი სერვისების მომარაგების შესაძლებლობასთან დაკავშირებითაც. (Matejova, 2014: 75). მაშასადამე, კარგი მმართველობის მაჩვენებლების ქონა მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი ექსპერტებს, მთავრობებს, დონორ სააგენტოებს, სამოქალაქო საზოგადოებას სხვა ერთეულებთან ერთად საშუალებას აძლევს:

- მიჰყვეს ქვეყანაში საერთო ტენდენციებს, ამოიცნოს ქვეყნის სტრატეგიისათვის ფართო პრიორიტეტები
- გამოიყენოს მაჩვენებლები, რათა პროგრამული დიზაინი გახადოს ინფორმირებული
- აწარმოოს პროგრამული შესრულების მონიტორინგი
- მთავრობათა შემსრულებლობის მიხედვით მოახდინოს ქვეყნებში დახმარების გადანაწილება (არჩევითობა)
- გამოიყენოს აღნიშნული მაჩვენებლები დონორთა ანგარიშვალდებულებებისთვის, შედეგების მართვა და გადასახადების მოთამაშეთათვის ფულის ფასის დემონსტრაცია
- პოლიტიკის დიალოგზე მოახდინოს მთავრობის ინფორმირება

ზემოხსენებული პუნქტები მყარად ეყრდნობა მთავრობის მიერ მოქალაქეთა მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას (Williams, 2011). UNDESA ხაზს უსვავს სამ პოლიტიკურ განზომილებას, კერძოდ კი, მათ რომლებიც მმართველობის დონეზე არიან დამოკიდებული: ეფექტურობა, გამჭვირვალობა და მონაწილეობა (2007). ქვევით შეგიძიათ ნახოთ თუ როგორ არიან ისინი დაკავშირებული „კარგი“ მმართველობის მაჩვენებლებთან.

ეფექტურობა

მთავრობის მიერ პოლიტიკური და ინსტიტუციური გარემოს პროგნოზირების შესწავლად

ეკონომიკურად ეფექტური წარმოების სისტემა

სამართლიანი და შეთავსებადი სასამართლო სისტემა

მთავრობისათვის იმ სერვისების მიწოდება, რომლებიც აკმაყოფილებს მოქალაქეთა მოთხოვნებს

ი ანუ.: უსაფრთხოება, ჯანდაცვა და განათლება

გამჭვირვალობა

ინფორმაციის სიციხადე/სიზუსტე

სანგარისვალდებულება

მონაწილეობა

პართული სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ელემენტები

კანონმდებლობები ვიდრე გაზრდილი თავისუფლება და სიმრავლე მედიას

ცხრილი 2. 2 - 3 მთავარი განზომილებები

მაგალითად, გაერო-ს მიაჩნდა, რომ „კარგი“ მმართველობა არის მილენიუმის განვითარების მიზნების პროექტის ძირითადი კომპონენტი, პროექტის რომელიც წარმოადგენდა ეფექტურ იარაღს სიღარიბესთან, უთანასწორობასთან და სხვა უარყოფით მხარეებთან საბრძოლველად. აღსანიშნავია, რომ ზოგი მიუთითებდა ძლიერი შეფარდებისაკენ, მთელ რიგ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალსა და მმართველობის ხარისხს შორის. როგორც ჩანს შემოსავლის დონესა და მმართველობის ხარისხს შორის ორმხრივი ურთიერთობაა. მთელ რიგ ფაქტორებს დადებითი გავლენა ჰქონდა ერთდროულად შემოსავალსა და მმართველობაზე. ამის საპირისპიროდ კი, ელიტები ხვდებიან რომ ისინი სარგებელს იღებენ მმართველობის ნაკლებობით და მათ შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიონ ნებისმიერი ცვლილებისადმი მოთხოვნას; მაშასადამე, უარყოფითად მოახდინონ გავლენა კანონსა და კანონმდებლობებზე. ამგვარ „დამპყრობლურ“ სცენარში, აღარ ექნება მნიშვნელობა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მაღალ დონეს და ეს ვეღარ აისახება უკეთეს მმართველობაში. ამიტომ არის

მნიშვნელოვანი მაჩვენებლესა და მოსალოდნელ შედეგებს შრის ურთიერთობის აღმოჩენა, მანამდე სანამ რიგი ზომებისა იქნება შეგროვებული დათვლადი საშუალებებიდან, პროცესებიდან და ნაწარმოები მასალებიდან (UNDESA, 2007).

თავი 2: როგორ გამოყენება გაზომვის სისტემა?

ამ თავში განხილული იქნება ის მექანიზმები, რომლებსაც იყენებენ ორგანიზაციები, რათა აწარმოონ კარგი მმართველობის პრინციპების მონიტორინგი. ამისათვის, პირველ ნაწილში განხილული იქნება მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის სახეობები და ასევე თუ როგორ შეუიძლება ისინი რომ გამოგვადგეს ქვეყანაში პოლიტიკური სისტემის გასაუმჯობესებლად. თუმცა, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ამ კვლევების პოტენციური შეზღუდვები, რომლებიც უმეტესად დაკავშირებულია მონაცემთა სუბიექტურობაზე. ბოლო თავი კი გაგვაცნობს თუ როგორ თამაშობს CSOs გადამწყვეტ როლს რაოდენობრივ და ხარისხობრივ რესურსებთან დაკავშირებით. ამ თავის მიზანია რომ მომხმარებელს მიაწოდოს ადეკვატური ცოდნა, რათა მათ შემდგომ შემონ რიგი მოხსენებების განვითარება, რომლებიც იქნება შედგენელი მათვე მიერ ჩატარებული გამოკითხვებზე დაყრდნობით.

1. რას გვეუბნებიან მონაცემები?

მსოფლიო მმართველობის მაჩვენებელი (WGI) წარმოადგენს ყველაზე „ამბიციურ და ყოვლისმომცველ“ მცდელობას კავი მმართველობის შესამოწმებლად და გასაზომად (Hyden, Court and Mease, 2003:3). ამ გასაზომი სისტემის მიხედვით, მმართველობის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ ართმევენ მონაწილე ერთეულები თავს იმ კანონებსა და ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ თითოეული პოლიტიკური პროცესის სცენას. მსოფლიო ბანკის თანახმად, მმართველობა წარმოადგენს „იმ ვადებსა და პირობებს რის მიხედვითაც პოლიტიკა და კანონმდებლობა იქმნება და ხდება მათი იმპლემენტაცია“ (Hyden, Court and Mease, 2003: 5). მაშასადამე, WGI-ს მთავარი მიზანია რომ დაეხმაროს კანონმდებლებს და ნჯო-ების წარმომადგენლებს მმართველობასა და განვითარებას შორის არსებული კავშირის დანახვასა და გააზრებაში. ამისათვის, იგი განაპირობებს ახალი სისტემური და მნიშვნელოვანი მონაცემთა წარმოებას, რომელიც გაზრდის ადგილობრივი მონაწილეების მიერ მმართველობის მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობას. მთავარი განსხვავება ამ პროექტსა და სხვა მმართველობაზე

არსებულ კვლევებს შორის არის ის რომ ჩვენხელთარსებული პროექტი კონცენტრირდება ახალ და ძირითად მონაცემებზე, რომელიც მოიპოვება ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებისა და ექსპერტების მოხსენებების შედეგად.

მართლაც რომ მონაცემები, რომელიც განსაზღვრულია ამ ექვსი მაჩვენებლის მიერ აღქმაზეა დაფუძნებული. 2010 წელს, მონაცემები შეგროვებული იყო 31 სხვადასხვა წყაროს მიერ, რაც WGI-ს აქცევს კომპოზიტურ მაჩვენებლად, რომელიც შექმნილია დიდი რაოდენობით დაანგარიშებული მონაცემებისაგან. ყოველ წელს გამოყენებული წყაროები ოდნავ იცვლება. წყაროები უმეტესად შედგება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სააგენტოების მიერ ჩატარებული გამოკითხვებისაგან; ქვეყნის ანალიზებისაგან, რომლებიც ჩატარებულია მსხვილი მრავალმხრივი საგანვითრებლო სააგენტოების ექსპერტების მიერ; და საერთაშორისო ნჯო-ების მიერ მოწოდებული მონაცემთა წყაროების საფუძველზე. მსოფლიო ბანკის ქვეყნის პოლიტიკისა და ინსტიტუციური შეფასების (CPIA) მიერ მოწოდებული მონაცემების გარდა ყველა მაჩვენებლების მონაცემები და წყაროები ღიად არის გამოცხადებული. WGI-ს უკავია -2.5 იდან +2.5 მდე ადგილი, მაგრამ ასევე შესაძლებელია პროცენტული რანჟირება (0-100, სადაც 100 წარმოადგენს მოსფლიოში ქვეყნებს შორის უმაღლეს ქულას) (Kaufmann, Kraay and Mastruzzi, 2010).

UNDP-ს მმართველობის მაჩვენებლებზე სახელმძღვანელოს მიხედვით კი ორი სახის მონაცემთა შეგროვება შესაძლებელია, მაშინ როდესაც ხდება გარკვეულ დონეზე სახელმწიფოს მმართველობის ანალიზი (UNDP, 2007): ერთის მხრივ, **ობიექტური ზომები** გვაძლევს უდავო ფაქტებს - როგორცაა ხელშეკრულებების ხელმოწერა, ფინანსური ზომები და გარკვეული ორგანიზაციის არსებობა. თუმცა, აღსანიშნავია რომ მაჩვენებლების მნიშვნელობა შეიცვალა წლების განმავლობაში და რომ უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭა მათ აღქმას ვიდრე თვითონ მაჩვენებლებს. აქედან გამომდინარე, განვითარდა **სუბიექტური ზომები**, რომლებიც უფრო დიდ ყურადღებას ხალხის აღქმას ანიჭებს. ისინი შეიძლება იყოს **შიდა**, რადგანაც ქვეყნის შიგნით მყოფი რესპოდენტებიდან გამომდინარეობს (ანუ: აზრები, გამოკითხვებისა და ზომებისაგან...). ესენი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც იძლევა მოსახლეობის აზრებს. **გარე ზომები** არ მოიპოვება ქვეყნის მოქალაქეებისაგან და შემდგარია არა-მოქალაქეებისაგან.

ეს განსხვავება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი აჩვენებს მმართველი პოლიტიკისა და კანონმდებლობის სხვადასხვა სახესა და გაგებას. მაგალითად, გარე აღქმა უმეტესად გავლენას იქონიებს ქვეყნის გარე სამყაროსთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე, როგორცაა ინვესტიციებზე გადაწყვეტილებები და დახმარების გადანაწილება.

უფრო მეტიც, ზემოხსენებული აღქმები მნიშვნელოვანია დე ფაქტო და დე ჟურ ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებული შუალედის/მანძილის ხაზგასასმელად. მაშინ როდესაც დღესდღეობით უმეტესი ქვეყნები აკმაყოფილებენ კარგი მმართველობისათვის საჭირო ძირითად მოთხოვნებს, მაინც არ უნდა იყოს ნავარაუდევო, რომ ეს აუცილებლად ნიშნავს იმას რომ ეგეთი სისტემა მუშაობს (Kaufmaan, Kray and Mastruzzi, 2010). თუმცა, აუცილებლად გასათვალისწინებელია ქვეყნებს შორის ქცევის სტანდარტებსა და ნორმებს შორის განსხვავება, რადგანაც ამას სავარაუდოდ ექნება გავლენა მოსახლეობის ხედვებზე.

მაშინ როდესაც სუბიექტური მონაცემების გამოყენება აუცილებელია იმიტომ რომ ზოგიერთი მაჩვენებელი ნაწილობრივ მხოლოდ რაოდენობრივი ინსტრუმენტებით არის შესაძლებელი, ასევე მნიშვნელოვანია იმის დამახსოვრება, რომ იგი რეალობისგან არსებით განსხვავდება (Thomas, 2010). ამიტომაც მაჩვენებლები ფრთხილად უნდა იქნეს არჩეული, მას შემდეგ რაც დამოწმდება რომ მის უკან არსებული ნორმატიული ვარაუდები შესაფერისია (UNDP, 2007). უფრო მეტიც, კვლევის მსვლელობისას უმნიშვნელოვანისია დაბალანსებული მაჩვენებლების გამოყენება. ერთის მხრივ, კვლევები, რომლებიც დაფუძნებულია ერთ მაჩვენებელზე ვერ შეძლებს სრული რეალობის ასახვას. თუმცა, ძალიან ბევრი მაჩვენებლების ქონამაც შეიძება შექმნას პრობლემები და გამოიწვიოს კონცენტრაციის ნაკლებობა, ასევე ზედმეტი მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. ამაზე დამატებით, როდესაც ვეყრდნობით სუბიექტურ კვლევებს, უნდა დავიმახსოვროთ მრავალი ფაქტორი, რომლებიც განასხვავებს მათ ფაქტობრივი ინფორმაციისაგან. არა მხოლოდ ხალხის აღქმა არის დაფუძნებული იმაზე თუ რა ახსოვთ გარკვეული მოვლენიდან, არამედ ასევე ხალხს ჩვევია საკუთარი პასუხების კითხვარზე ადაპტაცია. აქედან გამომდინარე, კარგი მმართველობის შემოწმებიდან ამოღებული ახალი მონაცემები უფრო შესაძლებელია რომ იძლეოდეს

არასრულყოფილ სიგნალს რაიმე უფრო ღრმა ცნებაზე მმართველობისა, რომლის პირდაპირ ანალიზი შეუძლებელია (Kaufmann, Kraay and Mastruzzi, 2010: 9).

2. მონაცემთა შეზღუდვები

მიუხედავად ყველაფრისა, სხვადასხვა კვლევებმა WGI-სთან დაკავშირებით გამოიწვია შემფოთება. კერძოდ, კრიტიკოსები დაკონცენტრირდნენ მონაცემთა ორ ძირითად ასპექტზე: მათ პოტენციურ მიკერძოებულობაზე და შედარებითობის ნაკლებობაზე. პირველ რიგში, მათ გააკეთეს გაფრთხილება ექსპერტთა გამოკითხვებსა ან გარკვეულ წყაროებში შესაძლებელ მიკერძოებულობაზე, სადაც კითხვის ქვეშ აღმოჩნდა სხვადასხვა მონაცემთა წყაროების დამოუკიდებლობა და ასევე გაერთიანებული მაჩვენებლების ზემოქმედებაზე (Williams, 2011). მეორე, მათ ხაზი გაუსვეს WGI-ს მიერ დროისა და სივცრის გაღმა ქეისების შედარების შეზღუდვებს. მათი არგუმენტების მიხედვით ეს ორი პუნქტი კითხვის ქვეშ აყენებს აღნიშნული მაჩვენებლების გამოყენებას. უფრო მეტიც, ამ თემამ სხვებშიც გამოიწვია შემფოთება და მათი აზრით ეს მაჩვენებლები ზომავენ აღქმებს, მათი არგუმენტების მიხედვით WGI სინამდვილეში არ ზომავს თვითონ მმართველობის ხარისხს (Thomas, 2010). თუმცა, როგორც უკვე ვახსენეთ აქამდე ობიექტური და სუბიექტური მონაცემთა ნაზავი აუცილებელია რომ მოხდეს მმართველობის კონცეფციის სწორი შეფასება და ასევე მისი ადგილობრივ მოსახლეობაზე გავლენისა.

ტომასის მიხედვით, უფრო მნიშვნელოვანი შეკითხვა არის აქვს თუ არა ამ მაჩვენებლებს „კონსტრუქციული საფუძვლიანობა“; რის მიხედვითაც ზომავენ თუ არა ისინი იმას რის გაკეთებასაც გულისხმობენ. იმის დასადგენად ზომავენ თუ არა სინამდვილეში აღნიშნული მაჩვენებლები იმას რასაც ამტკიცებენ, მათი გაზომვის სისტემის საფუძვლიანობა და კანონიერება უნდა იქნეს შეფასებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უმნიშვნელოვანესი ამ გამოკვლევაში უნდა იყოს ნაჩვენები ის რომ კარგი მმართველობის კონცეფცია და მისი მაჩვენებლები კარგად არის დაფუძნებული და ზუსტად მიესადაგება რეალურ სამყაროს. ამისათვის, აუცილებელია შერჩეული მაგალითის (variables) შინაარსის, კონვერგენციისა და დისკრიმინანტული კანონიერების შემოწმება (Williams, 2011). შინაარსი არის სწორი მაშინ, როდესაც იგი მოიცავს ყველა იმ სხვადასხვა

აპსექტებს, რომლებიც არის შესამოწმებელი. მომდევნო ორი კრიტერიუმი ერთდროულად იზომება: იმისათვის რომ გამოვითვალოთ **კონსტრუქციული კანონიერება/საფუძვლიანობა**, ჩვენ კვლევაში უნდა მოვახდინოთ ორივე, **კონვერგენციისა და დისკრიმინანტული კანონიერების** დემონსტრაცია. არცერთი ამ კრიტერიუმიდან ცალცალკე არ იქნება საკმარისი: ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ ზომები, რომლებიც უნდა იყოს დაკავშირებული მართლაც დაკავშირებულია, მაგრამ ასევე, რომ ზომები რომლებიც არ უნდა იყოს დაკავშირებული სინამდვილეშიც არ არის დაკავშირებული აღნიშნული კონცეფციასთან.

გარდა ამისა, WGI-ს აღსანიშნავად მნიშვნელოვანი შეზღუდვას წარმოადგენს მისი სხვადასხვა გაზომვის პროცესებიდან მიღებული მონაცემთა კომბინაციაზე დაყრდნობა. კერძოდ, თვითონ მაჩვენებლების სიის ავტორები ხაზს უსვამენ შეცდომების დიდ რაოდენობას - ძალიან დიდ ადგილს ტოვებენ გარემოებათა ცვლილებებსა და/ან გაანგარიშებაში შეცდომებისათვის - ასევე გააჩნიათ პრობლემები გენერალიზაციასთან დაკავშირებით (Hyden, Court and Mease, 2003). მეორეს მხრივ, დიდი N-კვლევები (ნიმუშებს ეძებს დიდი რაოდენობით ქეისებში, შემთხვევითი ქეისების არჩევა, ხარისხობრივი ანალიზი), რომლებიც მოიცავს მრავალ მაჩვენებელს - მოცემულ რეგიონში მმართველობის ნადვილ დონესთან დაკავშირებით შეიძლება ძალიან შორსმჭრეტეელ დასკვნებამდე მიგვიყვანოს. თუმცა, უფრო პატარა კვლევების დანიშნულების თავისით გამართლება შეიძლება უფრო ძნელი იყოს; მაშასადამე საჭირო გახდება ეკონომიკურ და/ან იდეოლოგიურ განრიგზე დაყრდნობა (Kaufmann, Kraay and Mastruzzi, 2010). როგორც ეგეთი, შესაძლებელია კითხვის დასმა იმაზე თუ სინამდვილეში არის შესაძლებელი მმართველობის ნამდვილი პრობლემების გაანალიზები ან თუ არის შესაძლებელი არსებული საზომი საშუალებების გამოყენება პოლიტიკური კოტექსტის მქონე ზედაპირული კითხვარების ჩასატარებლად. იმისათვის რომ გავამყაროთ ამგვარ კვლევების უტყუარობა საჭიროა ყურადღების ძირითადი მონაცემების შეგროვებაზე გადატანა, მონაცემებისა, რომლებიც მოახდენს მმართველობასთან დაკავშირებული საკითხების უფრო პირდაპირ და ყოვლისმომცველი გზით დემონსტრაციას.

დასკვნად, „კარგი მმართველობის“ კონცეფციის შეზღუდვების ანალიზი, იმ CSO-ების მიერ რომლებიც დაინტერესებული არიან მმართველობის დონის შეფასებით, უნდა იქნეს განხილული კეთილსინდისიერად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მკაფიო პოზიციას ქონა იმაზე თუ რა შეიძლება და რა არ შეიძლება რომ მოიტანოს კარგმა მმართველობამ (Grindle, 2010). მაშინ როდესაც „კარგი მმართველობა“ უდავოდ არის პოლიტიკის საჭირო ასპექტი, CSO-ებმა უნდა იცოდნენ თუ რას ნიშნავს იგი პრაქტიკაში. როდესაც კარგი მმართველობა ნაჩვენებია როგორც განვითარების საწინდარი, ნაგულისხმევია, რომ თითოეული მაჩვენებელი სხვადასხვა ინიციატივებში უნდა იყოს წარდგენილი, ინიციატივებში, რომლებიც შექმნილია იმისათვის რათა მოახდინონ ზრდისა და პოლიტიკური სტაბილურობის სტიმულირება. მაშინ როდესაც ეს ნამდვილად მართალია დიდი ზომის განვითარების პროექტებზე, **პატარა პროგრამები შეიძლება აღმოჩნდნენ ძალიან ეფექტურები მმართველობისა და განვითარების გარკვეულ ასპექტებზე კონცენტრირების გზით.** მართლაც რომ, მმართველობასა და განვითარებას შორის ურთიერთობის გაღრმავებაზე მნიშვნელოვანია არის იმ პირობების ჩამოყალიბება, რომელთა მეშვეობითაც ეს ურთიერთობები არსებობს და ამ ასპექტების გაუჯობესებაზე მუშაობა. სტანდარტიზირებული განვითარების მოდელებზე მუშაობის მაგივრად, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ფოკუსირება უნდა მოახდინონ „კარგი“ მმართველობის მაჩვენებლების გამოყენებაზე, იმ გზით, რომელიც თავსებადი იქნება თავიანთ ქვეყნებთან (Grindle, 2010: 14). WGI მართლაც რომ წარმოადგენს რიგ შესაძლებლობებს - რომელთაგანაც უმეტესობა ეხება მოსახლეობის მოლოდინებს იმაზე თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს მთავრობამ (Grindle, 2010).

3. კარგი მმართველობის მონიტორინგისას CSO-ების როლი

„კარგი მმართველობის“ კონცეფცია წარმოიშობა პოლიტიკური მეცნიერებების ორი არსებითი ნაწილისაგან: **ინსტიტუციური წესების კვლევებისაგან და სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობისაგან** (Hyden, Court and Mease, 2003). მის მნიშვნელობაში ზოგიერთი განსხვავებების მიუხედავად „კარგი მმართველობის“ იდეა ფართოდ იშლება პოლიტიკურ სპექტრში. მიუხედავად ამისა, მაშინ როდესაც „კარგი“ მმართველობის მნიშვნელოვნობა ფართოდ არის აღიარებული და შეთანხმებული, დიდი უთანხმოებაა

მის მნიშვნელობასა და გამოყენებაზე: როდის, რატომ და რანაირად წარმოქმნის მმართველობა განსხვავებას თუ როგორ განვითარდება ქვეყანა? ესეთ კონტექსტში, მონიტორინგი შეიძლება შევიწროვებული იყოს უაზრო ეკონომიკური და/ან იდეოლოგიური ტვირთით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული სახელნძღვანელო მოგიწოდებთ, რომ არ მიაქციოთ ძალიან დიდი ყურადღება მმართველობასა და განვითარებას შორის არსებულ ურთიერთობას. ამის მაგივრად, მაჩვენებლების მომხმარებლებს ვურჩევთ რომ თავიანთი ძალისმხმევის კონცენტრაცია მოახდინონ სისტემის ერთი ან რამოდენიმე ასპექტის გაუმჯობესებაზე. ამისათვის, ადგილობრივმა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა იცოდნენ დამატებითი და განსხვავებული პერსპექტივების შესახებ.

მას შემდეგ რაც CSO-ები მოიპოვებენ საკუთარ ქვეყანაში მმართველობის დონის მონიტორინგისათვის საჭირო საზომი სისტემისა და ინსტრუმენტების შესახებ საკმარის ცოდნას, მათ უნდა უზრუნველყონ მათი გამოყენება იმ გზით, რომელიც რელევანტური იქნება ადგილობრივ პოლიტიკურ კონტექსტში. მაშინ როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები შეძლებენ ადგილობრივი მონაწილეების მომარაგებას გამოსადეგარი მითითებებით იმაზე თუ რას უნდა ეძებდნენ და როგორ უნდა გაანალიზონ იგი, CSO-ებს ექნებათ მონაცემთა უფრო ზუსტი ინტერპრეტაცია, საკუთარი სისტემაში არსებული პოზიციიდან გამომდინარე. შესაბამისად, ადგილობრივი მონაწილეებისათვის უმნიშვნელოვანესია იყვნენ აზრზე მონიტორინგისა და შეფასების პროცესში საკუთარი როლის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ისინი ასევე სავარაუდოდ მიიღებენ მონაწილეობას ასევე სხვა განვითარებასთან დაკავშირებულ აქტივობებში. მათ მოსალოდნელია რომ უნდა იცოდნენ უფრო მეტი საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური და ინსტიტუციური სპეციფიკის შესახებ. ასევე მათი სიახლოვე სისტემასთან იქნება უტყუარი უპირატესობა იმსათვის, რათა მოახდინონ ოფიციალური პირების კონსტიტუციური უფლებების შენარჩუნებასთან დაკავშირებული საქმიანობის, ასევე სერვისების ხალხისთვის მიწოდების და საჯარო სექტორის რეფორმების იმპლემენტაციის მონიტორინგი (Williams, 2011: 3).

მიუხედავად ამისა, ვილიამსი (2011) ხაზს უსვამს მმართველობის მაჩვენებლების არასწორად გამოყენების რამოდენიმე შესაძლებლობას, რის შესახებაც CSO-ებმა უნდა იცოდნენ. პირველ რიგში, როგორც უკვე ვახსენეთ, ორგანიზაციებმა ნათლად უნდა გამოხატონ საკუთარი ვარაუდები, რომლებიც შეიძლება მმართველობასა და განვითარებასთან დაკავშირებული სამომავლო პროექტების უკან იდგას. მართლაც რომ, თუ აღნიშნული პროექტები არაადეკვატურად იქნება გამოყენებული, მათ შეიძლება სინამდვილეში გააუარესონ საკანონმდებლო სისტემა. აქედან გამომდინარე, საჭირო რომ იყო ინფორმირებული კრიტიკულად მაჩვენებლების შექმნის მიზანსა და მათი მოხმარების კონტექსტთან დაკავშირებით. ამისათვის, ექსპერტების ანალიზის გარდა, ადგილობრივმა პროექტებმა ასევე ადგილობრივი მოსახლეობის და პროექტის გავლენის ქვეშ მოქცეული ჯგუფების აღქმები უნდა იყოს გათვალისწინებული. თვითონ პროცესის კონსოლიდაცია ისეთივე მნიშვნელოვანია როგორც მაჩვენებლების გამოყენება, რათა უზრუნველყოთ მმართველობის გრძელვადიანი გაუმჯობესება. მას შემდეგ რაც CSO-ები შეაფასებენ ადგილობრივი მმართველობის სისტემის სიძლიერეებსა და სისუსტეებს, მათ შეუძიათ გადაწყვიტონ თუ რომელ მაჩვენებელს სჭირდება ყველაზე ძალიან გაძლიერება.

მაშინ როდესაც პროექტების საკითხი უნდა გადაწყდეს ადგილობრივი გარემოებების მიხედვით, UNDP-მ სხვა ორგანიზაციებს შესთავაზა **დეცენტრალიზაცია**, როგორც მმართველობის პრაქტიკის გამაძიერებელი ალტერნატიული მოდელი. თუმცა, ამას არ უნდა შეხედოთ როგორც უნივერსალურ საშუალებას, მაგრამ იგი ნამდვილად კარგი საშუალებაა პოლიტიკური თანასწორობის და მთავრობის წარმომადგენლებსა და სხვა ადგილობრივ მოთამაშეებს შორის პასუხისმგებლობების რეფორმირებისათვის. მართლაც რომ „დეცენტრალიზაცია ძლიერ არის დაკავშირებული მოქალაქეების ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ აქტივობებში გაძლიერებულ ჩართულობასთან. გარდა ამისა, ეს პროცესი უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის უნარების გაძლიერებასა და განვითარებისათვის და ძალიან უწყობს ხელს მთავრობის რეაგირებას“ (UNDESA, 2007: 11). გამომდინარე აქედან, იგი აძევს უფრო მეთ გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლებას CSO-სა და მოქალაქეებს, ცენტრალური მთავრობის როლის უარყოფისა და შემცირების გარეშე. CSO-ების როლი უფრო დეტალურად იქნება გაანალიზებული მეოთხე თავში, თავისი V4 ქვეყნების მაგალითებით.

თავი 3: მეთოდოლოგია და პრაქტიკა

იმისათვის რომ მთავრობის წარმომადგენლება ჩვენი შემოქმედებები სერიოზულად მიიღოს, ჩვენ უნდა შევქმნათ კარგად განსაზღვრული სტრატეგია, რომელიც ნათლად აჩვენებს ჩვენს მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებსა და ჩვენს მიერ მათზე მუშაობისას გაწეულ მოქმედებს. უბრალოდ სისტემაში ხარვეზებისა და სისუსტეების ამოცნობა და ინსტიტუციური რეფორმების შეთავაზება არ იქნება საკმარისი, რათა ვუზრუნველყოთ ხანგრძლივი ცვლილებები. როგორც კი ყველა მონაწილე გაიგებს კონცეპტუალურ ჩარჩოს, დისკუსიებს მათი გასხვავებული აზრებისა და გამოცდილებების შესახებ უნდა შეეწყოს ხელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმნიშვნელოვანესი არამხოლოდ ის არის რომ ყველა მონაწილე შეთანხმდეს გარკვეულ ტერმინოლოგიასა და ნორმატიულ პერსპექტივაზე, არამედ ასევე უნდა მოხდეს აქტივობების ადგილობრივ კონტექსტის შესაბამისად ადაპტაცია. მაშინ როდესაც მეთოდოლოგია დეტალურად იქნება გავრცობილი მეხუთე და მეექვსე თავებში, ჩვენ ამ თავში შემოგთავაზებთ მინიშნებებს, რათა მოხდეს კვლევის პროცესების მაქსიმალიზაცია. კერძოდ კი, ჩვენ განვსაზღვრავთ მონაცემთა შეგროვებასა და გადამოწმების პროცედურას. ჩვენ გავუკეთებთ ანალიზს კარგი მმართველობის შეფასების ხარისხს და განსაკუთრებით კი თუ როგორ იქნენ გამოყენებული მაჩვენებლები.

1. კვლევის პროცესი

„კარგი“ მმართველობის პრაქტიკების ეფექტურად მონიტორინგისა და შეფასებისათვის საჭიროა ძლიერი კვლევითი და ანალიტიკური უნარების ქონა. ფენომენის სისტემური გამოძიების ჩატარება არის საჭირო, რათა მოხდეს რელევანტური ინფორმაციის შეგროვება და სასრგებლო დასკვნის მიღწევა. მაშასადამე, კვლევის პროცესი საფუძვლიანად უნდა იყოს ორგანიზებული და წინასწარ უნდა დაიგეგმოს შემდგომი აქტივობები. კერძოდ კი, ჩვენ უნდა ნათლად დავსახოთ ის რასაც ვეძებთ, ასევე თუ როგორ ვაპირებთ ამ ინფორმაციის მოპოვებას და რატომ ვფიქრობთ, რომ ეს იქნება ჩვენთვის გამოსადეგარი. ამითი ჩვენ გავზრდით მიზნის მისაღწევად საჭირო შანსებს. ტრენინგების მთავარი ნაწილი მიძღვნილი უნდა იყოს მაჩვენებლების გამოყენების შესწავლაზე, როგორც მყარი შესწავლის ინსტრუმენტი. ქეისების კვლევის ანალიზის

გამოყენებით, რაც უფრო ღრმად იქნება ახსნილი მეოთხე თავში. დამატებით, ტრენინგების პროგრამის ყურადღება ასევე მიმართული უნდა იყოს ნიმუშების ჩარჩოების ამოცნობის, რესპონდენტთა შერჩევის, გამოტოვებული ფასეულობებთან მუშაობისა და სხვადასხვა კვლევის მეთოდების მართვისაკენ, რაც დეტალურად იქნება ახსნილი მეხუთე და მეექვსე თავებში (Hyden, Court and Mease, 2003).

თუმცა, პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ჩვენი კვლევის კომპეტენციების დადგენა, რათა თავიდან ავირიდოთ ზედმეტი დროის დამხარჯველი აქტივობები, რომლებიც ჩვენ ხელს შეგვიშლიან ჩვენი მიზნების მისაღწევად. ამისათვის ჩვენ უნდა დავაწესოთ ჩვენი პროექტისათვის საჭირო დრო და შერჩევა. მაშინ როდესაც პირველი უფრო მარტივია, მეორე ნაწილს სჭირდება უფრო წინასწარი სამუშაოები. სწორი შერჩევა უნდა მოხდეს „მოსახლეობის უფრო პატარა ჯგუფებიდან, რომლების გამოყენებაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობის შესახებ სიმართლის გასაგებად“ (Field, 2005). რაც უფრო ზუსტად წარმოსახავენ შერჩეულები მოსახლეობის დიდ ნაწილს, მით უფრო მარტივი ხდება ჩვენი დასკვნების განზოგადოება.

მას შემდეგ რაც ჩვენ ვიპოვით ხალხს, რომელთაგანაც გვსურს ინფორმაციის მიღება, ჩვენ უბრალოდ დაგვრჩება უფრო შესაფერისი ინფორმაციის მოპოვების მეთოდის შერჩევა, **ხარისხობრივი ან რაოდენობრივის** (მეცნიერულ კვლევებსა და მათემატიკურ მოდელებსა და თეორიებზე დაყრდნობით ნაწარმოები კვლევა, ხდება ფენომენის ჰიპოთეზით დამტკიცება). მონაცემთა მოპოვების მეთოდი დამოკიდებულია თვითონ მონაცემთა სახეობაზე. ჩვენს შემთხვევაში, იგი ახლის არის დაკავშირებული ჩვენ საკუთარ წარმოდგენზე „კარგ“ მმართველობასთან დაკავშირებით და ასპექტებისა, რომლებზეც გვსურს კონცენტრაცია. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია, რომ მონაწილეებმა კოორდინაცია მოახდინონ პირობებსა და მაჩვენებლებზე, რომლებსაც იყენებენ. კერძოდ კი, მომხმარებელმა უნდა მიმართოს მეხუთე და მეექვსე თავებს, მაჩვენებლების შექმნისა და მათი გამოყენების მიზანთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად. მაშინ როცა ჩვენ ვთანხმდებით ჩვენი მოქმედებების შინაარსსა და მაშტაბზე, ჩვენ შევძლებთ გაგებას იმისას თუ რა ზომების მეთოდები დაგვეხმარება ყველაზე ზუსტი ინფორმაციის მოპოვებაში. მაშასადამე, ჩვენ შევძლებთ ყველაზე ეფექტური სტრატეგიის შექმნას, რათა მოვახდინოთ მმართველობის

დონის ანალიზი და თითოეული მაჩვენებლისათვის რელევანტური მონაცემების შეგროვებას.

რაოდენობრივი მეთოდები ეყრდნობა უმეტესად შემთხვევით შერჩეულ და სტატისტიკურ მონაცემებს. მთავარი საზრუნავი არის „კარგი“ მმართველობის თეორიებისა და პრაქტიკებიდან გამოყვანილი ჰიპოთეზების შემოწმება. რაოდენობრივი კვლევისას არსებობს რამოდენიმე სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვების საშუალება; თუმცა, ყველა მოიცავს რიცხვობრივ ინფორმაციას. მაშასადამე, მომხმარებელს უნდა გააჩნდეს გარკვეული სტატისტიკური ცოდნა, რათა წარმატებით გაანალიზოს აღნიშნული ინფორმაცია. მონაცემები სისტემატიურად უნდა იქნეს შეგროვებული და ჩაწერილი, რათა მოხდეს მისი მონაცემათა ბაზაში შემდგომი კლასიფიცირება. არსებობს სამი სხვადასხვა მექანიზმი: დაკვირვება, ინტერვიუები ან კითხვარები. რა მექანიზმებსაც არ უნდა ირჩევდნენ, მომხმარებელს ურჩევენ, რომ წინასწარ შეადგინონ სია თუ რა უნდათ რომ შეაფასონ. დამატებით, მკვლევარების მიერ შეიძლება იქნეს გამოყენებული რეიტინგული გრადაცია, რათა მოხდეს გაზომვა იმ მოვლენებისა რომლებსაც აკვირდებიან; რაც შემდგომ ხელს უწყობს ანალიტიკურ პროცესს (Joint Research Centre of the European Commission, 2007).

დაკვირვებები

დაკვირვებები უნდა იყოს დაკვირვების ობიექტის გარშემო აგებული. როგორც კი ნათლად გვეცოდინება დაკვირვების ობიექტი უნდა გადავწყვიტოთ თუ რა სახის დაკვირვებას ჩატარებთ მასზე. ჩვენ პირდაპირ შეგვიძლია დაკვირვება ჩვენით ვაწარმოოთ, ჩავიწეროთ აღნიშნული მოვლენა ან მოვახდინოთ ციფრული ფასეულობის კოდირება (Vickers and Offredy, 2010). თანმიმდევრულად, ჩვენ შევძლებთ ინფორმაციის სხვადასხვა კატეგორიებად მოპოვებას.

ინტერვიუები

მაშინ როდესაც ინტერვიუები უმეტესად ხარისხობრივ კვლევასთან არის დაკავშირებული, მათი გამოყენება რაოდენობრივ კვლევებშიც არის შესაძლებელი. თუმცა, ისინი უაღრესად სტრუქტურული გზით იქნება ჩატარებული, სადაც ინფორმაციის მომწოდებელს ძალიან მოკლე და კითხვაზე პირდაპირი პასუხების გაცემა მოუწევს. მათ

უბრალოდ მოუწევთ კი/არა-ს პასუხი ან მათთვის მიწოდებული სიიდან ნივთის ამორჩევა. პასუხები შემდგომ იქნება კოდირებული და შეტანილი მონაცემთა ბაზაში. ესეთი სახის ინტერვიუები შეიძლება გამოდგეს სასარგებლო მაშინ, როდესაც კითხვარებს დიდი გამოხმაურება არ მოყვება.

კითხვარები

კითხვარებს გამოყენება შეიძლება გამოდგეს ძალიან სასარგებლო მაშინ, როდესაც გროვდება მონაცემები მარტივ და მკაფიოდ გამოხატულ თემებზე. თუმცა, მათი ჩატარება არც ისეთი ადვილი არაა როგორც ჩანს. ისინი უმეტესად მოიცავენ ახლო-დასასრულიან და ღია-დასასრულიან კითხვებს. როგორც ესეთი, უმნიშვნელოვანისია მათი ფრთხილად დაგეგმვა და მონიტორინგი, რათა ვუზრუნველყოთ, რომ მათ მიერ მოწოდებული მონაცემები იქნება მიუკერძოებელი გზით და რომ ეს მონაცემები ჩვენი ანალიზისთვის სასარგებლო გამოდგება. მაშასადამე, სწორი და საიმედო კითხვარის შედგენა შეიძლება ძალიან რთული აღმოჩნდეს. ჩვენ ვურჩევდით ჩვენს მომხმარებელს რომ პირველ რიგში განავითაროს საპილოტო კვლევა, რომელშიც შეამოწმებენ კითხვებს.

ვიკერსი და ოფრედი (2010) მიმართავენ სწორი ინფორმაციის მოსაპოვებლად საჭირო კითხვარების განვითარებისათვის საფეხურების სერიებს:

- განსაზღვრეთ გამოძიების ზონა
- ჩამოაყალიბეთ შეკითხვა
- ამორჩიეთ ნიმუში და გაზარდეთ გამოხმაურების შანსები
- გაუშვიტო პილოტური ვერსია და შეამოწმეთ სისწორე და საიმედოობა
- აღმოაჩინეთ შეცდომების წყაროები

თუმცა, ხარისხობრივი კვლევების მონაწილეებს ირჩევენ მათი თვისებებისა და/ან სპეციფიური სიტუაციების ცოდნით. მათი მოვალეობაა გარკვეულ თემასთან/კვლევასთან დაკავშირებით მოიპივოს ზუსტი ინფორმაცია. მაშასადამე, მონაცემთა შეგროვების ხარისხობრივი მეთოდები გამოსადეგარია, მაშინ როდესაც ვცდილობთ გავიგოთ დაკვირვების ქვეშ მყოფი შედეგების უკან მდგომი პროცესები და შევაფასოთ ხალხის აღქმაში მომხდარი ცვლილებები. ისინი უფრო ღია-დაბოლოებითაა და ნაკლებად სტრუქტურული ვიდრე რაოდენობრივი კვლევები. იმისათვის, რომ

გავზარდოთ კვლევის შედეგების საიმედოობა უკეთესი იქნება სხვადასხვა მეთოდების „ტრიანგულაციის“ გამოყენება. რაც ნიშნავს იმას, რომ მომხმარებლებმა უნდა გამოყენონ სხვადასხვა მონაცემთა მოპოვების მეთოდები, რათა უზრუნველყონ შედეგების უტყუარობა. ხარისხობრივი კვლევები უმეტესად გვეხმარება ერთიდაიგივე საკითხზე არსებულ სხვადასხვა კვლევებში ძირითადი ნიმუშების მოპოვებაში, დროსა და მაგალითებს მიღმა. მაშინ, როდესაც კვლევების შედეგების გენერალიზირება ძნელია, ისინი გვამარაგებენ გარკვეული მოსახლეობისა და გარკვეული დროის შესახებ ყოვლისმომცველი მტკიცებულებით. აქედან გამომდინარე, ხარისხობრივი მეთოდები განსაკუთრებით საჭიროა განვითარების სფეროში, რადგანაც იგი მოიცავს რიგ შეხედულებებს, რომელსაც რაოდენობრივი მაჩვენებლები ვერ პოულობენ. ხარისხობრივი კვლევის მტავარ ინსტრუმენტებს წარმოადგენს: ღრმა ინტერვიუები, დაკვირვებები და ფოკუს-ჯგუფები.

ინტერვიუები

მართალია მათი სტრუქტურითაც, როგორც რაოდენობრივის, არ არის საჭირო, მაგრამ შეკითხვები მაინც ფრთხილად უნდა იქნეს შერჩეული. ყველაზე ხშირია ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები, ან „საუბრები დანიშნულებით“. გამომკითხველს უნდა გააჩნდეს იმ თემების სია, რომელთა დაფარვასაც აპირებს. თუმცა, რესპონდენტს ააქვს უფლება რომ ოდნავ გადაუხვიოს თემიდან და გამოხატოს საკუთარი აზრები. იმისათვის რომ დიალოგი თქვენი მიმართულებით წაიყვანოთ კორესპონდენტს შეუძლია გამოიყენოს სწრაფი შეკითხვები, რათა ძალით დააბრუნოს თემა უკან. კორესპონდენტს უნდა შეეძლოს დათმობადობასა და კონტროლს შორის ბალანსის შენარჩუნება. მიუხედავად ამისა, ასე თუ ისე მაინც შესაძლებელია სტრუქტურული ინტერვიუს ჩატარება, ეს დამოკიდებულია ხშირად რესპონდენტზე. მეორეს მხრივ, ზოგიერთმა პიროვნებამ შეიძლება მოითხოვოს ძალიან დეტალური შეკითხვების სია. თუმცა, ზოგი შეიძლება გაიხსნას და თავისუფლად ისაუბრონ გარკვეულ თემაზე, თუ მათ მიეცემათ გამოხატვის თავისუფლება.

დაკვირვებები

მაშინ როდესაც დაკვირვებები რაოდენობრივ და ხარისხობრივ კვლევებში მსგავსად მიმდინარეობს, ხარისხობრივს ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია,

რადგანაც მათ შეუძლიათ ანალიზის გაკეთება პირველადი წყაროსათვის და მათი დროის განმავლობაში ევოლუციის დაკვირვება. თუმცა, მას ძალიან დიდი დრო მიაქვს და შეიძლება გახდეს ორივე მხრიდან მიკერძოებულობის ობიექტი, მათგან ვინც აწარმოებს დაკვირვებას და ჯგუფისგანაც ვისაც შეისწავლიან. უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული რომ იმათ ვინც ატარებენ აღნიშნულ კვლევებს მისცენ საკუთარ აზრებს სიტუაციის აღქმაში გავლენის მოხდენის საშუალება. დამკვირვებლები პირდაპირ ზეპირად არ აწარმოებენ დაკვირვების ჩაწერას მაგრამ ისინი საკუთარი ჩანაწერების საშუალებით მიყვებიან კვლევის შედეგებს. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია გარკვევა იმისა თუ რისი დაკვირვებაა საჭირო და როდის უნდა მოხდეს დაკვირვება წინასწარ. ეს უნდა განისაზღვროს კვლევის მიზნისა და თემის დროს.

ფოკუს-ჯგუფები

სტანდარტული ინტერვიუებისაგან გასხვავებით, ფოკუს-ჯგუფებისათვის საჭიროა ინტერვიუებისას ერთ პიროვნებაზე მეტის მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, რეკომენდირებულია ჯგუფში მაქსიმუმ 6/8 კაცის ყოფნა. დამატებით, ჯგუფის დინამიკა ყურადღება მანამდე უნდა მიექცეს, იმისათვის რომ დისკუსიებისას მოხდეს გარკვეული ნიმუშების ამოცნოდა და მონაცემთა საიმედოობის გაზრდა. ამისათვის, უმნიშვნელოვანესია გქონდეთ დისკუსიებში მკვლევარის რილის შესახებ ნათელი წარმოდგენა. თუმცა, როგორც კი ფოკუს-ჯგუფის ორგანიზაცია ნათლად არის განსაზღვრული, იგი წარმოშობს ინტერვიუზე გარკვეულ უპირატესობებს. განსაკუთრებით, თავისი სოციალური შემადგენლობის გამო, ფოკუს-ჯგუფი შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს რაიმე ფენომენის საერთო გამოცდილების ანალიზისათვის.

მონაცემთა შეგროვებისას ძალიან მნიშვნელოვანია თანმიმდევრულობის შენარჩუნება. თუმცა, ზოგჯერ შეიძლება საჭიროც გახდეს მონაცემთა მოპოვების სხვადასხვა მეთოდების გაერთიანება, ან თუნდაც რომ გამოიყენოთ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინსტრუმენტების კომბინაცია. ყოველი ახალი ინფორმაციის შეგროვებისას კვლევა აუცილებლად დაიხვეწება და შეიცვლება და შესაძლებელია რომ წარმოიშვას ახალი კონფლიქტები/პრობლემები. მონაცემთა მოპოვების სხვადასხვა

საშუალებებს გააჩნია სხვადასხვა მიზნები და თითოეულს აქვს ტავისი უპირატესობა და ნაკლი. მაშასადამე, სხვადასხვა ფაქტორებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენს მიერ არჩეულ მონაცემთა მოგროვების მეთოდზე: კითხვა რომელიც გსურთ რომ გამოიკვლიოთ, თქვენს ხელთ არსებული მეთოდები, თქვენი დროის ათვლა და სხვა მრავალი.

როგორც უკვე ავლინებთ, მმართველობაზე კვლევები ძალიან არის დამოკიდებული ქვეყანაში არსებული თითოეული მმართველის ხარისხის შესახებ ხალხის აღქმაზე. მათი აღქმა არ არის ისეთი რაღაც რისი გაზომვაც ციფრებით იქნება შესაძლებელი. მაშინ როდესაც ზოგიერთი მმართველობის პრაქტიკები პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების კონკრეტულ ნაწილებზე, სხვები გავლენას ახდენს ქვეცნობიერულად. უფრო მეტიც, იმიტომ არ ხდება ეს რომ იმპლემენტირებული ნორმებისა და ფასეულობების სისტემა ყველაზე ერთნაირად ახდენს გავლენას. მაშასადამე, რაოდენობრივი კვლევა მოგვაწოდებს უდავო ინფორმაციას არსებული მმართველობის მდგომარეობის შესახებ, ხოლო უფრო ღრმა ხარისხობრივი კვლევა იქნება საჭირო იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რამ გამოიწვია აღნიშნული შედეგები. მეთოდების ზუსტი შენაერთი შეიძლება განსხვავდებოდეს, რაც დამოკიდებულია იმ მმართველობის ასპექტებზე, რომელზე ფოკუსირებასაც ჩვენ მოვახდენთ.

თუმცა, კვლევის მიმდინარეობისას ჩვენ ყოველთვის უნდა ვუფროთხილდეთ პოტიენციურად მიკერძოების საშუალებას, ჩვენი საკუთარი აზრებითა და თემატიკით. ერთის მხრივ, რესპონდენტი შეიძლება დაიყოლიოთ და დაეთანხმოს თქვენს აზრს ან საკუთარი პასუხის ჩვენს კითხვაზე ადაპტაცია მოახდინონ, რათა ისევ ჩვენ გვასიამოვნონ. მეორეს მხრივ, ჩვენ შეიძლება ჩვენიტ დავუსვათ ძალიან შეზღუდული შეკითხვები, რაც მათ აიძულებთ რომ დაგვეთანხმონ ჩვენს ჰიპოთეზაზე, ან კიდევ ჩვენთვის მხოლოდ მოვექცეთ გარკვეული ხასიათების გავლენის ქვეშ. აქედან გამომდინარე, ჩვენ მუდმივად უნდა მივსდევდეთ ჩვენს მსჯელობას და მოვამზადოთ ჩვენი კვლევის შედეგების რეგულარული დასკვნები, რათა ჩვენი გუნდის სხვა წევრებთან ერთად მუდმივად განვიხილოთ და გავცვალოთ აზრები. ჩვენი მიზანი ყოველთვის თავში უნდა გვექონდეს, რასაც წარმოადგენს ჩვენი მმართველობის სისტემის სიძლიერებისა და სისუსტეების შესახებ მტკიცებულებების პოვნა.

2. კარგი მმართველობის შეფასება

მონაცემების შეგროვებისთანავე ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ კვლევის შედეგების ანალიზი და გაუმჯობესებისათვის სტრატეგიები შევადგინოთ. მიუხედავად ამისა, უნდა გავიტვალისწინოთ ის ფაქტი რომ სტანდარტიზირებულ მონაცემების სხვადასხვა კულტურებში, ეკონომიკებსა და პოლიტიკურ სისტემებში შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს (UNDESA, 2010). ნაჩქარები გენერალიზაციის ნაცვლად, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ფოკუსირება იმაზე თუ რა შეიძლება რომ გაუმჯობესდეს ადგილობრივად. სხვადასხვა ადგილობრივმა მონაწილეებმა სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებში მმართველობის საკუთარი შეფასება უნდა ჩაატარონ და შემდგომ ერთად უნდა შეკრიბონ საკუთარი კვლევის შედეგები. კოორდინაციის გაზრდისა და საერთო გავლენის გაზრდის შესახებ უკეთესი წარმოდგენის შესაქმნელად, წევრებმა უნდა წაიკითხონ დასაბუთებულ ადვოკატურაზე სახელმძღვანელო. აღნიშნული წიგნი წარმოგიდგენს საფუძველს კარგი მმართველობის პრინციპების ეფექტური ასამაღლებად. CSO-ებს გააჩნიათ უდიდესი უპირატესობა მმართველობის შესაწავლად, რაც მათი ადგილობრივ მთავრობებთან ახლო ურთიერთობის დამსხურებაა. ისინი მხოლოდ პროცესის დამკვირვებლები არ არიან, არამედ ასევე შეიძლება რომ იყვნენ ცვლილების მოსახდენად ძლიერი მონაწილეები. მაშასადამე, კარგად ჩატარებული მმართველობის შეფასება არა მხოლოდ დაეხმარება სისტემის მნიშვნელოვანი ხარვეზების აღმოჩენაში არამედ ასევე იმ საშუალებების აღმოჩენაში, რომელიც გაუმჯობესებს საკუთარ როლს კარგი მმართველობის შესანარჩუნებლად. როგორც კი საკუთარი კვლევა უკვე ჩატარებული ექნებათ, ადგილობრივი მონაწილეები შეძებენ კვლევების შედეგებზე კონცენტრაციას, რათა გამონახონ შესაძლებლობა რის მიხედვითაც შეძებენ უკეთეს თანამშრომლობას და ეფექტური კოალიციის შექმნას, რის შედეგადაც შეძლებენ ადეკვატური ინფორმაციის შეგროვებას, რათა იმუშავონ ადგილობრივ მთავრობებთან და ასევე საერთაშორისო ინსტიტუტებთან.

თავი 4: კარგი მმართველობის შემოწმება პრაქტიკაში

კარგი მმართველობის ერთ ერთი ყველაზე ფართოდ აღიარებული განმარტება არის: „კოლექტიური უნარი რომ გავლენა მოვახდინოთ უკეთესი მომავლისათვის“ (Dror 2001).

თუმცა, ის თუ ვინ და როგორ უნდა მართოს და რა იქნება საერთო კარგი რასაც მმართველობა ცდილობს რომ მიაღწიოს წლების მანძილზე იცვლება და იხვეწება. ქვემოთ არსებული გრაფა გვიჩვენებს მიმოხილვას მთავარი მოვლენებისა, მთავარი აქცენტებით და ინსტრუმენტებით.

ცხრილი: მმართველობის რეჟიმები და მათი ატრიბუტები


	ვინ	როგორ	უპირატესობები	საწინააღმდეგო
ვებერისეული სახელმწიფო	მთავრობა/ სახელმწიფო ბიუროკრატია	სახელმწიფო ბიუროკრატის ვერტიკალური იერარქია	ძლიერი სახელმწიფო კონტროლი + დაქვემდებარები ს წმინდა ხაზი	გამჭვირვალობის ნაკლებობა, ეფექტურობა და საზოგადოების ყურადღება
ახალი საზოგადოებრივი მენეჯმენტი	ბაზარი/ ბიზნესის მაგვარი მთავრობა	ბიზნესის მართვის პრაქტიკა/პრივატიზაც ია	ეფექტური, კონკურენტუნარ იანი, ზმიზანმიმართუ ლი,	სახელმწიფოს განადგურება, ხელისუფლების დაშლა, პირდაპირი კონტროლის დაკარგვა
ახალი საზოგადოებრივი მენეჯმენტი	ქსელი	ქმედების სუბიექტების ჰორიზონტალური კავშირები	შესაბამისი ქმედების სუბიექტების ჩარჩვა, გამჭვირვალობის, სოციალური დასაშვებლობა	ქსელების კოორდინირების ა და მართვის სირთულეები, მძიმე კომპრომისები, უმოქმედობა
ნეო-ვებერისეული სახელმწიფო	მთავრობა/ ეზსპერტ ბუროკრატია	მთავრობის ვერტიკალური იერარქია/ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი საჯარო სექტორის მოხელეები	როგორც WS + გაუმჯობესებულ ი შიდასაექსპერტო ცოდნა, ყურადღებიანი მოქალაქეთა საჭიროებებსაკენ	შიდაექსპერტები ს ურუნველყოფის ხარჯები არის მაღალი, არ არის ადგილი მოიზიდო ექსპერტები საჯარო

				სამსახურში
ციფრული მართვის ერა	მთავრობა/ ციფრული სისტემები	ელექტრონული მმართველობა: ონლაინ ციფრული ინტრუმენტების ადვილი გამოყენება და სერვისები	სიჩქარე, ეფექტურობა და გამჭვირვალობა, მარტივი კონტროლი მონაცემების დიდი კომპლექტისა, იაფი გრძელვადიან პერსპექტივაში	ციფრული მონაცემების დაუცველობა, მთავრობაში საჭიროა კონკრეტული უნარები, „დიდი მმის“ საკითხები

წყარო: Petr Witz basing on Dunleavy et al. (2005), Osborne (2010), Pollitt and Bouckaert (2011)

ყოველი მმართველობის ნიმუში გამოჩნდა სხვადასხვა პერიოდში და რეაგირებდა სხვადასხვა დროის გამოწვევებზე. დღესდღეობით ჩვენ უკვე შეგვიძია გავარკვიოთ ყველა უმთავრესი და ჩვენამდე მოსული მმართველობის ნიმუშის სისუსტეები და სიძლიერეები და შეგვიძლია იმ მოდელის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს ყველა საგარეო და საშინაო მოთხოვნებს და აღკვეთავს ინდივიდუალური რეფორმების ნეგატიურ გვერდით მოვლენებს. მაშასადამე, ჩვენ გვეძლევა შესაძებლობა რომ თავიდან ავირიდოთ წინა მმართველობის შემქმნელების შეცდომები და შეგვიძია მოვალწიოთ საუკეთესო შედეგს. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ საკუთარი კარგი მმართველობის სუპრამოდელი 21 საუკუნისათვის. ამით ჩვენ არ დაგვავიწყდეს მთავარი სოციალური მარეგულირებელი და მათ საერთო ურთიერთქმედების სფერო, რომელიც წარმოშობს პოლიტიკის შედეგებს (ნახეთ დიაგრამა ქვემოთ)

დიაგრამა: ჩვენი ურთიერთქმედების მთავარი მარეგულირებლები



Source : Abrahamson, P.: Welfare Pluralism (1995), modified by author

როდესაც ჩვენ ვაერთიანებთ კარგი მმართველობის ცალცალკე ინგრედიენტებს, პირველად ჩვენ ვხვდებით რომ არსებობს ერთი ინგრედიენტი, რომელსაც ვერ გამოვტოვებთ. თუმცა, თანამედროვე დასავლეთის საზოგადოებები დიდად დაფუძნებულია ფასეულობების მრავალფეროვნებაზე, გავლენა და ინტერესი და გადაწყვეტილების მიღების პროცესი უმეტეს სიტუაციებში წააგავს მონაწილეების ქსელს, რომლებიც აგზავნიან და იღებენ იმპულსებს. შეუძლებელია რომ გქონდეთ ერთი ინსტიტუტი, რომელიც შეძლებს მართვას, შემთანხმებლობასა და დისკუსიის დასრულებას. სუვერენის ძალა აღარ არის შეუზღუდავი, თუმცა, მისი როის მნიშვნელოვნება, როგორც თანასწორთა შორის პირველი არ უნდა იქნეს დავიწყებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მმართველობა მთავრობის გარეშე ძნელად წარმოასადგენია. ყოველი მცდელობა მთავრობის შეცვლისა, სხვა მარეგულირებელით ან მარეგულირებლების ჯგუფით აუცილებლად წარუმატებელი იქნება, რადგანაც სხვას არავის არ გააჩნია მოტივაცია საჯარო ინტერესებისა და ადეკვატური მმართველობის უნარის გამოვლენისა.

მიუხედავად ამისა, მთავრობის მოქმედებები რეგულარულად უნდა იყოს შემოწმებული და მუდმივად შეფასებული და თუ საჭირო გახდება გამოწვეულიც კი. თანამედროვე მთავრობა დაფუძნებულია საშინაო და საგარეო კონტროლისა და ბალანსირების იდეაზე, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის კოდისა და ეთიკური სტანდარტების დაცვას

და ამხნეებს და მართავს ეფექტურობის/ მოქმედებების გაუმჯობესებას. მრავალი გზით, მთავრობები ჯერ კიდევ სწავლობენ ბიზნეს სექტორისაგან თუ როგორ მართონ რთული პროცესები, შეამოწმონ პერფორმანსი და მოტივაცია შეკმატონ თანამშრომლებს. თუმცა, ახალი საჯარო მართვის გავლენის ერა სავარაუდოდ დასრულებილია, მთავრობები კვლავაც ცდილობენ საბაზრო მექანიზმებისა და სამართავი პრაქტიკებისა და სტრუქტურების გამოყენებას, როდესაც ეს მათ დასჭირდებათ, რაც ძალიან ხშირად ხდება.

თუმცა, უახლესი მიმართულებები საზოგადოებაში მთავრობებს აიძულებს გაუმკლავდნენ უფრო და უფრო გართულებულ სისტემებს - მოთამაშეებისა და აქციონერების რთული ქსელი, რომელიც, თუ სწორედ მოექცევით, შეუძიათ უპრეცედენტო სოციალური სარგებლის მოტანა. რაც უფრო რელევანტურია აქციონერი მთავრობისათვის უფრო დიდი არის მათი პოტენციური მოგება. მიუხედავად ამისა, ამ ქსელების მართვა და კოორდინაცია წარმოადგენს ახალ გამოწვევას მთავრობებისათვის, რომელთაც გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობები და რესურსები. გადაწყვეტილებები ფრთხილად უნდა იქნეს მიღებული, რათა მიღწეულ იქნას სასურველი ბალანსი.

მმართველი ტანამედროვე საზოგადოებების რთული ხასიათიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი რომ კარგი მმართველობის შემოწმებას ესაჭიროება ამდენი მაჩვენებელი. ეს დამოკიდებულია შემფასებელზე, თუ რის გათვალისწინებას გადაწყვიტავს იგი და რა მნიშვნელობას მიანიჭებს თითოეულ მათგანს. ჩვენ შევქმენით კარგი მმართველობის შესაფასებელი მოდელი, რომელიც შედგება უმეტესი ხელუვნური მაჩვენებლებისაგან და რომ გვჯერა რომ ისინი გვიჩვენებენ ქვეყნის ინსტიტუტების ნამდვილ ხარისხს, რომელთაც დიდად შეგვიძლია მივენდოთ. სანამ მოდელს შემოგთავაზებდეთ ჩვენ გვჭირდება მის გამოყენებაზე რამოდენიმე კომენტარის გაკეთება.

თავი 5: კარგი მმართველობის პრაქტიკაში გაზომვის მოდელები

როგორც ყველა მოდელთან მიმართებაში, უნდა გახდეს ნათელი, რომ იმას რასაც მაჩვენებლები გვიჩვენებს აუცილებლად არ არის ზუსტი რეალობის ამსახველი სურათი.

სიზუსტედიდად დამოკიდებულია შენატანების ხარისხზე ანუ მონაცემების ხარისა და იმაზე თუ როგორ ამუშავებენ მათ ანალიტიკოსები. ჩვენ შევეცადეთ, რომ რაც შეიძლება იოლი გაგვხადა ანალიტიკოსებისათვის აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მაჩვენებლებსა და გამოთვლასთან მიმართებაში. თითო მაჩვენებელს ჩვენ თან დავურთეთ განმარტებითი შენიშვნა ისე, რომ ანალიტიკოსისთვის ცნობილი ყოფილიყო ზუსტად როგორ ემუშავა მოცემულ მაჩვენებელთან და სად ეძებნა საჭირო მონაცემები საჭიროების შემთხვევაში.

ჩვენ გვინდოდა შევხებოდით ქულებისა და მაჩვენებლების შედარებითობის საკითხს. იმისათვის, რომ გაიგოთ საზომის შედეგები, საჭიროა რაიმე სახის ნიშნული, რომელსაც შეგვიძლია შევადაროთ ჩვენი შედეგები. ჩვენს შემთხვევაში, ნიშნული შეიძლება იყოს შედეგები სხვა ქვეყნებისთვის, ისტორიული საფუძველი ან წინა შედეგები. ქვემოთ თქვენ ხედავთ მაგალითს თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე ქვეყნის ხარისხობრივი შეფასება. ზემოაღნიშნული მმართველობის პროგრესის პარადიგმა წარმოდგენილი მათი ყველაზე ღირსშესანიშნავი დამახასიათებელი ნიშნით შეფასებულია თითო ქვეყნისთვის და შემდეგ წარმოსახული და შედარებულია მათ თანასწორ ქვეყნებთან.

NWS	ბრიტანეთი	საფრანგეთი	დანია	ჩეხეთი
ადმინისტრაციული სტრუქტურების როლის გაძლიერება/რეინტეგრაცია	✗	✓	✓	✓
სამოქალაქო მომსახურების უმაღლესი სასწავლებელი/სასწავლო პროგრამები	✓	✓	✓	✗
პროფესიონალიზმი და დეპოლიტიზაცია	✗	✓	✓	✗
კლიენტზე ორიენტირებული. /მოქალაქეთა მიმართ მეგობრული	✓	✓	✓	✗

წყარო: პეტრ ვიცი CESES-დან, ჩეხეთის რესპუბლიკა

შემდეგი გრაფები გამოხატავს ზემოხსენებული მართვის რეჟიმთან ასოცირებულ ინდივიდუალური ზღვარის პროგრესის შეფასებას. შეფასებები ეფუძნება ინდივიდუალური ხელისუფლების პოლიტიკის შეფასებას.

პირველ რიგში, ანალიტიკოსი აფასებს არის თუ არა დაკავშირებული თემა საჯარო პოლიტიკის სფეროში რაიმე ფორმით წარმოდგენილი. ამის შემდეგ, ის ხელისუფლების კანონმდებლობას უყურებს და აფასებს არის თუ არა მოცემული დამახასიათებელი ნიშანი შესაბამის კანონებში გათვალისწინებული (ზემოთ მოცემული ცხრილი). ამის შემდგომ, უბრალო სკალა (ზემოთ მოცემული) არის გამოყენებული, რათა შეფასდეს რა ზომით განხორციელდა შესაბამისი ზომების იმპლემენტაცია. ღირებულებები, რომლებიც წარმოდგენილია ფერებით ასახავს მოცემული დამახასიათებელი ნიშნის ინტენსიურობას სახელისუფლებო რეფორმების პროცესში და ცხრილები მთლიანად გვიჩვენებს რომელი შთაგონების ნაკადი იყო ფართოდ გავრცელებული ქვეყნის რეფორმების ძალისხმევით.

შკალა

დასრულებული		2
ნახევრად დასრულებული		1
დაუსრულებელი		0

წყარო: პეტრ ვიცი CESES-დან, ჩეხეთის რესპუბლიკა

NWS	დიდი ბრიტანეთი	საფრანგეთი	დანია	ჩეხეთი
ადმინისტრაციული სტრუქტურების როლის გაძლიერება/რეინტეგრაცია	Red	Green	Yellow	Yellow
სამოქალაქო სამსახურის აკადემია/მოსამზადებელი პროგრამები	Yellow	Green	Yellow	Red
პროფესიონალიზაცია და პოლიტიზირება	Green	Green	Green	Yellow
კლიენტზე ორიენტირებულ/მოქალაქეზე მორგებული სერვისები	Green	Yellow	Green	Red
მოვლენის შემდეგ შეფასების მექანიზმები	Green	Yellow	Green	Yellow
მკაცრი წესები ინტერესების კონფლიქტის წინააღმდეგ	Red	Green	Green	Yellow

NPM	დიდი ბრიტანეთი	საფრანგეთი	დანია	ჩეხეთი
ბიუროკრატიზაციის ჩამორთმევა/შემცირებები/ ზომის შემცირება	Green	Red	Yellow	Red
უფლებამოსილების გადამცემი ორგანო/ძალაუფლება	Green	Red	Yellow	Red

მთავრობის შიგნით კონკურენცია	ღია	წითელი	წითელი	წითელი
აუთსორსინგი/კონტრაქტის გაცემა მხარისთვის (კერძო სექტორში)	ღია	ყვითელი	ყვითელი	ყვითელი
კერძო სექტორიდან მივლინებები	ღია	წითელი	წითელი	წითელი
შესრულების მართვა/ჯილდო	ღია	წითელი	ყვითელი	წითელი

DEG	დიდი ბრიტანეთი	საფრანგეთი	დანია	ჩეხეთი
დიდი მოცულობის მონაცემები - მონაცემების შექმნა და დაკავშირება	ღია	ყვითელი	ღია	ყვითელი
მონაცემების ხელმისაწვდომობა	ღია	წითელი	ღია	ყვითელი
ახალი ვებ 2.0 პორტალი	ღია	ყვითელი	ღია	ყვითელი
სისტემის ვიწრო გასასვლელების მოხსნა	ყვითელი	წითელი	ღია	წითელი
სოციალური მედიის გამოყენება კომუნიკაციისა და მონაცემთა შიჯრობისთვის	ღია	ყვითელი	ღია	წითელი

წყარო: პეტრ ვიცი CESES-დან, ჩეხეთის რესპუბლიკა

შემდგომი მოდელის მომხმარებლები უნდა მიაქციონ ყურადღება, რომ ეს არის კომბინაცია ინოვაციური მაჩვენებლებისა, რომლებიც შექმნილია სპეციალურად ამ პროექტისთვის. როგორც ასეთი, ეს არ ყოფილა გამოყენებული მიმდინარე ფორმით და კომპოზიციით სხვაგან. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალი ქვეყნის შედარებისთვის ან ცალკე სომხეთის შეფასებისთვის. ეს შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე. სიმარტივისა და კარგი ორიენტაციის გულისთვის, ჩვენ გამოვყავით მაჩვენებლები სამ ნაწილად: კანონმდებლობა და საკანონმდებლო პროცესი, მთავრობის შესაძლებლობა კრიტიკულად განიხილოს იმპლემენტაცია და ადასრულო დადგენილება და საბოლოოდ გამჭვირვალობა და ელექტრონული მმართველობის ინსტრუმენტების გამოყენება. ამ მაჩვენებლების ნაკრების ბოლოში, ჩვენ ჩავსვით მარტივი ცხრილი საბოლოო შედეგების შესაფასებლად. საბოლოო ქულა უნდა იყოს გამოთვლილი, როგორც საშუალო ამ მარტივი განტოლების გამოყენებით:

$$A = \frac{1}{n} * \sum_{i=1}^n x_i$$

სადაც A არის შედეგი, n არის მაჩვენებლების რაოდენობა, რომლებსაც ჩვენ ვითვალისწინებთ და x არის თითოეული მაჩვენებლის ღირებულება იმ სიიდან, რომლის საშუალო რიცხვი იყო გამოთვლილი.

ცხრილი: სამთავრობო მაჩვენებლების მიმოხილვა

კანონმდებლობა და საკანონმდებლო პროცესი	
<i>WGI-ს მარეგულირებელი ხარისხი</i>	
0-20	0
20-40	1
40-60	2
60-80	4
80-100	6
ყურადღება მიაქციეთ: ყოველწლიური საერთო მაჩვენებლები განვითარდა და რეგულარულად ხდება მათი განახლება მსოფლიო ბანკის ექსპერტებისა და თანამშრომლების მიერ. ის გვიჩვენებს მთავრობის შესაძლებლობა შეადგინოს და განახორციელოს სწორი პოლიტიკური ხედვა და რეგულაციები. შესაბამისი მონაცემები უნდა მოძიებულ იქნას შემდეგი ვებ გვერდიდან: http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#reports	
<i>არის კონსულტაციის პროცესი საჯარო და საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებისა, როდესაც ახალი კანონი მზადდება?</i>	
არა, არასდროს	0
შეზღუდული, სპეციალურად მოწვეული, მხოლოდ უმნიშვნელო საკითხებისთვის, არავითარი გავლენა	1
დიახ, უმეტეს საკითხებზე, მაგრამ მხოლოდ ფორმალური არარეალური ეფექტით	2

ყოველთვის	4
ყოველთვის, ეს არის ნორმა, ძლიერი პარტნიორობა მნიშვნელოვანი გავლენით	6
<p>ყურადღება მიაქციეთ: ინდიკატორი არის იმისთვის, რომ შეაფასოს მოქალაქეების შესაძლებლობა გავლენა იქონიონ ახალ საკანონმდებლო წინადადებაზე, სანამ მათ ხელს მოაწერენ და კანონად გადაიქცევიან. ის გვიჩვენებს თუ რამდენად არის ერთობლივი ქსელის მიდგომა მთავრობის პრაქტიკაში.</p>	
<p>საჭიროებს მნიშვნელოვანი სახელისუფლებლო საკანონმდებლო წინადადებები რეგულირების გავლენის შემფასებლის (RIA) შეფასებისგავლასა და ნებისმიერი სხვა ყოვლისმომცველი მოსალოდნელ შეფასებას მანამ სანამ მათ წამოაყენებენ?</p>	
არა	0
დიახ	6
<p>ყურადღება მიაქციეთ: იმისათვის, რომ შეფასდეს შემფასებლის მიერ კანონის ხარისხის ძირითადი მოსალოდნელი მაჩვენებელი მათი ფართო მარეგულირებელი გავლენის თვალსაზრისით. ფართოდ გამოიყენება განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში, რომ RIA აიძულებს კანონმდებლებს გაითვალისწინონ მთელი რიგი გავლენებისა, რომლებსაც შეიძლება ახალი კანონმდებლობის ნაწილს ჰქონდეს გავლენა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში. არსებობს უამრავი დაკავშირებული პროცედურა, როგორცაა კორუფციის შედეგების შეფასება (CIA) ან გარემო პირობების შედეგების შეფასება (EIA). ამ მექანიზმების არსი არის ის რომ კანონები გახადოს რაც შეიძლება მომავალზე ორიენტირებული, ყოვლისმომცველი და სათანადოდ გააზრებული, რათა თავიდან აიცილოს არასასურველ ახალ კანონების გვერდითი მოვლენები და სასწრაფო ცვლილებების საჭიროება.</p>	
<p>მთავრობის უნარი მიიღოს წამყვანი კანონმდებლობა პარლამენტის მეშვეობით</p>	
არც ერთი წამყვანი კანონმდებლობა არ მიღებულა	0
1/3-მდე კანონმდებლობა იყო მიღებული	1
1/2-მდე კანონმდებლობა იყო მიღებული	2
3/4-მდე კანონმდებლობა იყო მიღებული	4
ყველა განზრახული კანონმდებლობა მიიღეს	6
<p>ყურადღება მიაქციეთ: იმისათვის, რომ შემფასებელმა შეაფასოს. მთავრობის მუშაობის მიმოხილვაზე და საკანონმდებლო პროცესის შედეგების დაყრდნობით. მთავრობის მართვის ძირითადი მაჩვენებელი.</p>	
<p>სამთავრობო პოლიტიკის გამძლეობა - რამდენად ხშირად არის მნიშვნელოვანი ცვლილებები და ცვლილებები იმის შემდეგ, როდესაც გარკვეულ პოლიტიკური კურსი გარდაიქმნა კანონად?</p>	
ძალიან ხშირად	0
ნაკლებად ხშირად	1
გარკვეულწილად ხშირად	2
შედარებით იშვიათად	4
ძალიან იშვიათად	6
<p>ყურადღება მიაქციეთ: სხვა სიტყვებით; რამდენად სტაბილურია საერთო პოლიტიკური გარემო,</p>	

სამთავრობო პოლიტიკა და ქვეყნის საერთო მართვის პარადიგმა? არსებობს ხშირი ცვლილება მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო სტრატეგის? ამას სავარაუდოდ უარყოფითი გავლენა ექნება ეკონომიკაზე, რადგან ეს იწვევს მოკლევადიანობას და მთავრობის და წესების ნაკლებად პროგნოზირებადობას.	
რამდენად დიდია თანხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მთავრობის პოლიტიკას შორის?	
არ არის თანხვედრა	0
1/2 თანხვედრა	1
1/3 თანხვედრა	2
3/4 თანხვედრა	4
მთლიანი თანხვედრა	6
<p>ყურადღება მიაქციეთ:</p> <p>რათა შემფასებელმა შეაფასოს. ეს მაჩვენებელი ფაქტიურად აჩვენებს, თუ რამდენად შეესაბამება მთავრობის დებულებები იმას თუ რას მიიჩნევენ დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები საჭირო ზომებად. არასამთავრობო ორგანიზაციების აზრი შეიძლება ყოველთვის არ ასახავს საზოგადოების აზრს, მაგრამ ხშირად ეფუძნება მთელს მსოფლიოდან საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს.</p>	
კრიტიკული განხილვა მთავრობის მიერ დადგენილების იმპლემენტაციისა და მისი მოქმედებაში მოყვანა	
WGI მთავრობის ეფექტურობის მაჩვენებელი	
0-20	0
20-40	1
40-60	2
60-80	4
80-100	6
<p>ყურადღება მიაქციეთ:</p> <p>ყოველსომომცველი საერთო მაჩვენებელი განვითარებულია და რეგულარულად ხდება მისი განახლება მსოფლიო ბანკის ექსპერტების და თანამშრომლების მიერ. ის ასახავს მოქალაქეების მომსახურების ხარისხის შეცნობას, სამოქალაქო სამსახურის ხარისხსა და მის პოლიტიკური ზეწოლისგან დამოუკიდებლობის სტადიას, პოლიტიკის შემუშავებას ხარისხსა და იმპლემენტაციას და ასეთი პოლიტიკისადმი მთავრობის დეტერმინაციის ალბათობას. მონაცემები უნდა იყოს მოძიებული ამ ვებ გვერდზე:</p> <p>from http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#reports</p>	
საგადასახადო შერებისთვის შერების ღირებულების თანაფარდობა (ხარჯები/შემოსავლები)	
3%-მდე	0
2%-მდე	1
1,5%-მდე	2
1%-მდე	4
0,5%-მდე	6
<p>ყურადღება მიაქციეთ:</p> <p>ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურია მთავრობა საკუთარი მოქალაქეებისგან გადასახადების შეგროვებაში. რამდენია მთელი ადმინისტრაციული საგადასახადო კოლექციის ხარჯები რეალურ თანხასთან</p>	

დამოკიდებულებაში. შემფასებელი საჭიროებს მონაცემებს ფინანსთა სამინისტროდან, ეროვნული ანგარიშებიდან, ქვეყნის საგადასახადო ორგანო ან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან.	
არის სამთავრობო პოლიტიკის იმპლემენტაცია გაკონტროლებული და შეფასებული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ?(აუდიტის ოფისი)? რა კომპეტენცია გააჩნია მას?	
არ არსებობს ასეთი დაწესებულება	0
არსებობს დაწესებულება, რომლის კომპეტენციები არის მნიშვნელოვნად შეზღუდული და არის მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებული	1
არსებობს დაწესებულება, რომლის კომპეტენციები არის მნიშვნელოვნად შეზღუდული	2
არსებობს ფართო კომპეტენციის მქონე დამოუკიდებელი დაწესებულება, რომელიც გამორიცხავს გარკვეულ ხელისუფლების დონეს	4
არსებობს შეუზღუდავი იურისდიქციის მქონე დამოუკიდებელი დაწესებულება	6
<p>ყურადღება მიაქციეთ:</p> <p>ყველაზე განვითარებულმა ქვეყნებმა შემოიღეს ოფიციალური ეროვნული აუდიტორის ინსტიტუტი, რომელიც ანგარიშვალდებულია ეროვნული პარლამენტის ან სახელმწიფო მეთაურის ან უბრალოდ ხალხის წინაშე. აუდიტის ოფისი არ არის ყოველთვის მთავრობის ნაწილი, მაგრამ აქვს სამთავრობო დოკუმენტაციაზე, მონაცემებზე წვდომა და დაკისრებული აქვს თვალყურის დევნა თუ რას აკეთებს მთავრობა, რა ღირს ის და რატომ. აუდიტის ოფისის კომპეტენციები განსხვავდება ქვეყნებში.</p>	
აქვეყნებს აუდიტის ოფისი სამთავრობო პოლიტიკის შეფასების ანგარიშს?	
არა	0
დიახ	6
<p>ყურადღება მიაქციეთ:</p> <p>საჯარო სამსახურის კანონის იმპლემენტაცია ევროპულ ქვეყნებში გახდა ნორმა. არსებობს რთული კანონების კრებული, რომელიც აფუძნებს ინდივიდუალურ როლებს, უფლებამოსილებებს, მოვალეობებს და პოლიტიკოსებსა და სახელმწიფო მოქალაქეთა შორის ურთიერთობებს, და თვითონ სახელმწიფო მოქალაქეებს შორის.</p>	
საჯარო სამსახურის კანონმდებლობა მოიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც კრძალავს საჯარო მოხელეების მონაწილეობას პოლიტიკურ ნომინაციაში?	
არა	0
დიახ	6
<p>ყურადღება მიაქციეთ:</p> <p>პოლიტიკოსების მიერ საკუთარი პოლიტიკური კანდიდატებს დანიშვნის აღმოფხვრა - მეგობრების, მიმდევრებისა და მხარდამჭერების - იცავს სამოქალაქო სამსახურის ობიექტურობასა და უწყვეტობას. ეს არის მიუკერძოებელი მმართველობის ერთ-ერთი წინაპირობა.</p>	
როგორ შეაფასებდით სამოქალაქო სამსახურში დაქირავების კრიტერიუმებს პროფესიონალის და ექსპერტიზის მხრივ?	
ფორმალური კრიტერიუმები არის სუსტი, რომლებიც საშუალებას აძლევს არაკვალიფიციურ კანდიდატს მიიღოს თანამდებობა.	0
საკმაოდ სუსტი კრიტერიუმები, მაგრამ საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლება აუცილებელია.	1

საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმები ცოტა კვალიფიკაცია და გამოცდილებაა საჭირო	2
ფორმალიზებული პროცესი შექმნილი იმისათვის, რომ შემოწმდეს განმცხადებლის შესაძლებლობები და სასურველი სფეროები.	4
ძალიან კონკურენტული პროცესი, რომელიც შედგება ტესტირებისა და გასაუბრების რამდენიმე ეტაპისგან, მხოლოდ საუკეთესო გამოცდილ ექსპერტებს შეუძლიათ წარმატების მიღწევა.	6
<p>ყურადღება მიაქციეთ:</p> <p>იმისათვის, რომ შემფასებელმა შეგაფასოთ. განვითარებულ ქვეყნებში მთავრობა უფრო და უფრო მეტ აქცენტს აკეთებს ყველაზე გონებამახვილი კანდიდატების შეკრებაზე და მომზადებულია კონკურენტული სამუშაოს გასაუბრებები, სტრატეგიები და ისეთი პროცედურები, რომლებიც შეიძლება შედარდეს უდიდეს მრავალეროვნულ კომპანიებს.</p>	
საჯარო სამსახურში ხელფასები შედარებულია კერძო სექტორთან და არის საშუალო ანაზღაურება.	
ხელფასები საჯარო სამსახურში მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე კერძო სექტორში და დაბალია, ვიდრე საშუალო ანაზღაურება.	0
ხელფასები დაბალია, ვიდრე კერძო სექტორისა და ტოლია საშუალო ეროვნული ხელფასისა.	2
ხელფასები დაბალია, ვიდრე კერძო სექტორის პოზიციებთან შედარებით, მაგრამ გარკვეულწილად მაღალია, ვიდრე ეროვნული საშუალო ხელფასი.	4
ხელფასები გათანაბრებულია იმ კერძო სექტორის მსგავსი კვალიფიკაციის ხელფასებთან და უფრო მაღალია, ვიდრე ეროვნული საშუალო ხელფასი.	6
<p>ყურადღება მიაქციეთ:</p> <p>საჯარო სამსახურში ხელფასის ადეკვატურობისა და პროპორციულობის პირობა კერძო სექტორთან შედარებით არის მთავრობის შესაძლებლობა მოიზიდოს გამოცდილი კანდიდატები სამოქალაქო სამსახურში. თუ მთავრობას სურს რომ დაასაქმოს პროფესიონალები, სათანადო ექსპერტიზის ანაზღაურება საჯარო სამსახურში უნდა იყოს კონკურენტუნარიანი. ამას ასევე აქვს დიდი გავლენა კორუფციის აღმოფხვრისას საჯარო მოხელეებისთვის ფინანსური მოტივაციის მოხსნით.</p>	
რომელი საჯარო მოხელეთა ანაზღაურება არის შესრულებაზე დაფუძნებული?	
1%-მდე	0
5%-მდე	1
10%-მდე	2
15%-მდე	4
15%-ზე მეტი	6
<p>ყურადღება მიაქციეთ:</p> <p>შემფასებელს სჭირდება მთავრობის დეპარტამენტებისგან შესაბამისი გამჭრიახობა მონაცემების მიმართ. ეს მაჩვენებელი გავლენას ახდენს თუ რამდენად არის ფინანსური მოტივაციის ელემენტი საჯარო მოხელეებისთვის, რათა მიაღწიონ დანიშნულ მიზანს ეფექტურად. თავისთავად ეს მთელს სურათს არ იძლევა, მაგრამ სხვ სამთავრობო მაჩვენებლებთან კომბინაციაში შეიძლება შემოგვთავაზოს მნიშვნელოვანი გამოცნობის გასაღები.</p>	
მიმდინარე ქვეყნის რისკის კლასიფიკაციის შკალა	

6-ზე მეტი	0
5-დან 6-მდე	1
3-დან 4-მდე	2
1-დან 2-მდე	4
მაღალ შემოსავლიანი OECD ქვეყნები (უმნიშვნელო რისკი)	6
<p>ყურადღება მიაქციეთ: OECD მაჩვენებლის მიხედვით რისკის გაზომვა (მაგალითად: საინვესტიციო პირობებში ცვლილება) ფოკუსი არის მხოლოდ ეკონომიკურ და ფინანსურ მაჩვენებლებზე. ბოლო დროს უფრო მეტი პოლიტიკური მაჩვენებელია გათვალისწინებული. მონაცემები უნდა იყოს მოდიებული ამ ვებ გვერდზე: http://www.oecd.org/tad/xcred/crc.htm</p>	
ინტერესთა კონფლიქტი	
არანაირი კანონმდებლობა ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე	0
კანონმდებლობა არსებობს, მაგრამ არ მოიცავს ყველა შესაძლო შემთხვევას ან სასჯელი არ აქვს შემაკავებელი ძალა	2
არსებობს ამომწურავი კანონმდებლობა, სასჯელი არის საკმაოდ შემაკავებელი	4
აღსრულება	დიახ (x1,5) არა (x0,5)
<p>ყურადღება მიაქციეთ: შემფასებლის მიერ უნდა იყოს შეფასებული. პირველ რიგში, მან უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა ცალკე კანონმდებლობა ან შეიცავს თუ არა შესაბამის დებულებებს, მაგალითად კანონს საჯარო მომსახურების შესახებ. ამის შემდგომ, მან უნდა მოძებნოს კანონში გათვალისწინებული პოტენციური სასჯელი და შეაფასოს მისი შემაკავებელი ძალა და ეფექტი. საბოლოოდ, მან უნდა იმსჯელოს თუ რამდენად აღასრულებს მთავრობა კანონს პრაქტიკაში. თითოეულ მთავრობას სჭირდება, რომ თავიდან აიცილოს პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოხელეების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლობისთვის და ამგვარად ზიანის მიყენება საზოგადოებრივი ინტერესისთვის. ეს შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე გზით, მაგრამ ძირითადი ზომა არის ის, რომ არსებობდეს კანონმდებლობა, რომელიც პირდაპირ აკრძალავს საჯარო სამსახურის გაერთიანებას სხვა ნებისმიერ არასამეწარმეო სექტორთან. არსებობს სპეციალური შემთხვევაში მოკლევადიანი მივლინებები კერძო სექტორში, რომელსაც უნდა მიუდგინდეს ძალიან ფრთხილად. ე.წ. „მზრუნავი კარის“ ეფექტი ემუქრება საზოგადოებრივ ინტერესებს იმითი, რომ კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას გავლენა მოახდინონ ხელისუფლების ქმედებებზე და უზრუნველყოფენ მათ სენსიურ ინფორმაციას. ხელისუფლება უნდა დარწმუნდეს, რომ არსებობს საკმარისი შემაკავებელი საშუალება არასწორი ქმედებები შესაჩერებლად.</p>	
გამჭვირვალობა და მთავრობის ელექტრონული მმართველობის ინსტრუმენტების გამოყენება	
ინფორმაციის თავისუფლება - რამდენად არის სამთავრობო მონაცემები ხელმისაწვდომი მოქალაქეების მიერ საზოგადოებრივ სფეროში	

ინფორმაციის თავისუფლების აქტის გათვალისწინებით?	
ნებისმიერი სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობა მოქალაქეების მიერ მკაცრად აკრძალულია	0
ადამიანები მოკლებულნი არიან საჯარო ხელისუფლების მიერ მოწოდებულუმეტეს ინფორმაციას გარდა გარკვეული ზღვრული საკითხებისა	1
მონაცემები არის ხელმისაწვდომი, მაგრამ ისინი არ არის ყოვლისმომცველი და დამუშავებული არა-ექსპერტებისთვის	2
მონაცემები ხელმისაწვდომია შედარებით დამუშავებული ფორმით მაგრამ შუალედურ ნაბიჯს საჭიროებს	4
მონაცემები არის ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომი, ისეთ ფორმატში, რომელიც მზად არის გამოსაყენებლად	6
<p>ყურადღება მიაქციეთ:</p> <p>უნდა იყოს შეფასებული შემფასებლის მიერ. გარკვეული მონაცემების გამოქვეყნება წარმოადგენს პირველ ნაბიჯს, რომელიც ქმნის მთავრობას ნამდვილად გამჭვირვალესა და ანგარიშვალდებულს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მონაცემების ფორმა და მათი ხარისხიანი მიწოდება. იმ შემთხვევაში თუ მონაცემები არასრულია, გაუგებარი ან რთულია მათი ღირებულებების არსებობის წარმოება, მაშინ მათი არსებობა საზოგადოებრივ დარგში ახლოსაა ნულთან.</p>	
მთავრობის ონლაინ მომსახურება ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ცხოვრების მოვლენებში	
არავითარი მთავრობის ონლაინ მომსახურება არ არის ხელმისაწვდომი	0
მთავრობის ვებ გვერდები შეიცავს შეზღუდულ ინფორმაციას იმაზე თუ რა უნდა გავაკეთოთ სხვადასხვა ცხოვრებაში არსებულ სიტუაციაში, მაგრამ არ არსებობს არანაირი ვარიანტი მოქალაქეებთან ელექტრონული ურთიერთკავშირისა	1
მთავრობის ვებ გვერდები აწვდის ამომწურავ ინფორმაციას სხვადასხვა ცხოვრების სიტუაციებთან დაკავშირებით პროცედურებზე და ცოტა დახმარება არის უზრუნველყოფილი ონლაინ, მაგრამ უმეტესი სიტუაციები განხილულია პირადად ან დოკუმენტაციითა და პოსტის მეშვეობით	2
მთავრობა გვთავაზობს ციფრული ურთიერთკავშირის პლატფორმას მოქალაქეებთან ძირითად ცხოვრებისეულ მოვლენებში (სამუშაო ადგილის დაკარგვასა და მოძიებაში, სწავლაში, ბიზნესის დაწყებაში...) მაგრამ ყველა მათგანი არ არის ინტერაქტიული	4
მთავრობა სთავაზობს მთელ რიგ პლატფორმებს, რომლებიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული და მუშაობენ ერთიანად ყველა ცხოვრების მოვლენისას. ელექტრონული მომსახურება ხელმისაწვდომია უმეტეს ფორმატში, მათ შორის მობილური ტელეფონები, რომლის გამოყენებაც ძალიან ადვილია.	6
<p>ყურადღება მიაქციეთ:</p> <p>იმისათვის, რომ შევასდეს შემფასებლის მიერ საკუთარი გამოცდილების მიხედვით. ციფრული ფორმატის მინიჭება მთავრობის მომსახურებისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე და ყველაზე მნიშვნელოვან კარგი მმართველობის პრინციპების პროგრესის მაჩვენებელს. ამის მიზეზი ის არის, რომ ელექტრონულმმართველობას გადაჰყავს ურთიერთქმედება საჯარო</p>	

<p>ადმინისტრირებასა და მოქალაქეებს შორის სრულიად ახალ დონეზე-გარდაციფრული სისტემებისსაწყისიხარჯებისდა საჭირო ინფრასტრუქტურისა, ეფექტურობის დანაზოგები პოტენციურად არის დიდი. ეს ვრცელდება როგორც ხელისუფლებას ასევე კლიენტებზე (მოქალაქეებზე). პრობლემა ისაა, რომ ელექტრონული სერვისები განსხვავდება ხარისხითა და გაშუქებით. მხოლოდ ყველაზე მოწინავე ქვეყნებს აქვთ განვითარებული Web 2.0 პლატფორმების ინტეგრირებული ქსელი მოქალაქეებთან ადვილი და ეფექტური ურთიერთკავშირისთვის.</p>	
<p>მთავრობის ელექტრონული სერვისების გამოყენება მოქალაქეების მიერ: მოსახლეობის რა ნაწილს აქვს წვდომა და შესაძლებლობა მთავრობის ონლაინ მომსახურებასთან სამუშაოდ</p>	
20%-მდე	0
40%-მდე	1
60%-მდე	2
80%-მდე	4
80%-ზე მეტს	6
<p>ყურადღება მიაქციეთ: იმისათვის, რომ შეფასდეს შემფასებლის მიერ ოფიციალური სტატისტიკაზე დაყრდნობით. ერთი რამ არის მთავრობს ციფრული ფორმატის მინიჭების დონე მაგრამ სხვა რამ არის შეღწევა და შემოთავაზებაზე მოქალაქეთა პასუხი. ზოგიერთ ქვეყანაში საერთო ინტერნეტის დაფარვის და მომხმარებლების უნარების დონე შედარებით დაბალია. ამ შემთხვევაში, ხელისუფლების ყველაზე მეტი ძალისხმევა უშედეგოა. მთავრობა უნდა დარწმუნდეს რომ ციფრული ფორმატის მინიჭების დონე ემთხვევა მათი ელექტრონული მომსახურების ჩაწვდომას.</p>	
<p>უნაღდო გადახდების წილი ფინანსური ოპერაციები საერთო რაოდენობაზე</p>	
20%-მდე	0
40%-მდე	1
60%-მდე	2
80%-მდე	4
80%-ზე მეტს	6
<p>ყურადღება მიაქციეთ: მონაცემები, რომლებიც მოიპოვება სამთავრობო ან ჩვეულებრივ ანგარიშებში, როგორცააVISA MasterCard ან სამეცნიერო წყაროები. უნაღდოოპერაციებისწილი, რომელიცწარმოიშობაქვეყანაში, როგორცჩანს, მჭიდროდადაკავშირებულიკარგიმმართველობისპრინციპების მოხმარების საერთომესრულებასთან.ბარათების ფართო გამოყენებაა და სხვა ელექტრონული გადახდების მეთოდებს ნაღდი ფულის ხარჯზე აქვს დადებითი გავლენა მთელ რიგ საკითხებზე, მათ შორის გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთაზე, კორუფციისა და სხვა სახის ეკონომიკურკრიმინალზე. ეს არ არის შემთხვევითი, რომ სკანდინავიის ქვეყნებში, როგორცაა შვედეთი და დანია, რომლებსაც აქვთ ძალიან კარგი კორუფციის აღქმის მაჩვენებელი, თითქმის გაუქმდა ფულადი გადახდა უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში.</p>	
<p>კარგი მმართველობის სტატუსი/პროგრესი კარგი მმართველობის პრინციპების იმპლემენტაციაში</p>	<p>საბოლოო</p> <p>0</p>

	საშუალო ქულა
არანაირი პროგრესი, ქვეყანა არის ძალიან განუვითარებელი და საზოგადოებას აკლია ძირითადი დემოკრატიული ინსტიტუტი	0-1
ქვეყანა არის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ადრეულ ეტაპზე	2-3
ქვეყანა არის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და კარგი მმართველობის საფუძვლების განხორციელების მოწინავე ეტაპზე	3-4
ყველაზე განვითარებული ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ კარგი მმართველობის უმეტესი თვისებები	5-6

წყარო: პეტრვიცი CESES-დან, ჩეხეთის რესპუბლიკა

თავი 6: V4 ქვეყნების გამოცდილება „კარგ“ მმართველობასთან დაკავშირებით

სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი მიეძღვნა „კარგი“ მმართველობის კონცეფციის ახსნასა და მის გასაზომად არსებულ სხვადასხვა ინსტრუმენტებს. მომხმარებელმა ნათლად უნდა იცოდეს თუ რატომ არის მნიშვნელოვანი უზრუნველყოფა „კარგი“ მმართველობის პრაქტიკების პატივისცემა. კერძოდ, მათ გათვინობიერებული უნდა ჰქონდეთ თუ რა როლი შეიძლება ითამაშოს CSO-ებმა მათი მონიტორინგისათვის. თუმცა, მმართველობის სისტემის მხოლოდ დეფექტების შეფასება არ არის საკმარისი. CSO-ებმა უნდა შეაგროვონ მის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა იდეები და სტრატეგიები. მაშასადამე, მეექვსე თავი მოახდენს დემონსტრაციას თუ როგორ მუშაობდნენ ორგანიზაციები ჩეხეთის რესპუბლიკაში, უნგრეთსა და სლოვაკეთში მმართველობის დონის გასაუმჯობესებლად. ქართულმა და სომხურმა CSO-ებმა ამ მაგალითებიდან უნდა მიიღონ შთაგონება, რათა გაზარდონ საკუთარი შესაძლებლობები საკუთარ ქვეყნებში მმართველობის პრაქტიკების მონიტორინგისა და კონსოლიდაციისათვის.

შესასწავლი ქეისი: კარგი მმართველობა ჩეხეთის რესპუბლიკაში

1. გამოყენების სფერო და შეზღუდვები

აღნიშნული საქმეში აღწერილი იქნება ჩეხეთის რესპუბლიკის სხვადასხვა გარდამავალი პერიოდები, რომლებსაც ადგილი ეკავა 1989 წლის ვილვეტის რევოლუციის დროს. იგი მოკლედ აღწერს ჩეხეთის სიტუაციას ისტორიულ კონტექსტში, რის შემდეგაც ახსნილი იქნება ის დემოკრატიული ცვლილებები, რომლებიც ჩეხეთმა განიცადა კომუნისტური რეჟის დამხობის შემდგომ პირველ პერიოდში. რასაც მოყვება პირდაპირი დემორკრატიული ცვლის შეფასება, რომელიც მოხდა მას შემდეგ რაც ჩეხეთის რესპუბლიკა გადაიქცა საპარლამენტო რესპუბლიკად. აღნიშნული თავი შეაფასებს მის გზას პირდაპირ ევროკავშირის წევრობამდე და იმ შედეგებს რაც მოყვა ჩეხეთის რესპუბლიკის დემოკრატიზაციას. ჩეხეთის რესპუბლიკის სხვადასხვა მნიშვნელოვანი პერიოდების აღწერილს შემდეგ, აღნიშნული საქმის შესწავლა სრულყოფილად შეაფასებს 2013 წლის პოლიტიკურ სკანდალსა და მასზე გამოხატულ სამოქალაქო რეაქციას.

ვილვეტი რევოლუციიდან დღევანდელ დღემდე ჩეხეთის რესპუბლიკას ვერ წარმოვაჩენთ როგორც სრულყოფილ და იდეალურ მმართველობად. ბოლო 25 წლის მანძილზე ჩეხეთი ძალიან ბევრჯერ შეიცვალა და განიცადა ტრანსფორმაცია. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში მომხდარი ტრანზიციის შესწავლა მართლაც რომ შეიძლება გამოდგეს სასარგებლო. მაშასადამე, აღნიშნული საქმის შესწავლა გამოყენებს მრავალ მაგალითს, რომლებიც დიდად გამოსადეგარია, ისინი შეიძლება იყოს კარგი მმართველობის პრაქტიკებიც და ასევე შეიძლება აღმოვაჩინოთ გზები რის მიხედვითაც საზოგადოება გაუმკლავდა ცუდ მმართველობას.

2. ისტორია

ევროპის დემოკრატიზაცია

ევროპის ისტორიის განვითარებაში ჩვენ ვხედავთ მის დემოკრატიზაციის პროცესს. პირველი ტალღა ევროპამ განიცადა 1787 წლის საფრანგეთის რევოლუციასა და პირველ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, როდესაც დასავლეთისა და ცენტრალური ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ განავითარა წარმომადგენლობითი დემოკრატია (Hloušek, 2011).

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაიწყო ევროპული დემოკრატიზაციის მეორე ტალღა, როდესაც გერმანია და იტალია და ასევე სხვა პოსტ-კოლონიალური ქვეყნები გადემოკრატიულდნენ. მესამე ტალღის დაიწყო 1970-იანებში, როდესაც დაეცნენ ესპანეთის, პორტუგალიისა და საბერძნეთის მემარჯვენე დიქტატორები (Hloušek, 2011).

თხუთმეტი წლის შემდეგ, ევროპამ განიცადა უდიდესი და ყველაზე ძლიერი დემოკრატიის ტალღა, მაშინ როდესაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დაეცა კომუნისტური რეჟიმი. ყველა ზემოხსენებული ევროპული ქვეყნების დემოკრატიზაციის პროცესებიდან, ცენტრალურმა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ეს პროცესი ყველაზე მძიმედ განიცადეს. კომუნისტური რეჟიმი დაახლოებით 40 წელს გაგრძელდა. ამ პერიოდის მანძილზე, ჩვენ გავხდით არა მხოლოდ პოლიტიკური ცვლილებისა არამედ ასევე ეკონომიკის და საზოგადოების ტრანსფორმაციის მოწმენი (Hloušek, 2011).

ჩეხეთის რესპუბლიკა: ვილვეტის რევოლუცია და კომუნიზმის შემდგომი პერიოდი¹

1980-იანების ბოლოსკენ, ჩეხეთის კომუნისტური მთავრობა მიხვდა რომ იგი ძალიან მოიკოჭლებდა საქუთარი მოქალაქეებისათვის დადებულ ეკონომიკური პირობების შესრულებაში. სოციალისტური, ცენტრალურად დაგეგმილი ეკონომიკა უფრო და უფრო ველარ ახერხებდა საცხოვრებელი სტანდარტების შენარჩუნებას - გაზრდას რომ თავი დავანებოთ. ამასთან ერთად, ხალხს არ შეეძოთ საკუთარი აზრის გამოხატვა და მაშასადამე ძალიან იზოლირებული სოციალური ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ამის გარდა, საკუთარ პროფესიაში ვერანაირ ხალისს ველარ ხედავდნენ. ჩეხეთში კომუნისმის დაცემის შემდეგ, ასევე დაიწყო კულტურული და ინტელექტუალური სტაგნაცია (შეჩერება). კომუნისტების რეჟიმის ქვეშ, ტოტალიტარიანული რეჟიმი, კულტურა, მეცნიერება და ხელოვნება ემსახურებოდნენ რეჟიმის ოფიციალური იდეას. განსაკუთრებით კი, საგრძნობლად დაიწია ჰუმანიტარული სტანდარტების სფერო.

ამის გარდა, მოქალაქეები უფრო და უფრო ღიზიანდებოდნენ ერთი პარტიის მმართველობით და მოითხოვეს რომ სახელმწიფოს მიეცა მათთვის თავისუფალი და ღია

¹ ეს ნაწილი, თუმცა დამატებულია სახელმძღვანელოს მიზნით, ამოღებული: ხლოუშჩეკი, V., 2011. ჩეხეთის რესპუბლიკის ტრანსიცია დემოკრატიისაკენ. [ონლაინ]

არჩევნების შანსი, რათა გამოეხატათ საკუთარი აზრი. როდესაც 1989 წელს, სახელმწიფომ აგრესიულად უპასუხო სტუდენტების მშვიდობიან დემოსტრაციას დაიწყო ვილვეტის რევოლუცია. ჩეხეთის მთავრობის მხრიდან ძალადობის საპასუხოდ დაარსდა სამოქალაქო ფორუმი. მისი წევრები იყვნენ სტუდენტები, მსახიობები და ინტელექტუალები, რომლებიც საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამო წლების მანძილზე ზარალდებოდნენ კომუნისტური რეჟიმის დროს არსებული რეპრესიების შედეგად. სამოქალაქო ფორუმი ჩამოყალიბდა როგორც პოლიტიკური და სოციალური ცვლებების მთავარი ძალა. სამოქალაქო ფორუმის მეათე დღეს მათ ორგანიზება გაუკეთეს გენერალურ გაფიცვას, რომელმაც უჩვენა რეჟიმს რომ მოქალაქეებს სურდათ პოლიტიკური რეჟიმის ცვლა (Hloušek, 2011). მას შემდეგ რაც გახდა ნათელი რომ რეჟიმი ძალას დიდი ხანი ვეღარ შეინარჩუნებდა, მათ სწრაფად გადასცეს ძალაუფლება დემოკრატიულ ოპოზიციას.

ჩეხეთის ტრანსფორმაციამ შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. თავიდანვე ოპოზიცია აწარმოებდა დიალოგს ყოფილ კომუნისტურ მმართველობასთან, რომელმაც ყველას უჩვენა მათი არაკომპეტენტურობა და უმწობა. ბოლოს და ბოლოს კომუნისტებმა ჩუმათ მიატოვეს ბრძლის ველი. ამ დიალოგის მიზანი იყო პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობისა და დემონსტრაციების თავიდან აცილება. ასევე მნიშვნელოვანი იყო რომ ოპოზიციის რიგებში ყველა ამჟამინდელი პოლიტიკუსებს პატივისცემით უნდა მოპყრობოდნენ (Hloušek, 2011).

ახლად დამოუკიდებელ ჩეხოსლოვაკიაში სამოქალაქო ფორუმი იყო უდიდესი და ყველაზე კარგად ორგანიზებული ოპოზიცია, მაგრამ ისინი შიგნიდან არ იყვნენ გაერთიანებულნი. მთავრობას დაერქვა „ეროვნული შერიგება“, სადაც რეფორმისაკენ ორიენტირებული კომუნისტები და ოპოზიციის წარმომადგენლები გვერდიგვერდ იხდნენ: ეგრეთ წოდებული „ეროვნული გაგების მთავრობა“. სამოქალაქო მოძრაობა გახდა პოლიტიკური ტურბულენტობის პერიოდის მომსწრე და გააკეთეს ყველაფერი იმისათვის რომ თავიდან აეცილებინათ დაწყებით ეტაპზე ძალაუფლებისათვის ბრძოლა. ისინი შეეცადნენ რაც შეიძლება უფრო ზოგადი პოლიტიკური რეფორმების მიღებას. ამიტომაც მოვიდნენ კომუნისტურ პარტიას ტოლერანტულად და არ გამოაცხადეს ისინი კრიმინალებად (Hloušek, 2011).

კომუნისტური რეჟიმის მაღაჩინოსნები არ გაასამართლეს საკუთარი დანაშაულებისათვის. ამას ბევრი კამათი მოყვა. ერთის მხრივ, ეს დაეხმარა ძირითადი დემოკრატიზაციის პროცეს წინსვლაში, ყოველგვარი კომუნისტების მხრიდან ოპოზიციის გარეშე. მეორეს მხრივ, ამან წარმოქმნა სიტუაცია, სადაც კომუნისტურმა პარტიამ ვერ განიცადა რეფორმაცია. რამაც მათ საშუალება მისცა რომ დღემდე წარმოადგენდნენ ერთ ერთ უდიდეს ძალას ჩეხეთის საპარტიო სისტემაში. იგი დღემდე წარმოადგენს გარკვეულ საფრტეს, რადგანაც იგი არასოდეს არ მწყვეტია საკუთარ წარსულს და არასოდეს არ დაუნებებია თავი დემოკრატიულ კომუნისტური იდეოლოგიისათვის. ჩეხეთის საზოგადოებას ჯერ კიდევ ბოლომდე არ უგებინებია მათთვის პასუხი საკუთარი დანაშაულებისათვის (Hloušek, 2011). დღეს ჩეხეთის კომუნისტური პარტია (KSČM) ჩეხეთის პარლამენტში მესამეა სიდიდით.

ტრანსფორმაციის საწყის ფაზაზე არც მოქალაქეები და არც ახალი პოლიტიკური ელიტა არ იყვნენ ნათლად ჩამოყალიბებული სამომავლო დემოკრატიზაციის მიმართულებაზე. ჩეხოსლოვაკიაში რეჟიმის შეცვლიდან 6 თვეში ჩატარდა პირველი თავისუფალი არჩევნები. ნახევარწლიანი დაგვიანება მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ამან საშუალება მისცა ახალი მოძრაობების ჩამოყალიბებას, მიმართულებების ფორმულირებასა და პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციას.

პირველი თავისუფალი არჩევნების დაწყებამდე გატარდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი კანონი, რათა საფუძველი ჩაეყარა მშვიდ ტრანზიციას. არჩევნებამდე საჭრო იყო ახალი კანონების რატიფიკაცია, რათა მომხდარიყო საპარლამენტო და სამთავრობო ინსტიტუტების დემოკრატიზაცია. უმნიშვნელოვანესი ახალი კანონები იყო:

1. კანონი პოლიტიკურ პარტიებზე - აღნიშნულმა კანონმა განმარტა პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების სამართლებრივი მდგომარეობა; მთავარი თვისებით: პოლიტიკური პარტიების თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენცია;
2. ახალი საარჩევნო კანონი.

პირველი არჩევნების შემდეგ ახალი კანონების სერია გატარდა, რათა კანონიერ ფარგლებში ჩამჯდარიყო დემოკრატიული ტრანზიციის განხორციელება.

1. წართმეულის დაბრუნების (ანაზღაურების) კანონი – აღნიშნული კანონის მიხედვით, კომუნისტური პარტიის მიერ ჩამორთმეული ყველა ქონება უნდა დაბრუნებულიყო მის კანონიერ მესაკუთრეს ან მის შტამომავალზე;
2. კანონი პრივატიზაციის შესახებ – ტრანზიციისათვის მნიშვნელოვანი, დაგეგმილიდან საბაზრო ეკონომიკისაკენ;
3. კანონების სერია, რომლებიც შესაძლებელს ხდიდა ეკონომიკურ რეფორმას;
4. კანონპროექტი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ, რომელიც იყო ძალიან მნიშვნელოვანი, გახდა ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციის ნაწილი, მოგვიანებით კი ჩეხეთის კონსტიტუციური სისტემის;
5. საგადასახადო კანონები – მაგალითად, შემოიტანა დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), რამაც მოახდინა ჩეხოსლოვაკიის საგადასახადო სისტემის დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან ჰარმონიზაცია;
6. 1992 წლის არჩევნების შემდგომ კანონებისა და სხვა ნორმების სერია განვითარდა, რათა მომხდარიყო ფედერაციის მშვიდობიანი დაყოფა;
7. ლუსტრაციის კანონი – ძალიან მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც უკრძალავდა სახელმწიფო და საჯარო ოფისებში მუშაობას იმ ხალხს, ვინც იღებდა მონაწილეობას კომუნისტური რეჟიმის ფუნქციონირებაში; ეს მაგალითად, ეხებოდა იმ ხალხს ვინც იყვნენ საიდუმლო პოლიციის წარმომადგენლები ან კომუნისტური პარტიის მაღალჩინოსნები. ეს კანონი არ აღვევდა იმ ადამიანთა უფლებებს ვისაც ეს ეხებოდა; იგი მათ მხოლოდ ზღუდავდა სახელმწიფო აპარატში შეხვევისაგან;
8. საჭირო იყო არმიისა და პოლიციის სტატუსის დაწესება, რათა ეს ორი ძალა ყოფილიყო სამოქალაქო პოლიტიკური კონტროლის ქვეშ;
9. კანონები, რომლებიც ადგენდა წესებს თავისუფალი მედიისათვის;
10. საკონსტიტუციო სასამართლო დაემატა სასამართლო სისტემას, რომლის მიზანი იყო სახელმწიფო ორგანოების მიერ კონსტიტუციის დაცვის მონიტორინგი და ასევე კანონების გადახედვა, რათა მომხდარიყო მათი კონსტიტუციისა და მის პრინციპებთან ჰარმონიზაცია.

აღნიშნული სამართლებრივი რეფორმების შემოტანა იყო უმნიშვნელოვანესი იმისათვის რათა ჩეხეთის რესპუბლიკა ჩამოყალიბებულიყო როგორც სრულად ფუნქციონალური დემოკრატიული სახელმწიფო.

1993 წლის 1 იანვარს, ჩეხოსლავაკის ფედერაციის დაშლასთან ერთად, ჩეხეთის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია შემოვიდა ძალაში.

ჩეხეთის რესპუბლიკა, კომუნიზმისაგან გათავისუფლების შემდეგ მალევე შეიცვალა ეკონომიკური თვალსაზრისითაც. აქამდე კოლექტივიზმის ტრადიციების მატარებელ ქვეყანა კაპიტალისა და კაპიტალიზმის ნაკლებობას განიცდიდა. თუმცა, მალევე დაიწყო პრივატიზაცია. ეს ჩეხეთისათვის ნიშნავდა რომ მათ ინვესტორები საზღვარგარეთ უნდა მოეძებნათ.

ჩეხეთის რესპუბლიკა ევროკავშირის წევრობისაკენ

ჩეხეთის რესპუბლიკის კომუნიზმისაგან გათავისუფლებამ გამოიწვია მისი კაპიტალისტურ სისტემად ტრანსფორმაცია; როგორც მისი დასავლეთის ნეზობლები. მათ, და სწორადაც, სურდათ თავიანთი დემოკრატიის კონსოლიდაცია. მათ სურდათ, ასევე ევროპული ინტეგრაცია და არ უნდოდათ რომ უკან რუსეთის განვლენის ქვეშ ამოეყოთ ისევ თავი. მან 1990 წელს ხელი მოაწერა ევროპის ასოცირების დოკუმენტს. ევროკავშირმა და ნატომ ამისი გარანტიები მისცეს. ამის გარდა, ევროკავშირი ჩანდა მათთვის როგორც გზამკვლევი ეკონომიკური წარმატების უზრუნველყოფისათვის. სულ მხოლოდ, საკუთარი დამოუკიდებლობიდან 7 წელიწადში ჩეხეთის რესპუბლიკამ შეიტანა წევრობისათვის საჭირო განაცხადი.

მას შემდეგ რაც რკინის ფარდა უცბათ და მოულოდნელად გაქრა, ევროკავშირი ბევრად უფრო ნაკლებად მომზადებული აღმოჩნდა ახლად დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაწევრიანებისათვის. იგი ჯერ გერმანიის გაერთიანების საკითხს უნდა გამკლავებოდა, რაც ნიშნავდა ბევრად უფრო დარიბი 17 მილიონი აღმოსავლეთ გერმანელის მიერთებას. მაშასადამე ევროკავშირი ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებს ამხნევებდა რომ გახდარიყვნენ ევროპული ეკონომიკური სივრცის წევრები, ვიდრე ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები.

უფრო მეტიც, ევროკავშირს უკვე შექმნილი ჰქონდა ფართო ე.წ. *acquis communautaire*, კანონმდებლობების, სამართლებრივი აქტების და სასამართლო გადაწყვეტილებების გროვა, რომელთაც სახელმწიფოები უნდა დამარჩილებულიყვნენ რათა გახდარიყვნენ წევრები. იგი შექმნილი იყო რათა გაემარტივებინა ტრანზიცია, რომელიც ევროკავშირმა წამოიწყო 1994 წლის ფეარის პროგრამით (the Phare programme): რათა დახმარებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს (CEE). ფეარი წარმოადგენდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, რომლებმაც განცხადება შეიტანეს წევრობაზე, გაწევრიანებამდე პერიოდის სტრატეგიის მთავარ ფინანსურ ინსტრუმენტს. 1994 წლიდან, ფეარის დავალებებში შედიოდა თითოეული CEE-ს ქვეყნების პრიორიტეტებისა და საჭროებების დაკმაყოფილება. 2000 წელს შეცვლილ ფეარს, 2000-2006 წლებისათვის დაახლოებით 10 მილიარდიანი ბიუჯეტით (დაახლოებით 1.5 მილიარდი წელიწადში), გააჩნდა 2 მთავარი პრიორიტეტი: ინსტიტუციური და შესაძებლობების მშენებლობა და ასევე ინვესტირებული ფინანსირება (EUR-Lex, 1989).

2004 წელს, შვიდ სხვა CEE-სთან და 2 ხმელთაშუა სახელმწიფოებთან ერთად ჩეხეთის რესპუბლიკა შეუერთდა ევროკავშირს, ოღონდ ადამიანთა თავისუფალი მოძრაობისა და შენგენის ხელშეკრულებაზე რამოდენილი რეზერვაციით. გაწევრიანების ეს რაუნდი იყო უდიდესი რაც კი ევროკავშირს გამოუცდია. იმისათვის რომ აღნიშნულ გაფართოებას გამკლავებოდა ევროკავშირმა შეცვა ხმისმიცემის პროცედურები და შემოიღო კვალიფიციური უმრავლესობის ხმისმიცემის სისტემა (QMV).

3. 2013 წლის პოლიტიკური სკანდალი ჩეხეთის რესპუბლიკაში

2013 წელს, ჩეხეთის რესპუბლიკის მაღალი რანგის პოლიტიკოსების გარემო მოიცვა დაბრალებების სერიამ კორუპციასა და არასწორად მართვასთან დაკავშირებით. პრემიერ მინისტრ, პიოტრ ნეჩასს, რალათქმუნდა მოუწია პოლიტიკიდან წასვლა, მას შემდეგ რაც მის მიმართ წარმოიშვა პირდაპირი და მომხმამველი დაბრალებები. ყველაფერი დაიწყო 2013 წლის ივნისში პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძლის დანაყოფის მიერ ორგანიზებული დანაშაულის დაჯგუფებების დარბევით. სკანდალმა მოიცვა

რამოდენიმე მაღალი რანგის ოფიცერი და პოლიტიკოსი, ასევე მწარმოებლები და ლობისტები.

2013 წლის ივნისში, არასწორე საქციელისათვის და შემდგომ კი არაკანონიერად სამთავრობო კონტრაქტების გაცემის ბრალდებით დაიჭირეს პრემიერ მინისტრის რამოდენიმე ახლო მრჩეველი და თანამოაზრე, იანა ნაგიოვასა, პრემიერ მინისტრის კაბინეტის აღმასრულებელი დირექტორის და ლუბომირ პოულის, მთავრობის აპარატის დირექტორის ჩათვლით. ქ-ნი ნაგიოვა ასევე ამხილეს პარლამენტის სამი წევრის მოქრთამვაში, იგი მათ პარლამენტის დატოვების სანაცვლოდ სთავაზობდა თანამდებობებს სხვადასხვა სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ კომპანიებში. სულ მთლიანობაში, ბ-ნ ნეჩას სიახლოვეს მყოფი 8 ოფიციალური პირი იქნა დაკავებული ანტი-კორუპციულ ოპერაციაში, ეს ოპერაცია მოიცავდა ქ-ნ ნაგიოვას სატელეფონო მოსმენებსაც (Bilefsky, 2013). პოლიციის თქმით, ნაგიოვა ასევე ამხილეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში, მან ჩეხეთის სამხედრო დაზვერვის უფროსს სთხოვა პრემიერ მინისტრის ცოლის მოსმენა, ვისთანაც იგი გამორების პროცესში იმყოფებოდა. (Telegraph, 2013).

4. მმართველობა ჩეხეთის რესპუბლიკაში

გასულ წლებში არსებული მმართველობა

1989 წლის ვილვეტი რევოლუციის შედეგად, პოლიტიკური აქტივისმი ჩეხეთის რესპუბლიკაში, ძლივს გადაურჩა საჯარო ყურადღების წყალობით (Mazák, 2014). მაშინ როდესაც მათ შეძლეს, შედარებით სწრაფი დემოკრატიზაცია, მათ ვერ მოახერხეს საკუთარი მოქალაქეების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების იგივენაირად გაძლიერება. კერძოდ, რეფორმები შეჩერებულ იქნა ჩეხეთის პოლიტიკური სცენის ბუნების ხარჯზე, რომელიც დაზარალდა სწრაფი ცვლილებებით თავისი საპარლამენტო ადგილებისა: 2010 წელს 2 ახალი პოლიტიკური პარტია შევიდა პარლამენტში, რომლიდანაც 2 იყო პოსტ-კომუნისტური პარტია - მემარჯვენე სამოქალაქო დემოკრატები და სოციალ დემოკრატები - მათ დაკარგეს არსებითი რაოდენობის მანდატები და 2 პარტია - მწვანეები და ქრისტიან დემოკრატები - რომლებსაც მოუწიათ

პარლამენტის დატოვება. ერთის მხრივ, ამან ხაზი გაუსვა არასასურველი პოლიტიკოსების მიერ ძალაუფლებიდან წასვლის შესაძლებლობას. თუმცა, მეორეს მხრივ კი ამ სიტუაციამ შექმნა არჩევნებისათვის რთული სიტუაცია, რადგანაც გამოიწვია ახალი კანონმდებლობების შენელებული იმპლემენტაცია (Mazák, 2014). ამის გარდა, 2013 წელს როგორც უკვე ავღნიშნეთ, ჩეხეთი აღმოჩნდა გასვრილი უმთავრეს კოროფციულ სკანდალში, რომელშიც მონაწილეობდა თვით ყოფილი პრემიერ მინისტრი პიოტრ ნეჩასი. 2013 წლის ოქტომბრის ვადამდელი არჩევნების შედეგად პრეზიდენტ მილოს ზემანმა დანიშნა ახალი მთავრობა, ბოხუსლავ სობოტკას მეთაურობით. ჩეხეთის სოციალ დემოკრატების პარტიის მმართველი კოალიცია (ČSSD), უკმაყოფილო მოქალაქეების მოძრაობა (ANO) და ქრისტიან დემოკრატების კავშირი-ჩეხ ხალხთა პარტიამ (KDU-ČSL) შემატეს ქვეყანას უფრო პრო ევროპული პოლიტიკა (Freedom House, 2015). ნჯო-ებს ჩეხეთის რესპუბლიკაში აქვთ უფლება რომ აწარმოონ მშვიდობა, ჩამოაყალიბონ ასოციაციები და ხელი მოაწერონ პეტიციებს. თუმცა, უმეტეს ნჯო-ებს გააჩნიათ დაფინანსების პრობლემა და 2012 წელს მათგან მხოლოდ 10 % იყო სრულყოფილად აქტიური (Freedom House, 2015). ახალი სამოქალაქო კოდექსი შევიდა ძალაში 2014 წლის იანვარს, რომელმაც გამოიწვია ფუნდამენტალური შედეგები მთელს არაკომერციულ სექტორში. ასოციაციები, ფონდები და საქველმოქმედო ფონდები ახლიდან მიიღებენ დანიშნულებას და საზოგადოებისათვის საკეთილდღეო ორგანიზაციები თანდათან ჩაანაცვლებენ ეგრეთწოდებულ ინსტიტუტებს. ამავდროულად, საზოგადოებისათვის საკეთილდღეო არაკომერციული ორგანიზაციები გამოიკვეთებიან და ეტაპობრივად დაუკავშირდებიან საგადასახადო კანონმდებლობას.

მათი გავლენის გასაზრდელად, ჩეხეთის CSO-ებმა მოახდინეს საკუთარი თავის რეორგანიზაცია ალიანსებად და კავშირებად, იმ სფეროს მიხედვით, რომელშიც ოპერირებენ; აქედან გამომდინარე სფეროებში როგორცაა გარემოს დაცვა, სოციალური სამომავლოები, მოზარდები და ბავშვები; ადგილობრივი საგანვითარებლო ინიციატივები და სხვა. კერძოდ კი, უმეტესმა ორგანიზაციებმა დემოკრატიის ტრანზიციიაში მიღებული გამოცდილება გამოიყენეს როგორც ინსტრუმენტი, რათა დახვეწონ მონაწილეთა მონიტორინგისა და პროექტების იმპლემენტაციის სტრატეგიები. სხვა სამუშაოებთან ერთად CSO-ები თანამშრომლობდნენ უმცირესობებთან და მიგრანტებთან, რითიც ზრდიდნენ ცნობადობას საგანვითარებლო და მულტიკულტურულ საკიტებში და

ცვლიდნენ გამოცდილებასა და ექსპერტიზას სხვა სექტორებში მომუშავე პროფესიონალ მუშაკებთან (Anonymous, 2013).

2014 წლიდან მოყოლებული სამთავრობო რეფორმებთან დაკავშირებული პრობლემები: ANO-ს ეფექტი (უკმაყოფილო მოქალაქეების მოძრაობა)

2014 წელს მთავრობაში მოსული კოალიციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ხალხის მიერ საზოგადო ინსტიტუტების მიმართ ძირითადი დონეზე ნდობის აღდგენას, მას შემდეგ რაც მოყვა წინა მთავრობის პერიოდში მომხდარ სერიოზულ კორუფციასთან დაკავშირებულ სკანდალებს. ხალხში დიდი მოლოდინი გამოიწვია ახალმა პოლიტიკურმა პარტიამ– ANO 2011 , რომელიც დაარსდა და იმართებოდა ცენტრალური ევროპის ერთერთი იმდიდრესი ბიზნესმენის მიერ, ანდრეი ბაბისი. მისი პარტიის ძირითად ფილოსოფიას წარმოადგენდა ფინანსური კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა და მოაზრება, რომ ქვეყანა შეიძლება და უნდა იმართებოდეს როგორც კერძო კომპანია (ANO, 2013). მიუხედავად ამისა, აღნიშნული პარტია იქნა გაკრიტიკებული ბ-ნი ბაბისის აშკარა ინტერესების კონფლიქტის გამო, რომლის კომპანია, აგროფერტი რეგულარულად იღებდა მონაწილეობას რიგ სამთავრობო ტენდერებში და მოიცავს გავლენიან მედია და საგამომცემლო კომპანიებს. ბ-ნი ბაბისს მოუწია აგროფერტის აღმასრულებელი თანამდებობის დატოვება, რათა დამორჩილებოდა ინტერესტების კონფლიქტთან დაკავშირებულ კანონს და გამხდარიყო ახალი მთავრობის ფინანსთა მინისტრი. თუმცა, ბაბისი მაინც დარჩა უდიდესი კონგლომერატის ერთადერთ მფლობელად და შეინარჩუნა ძალიან დიდი გავლენა.

ბაბისის მმართველობას აღწერენ როგორც ავტორიტეტულს, რომელსაც თითქმის არ გააჩნდა ოპოზიცია საკუთარ პარტიაში, ხოლო მისი გრძელვადიანი პოლიტიკური გეგმები და ამბიციები დარჩა გაურკვეველი. ამის მიუხედავად, მინისტრობის პერიოდში მან ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა, რომლებიც კარგი მმართველობის პრინციპების დაცვით მოხდა. უმეტესი რეფორმებისა გატარდა რათა გაზრდილიყო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი:

გაყიდვების ელექტრონული რეგისტრაცია (MFCR, 2016)

- ბაზისმა გადასახების თავიდან არიდებასთან საბრძოლველად შემოიტანა სპეციალური კანონმდებლობა, რის მიხედვითაც გაყიდვების მონაცემთა ონლაინ ელექტრონული სისტემა შეიქმნა, სადაც სალარო აპარატები პირდაპირ არის შეერთებული საგადასახადო ოფისის ცენტრალურ რეგისტრაციასთან
- აღნიშნულ კანონს მემარჯვენე პოლიტიკოსება ძალიან ეწინააღმდეგებოდნენ და თვლიდნენ რომ იყო ზედმეტი ტვირთი პატარა და საშუალო ზომის წარმოებებისათვის
- ბოლოს კი მაინც დამტკიცდა დეპუტატთა პალატის მიერ 2016 წლის თებერვალში

საგადასახადო ოფისების ძალაუფლების გაზრდა

- საგადასახადო ოფისებს გაეზარდათ ძალაუფლება და მათ უკვე შეუძლიათ მოქალაქეთა საბანკო ანგარიშების ინფორმაციის ნახვა სასამართლო ნებართვის გარეშე

ფინანსური კობრა COBRA

- ახლადშექმნილი გადასახადების თავიდან არიდებასა და მასთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებთან ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი, რომელთაც გააჩნიათ კონკრეტული კომპეტენციები და გამოცდილება

ფინანსური და ქონებრივი გამომჟღავნების აქტი

- მთავრობამ გამოიტანა კანონი რის მიხედვითაც მოქალაქეები ვალდებულნი არიან რომ განაცხადონ საკუთარი ქონება და თუ როგორ შეიძინეს აღნიშნული ქონება
- შესაძლო ჯარიმა არაკანონიერად შეძენილი ქონების კონფისკაციის სახით

5. კარგი მმართველობის მაჩვენებლები ჩეხეთის რესპუბლიკაში

ხმა და ანგარიშვალდებულება

ჩეხეთის სამოქალაქო საზოგადოები არის ძალიან აქტიური და უჩვენებია ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანიზაციების შორის დიდი თამაშრომლობის უნარი. თავისუფლების სახლის მოხსენების თანახმად, აზრის გამოხატვის თავისუფლება ძლიერად არის დაცული ჩეხეთის რესპუბლიკაში. მიუხედავად რამოდენიმე მდიდარი ბიზნესმენის მიერ ტელევიზიების შეძენისა მედია შედარებით დამოუკიდებლად

ოპერირებს (Freedom House, 2015). ცენზურა დაუშვებელია. 2014 წელს ჩეხეთი მიიღო მეცამეტე ადგილი პრესის თავისუფლების ინდექსისასაგან, რაც ასახავს ჟურნალისტების, საინფორმაციო ორგანიზაციებისა და ინტერნეტ მომხმარებლების ქვეყანაში არსებულ დამოუკიდებლობის დონეს და მთავრობის მიერ ძალისხმევას, რათა უზრუნველყოს აღნიშნული თავისუფლების პატივისცემა (Reporters Without Borders, 2014). განსაკუთრებით 2013 და 2014 წლებში სხვადასხვა ანტიკორუპციული ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულმა სახელმწიფოს რეკონსტრუქციის კამპანიამ მოახერხა წარმატებას მიეღწია და გაეზარდა გამჭვირვალობა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას, ეს მოხერხდა ანტიკორუფციულ კანონმდებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოქალაქეთათვის სწორედ მიწოდების საშუალებით (SGI, 2014).

პოლიტიკური სტაბილურობა და ტერორიზმის არარსებობა

უკვე არსებული ჩეხეთის რესპუბლიკის კარგი განვითარებისა და ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ ყურადღების გათვალისწინებით სიტუაცია ჩეხეთში შედარებით სტაბილურია. იმის შესაძლებლობა რომ მთავრობაში მოხდებოდა დესტაბილიზაცია ან მისი გადაყენება არაკონსტიტუციური ან ძალადობრივი საშუალებებით, პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობისა და ტერორიზმის ჩათვლით, ძალიან პატარაა.

მთავრობის ეფექტურობა

2014 წელს მსოფლიო ბანკის მაჩვენებლების თანახმად მთავრობის ეფექტურობის მაჩვენებლები 2013 წელთან შედარებით გაიზარდა 5 %-ით (World Bank, 2015). მართლაც რომ WGI-ს ინდექსის მეთოდების მიხედვით პროცენტული მაჩვენებლები ესეთია: მსოფლიოში არსებული 213 ქვეყნის X პროცენტს გააჩნია მაგ წელს უფრო დაბალი მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მაღალ ქულას აიღებს ქვეყანა გარკვეულ მაჩვენებლებში, მით უკეთესია იგი იმ თემაში, რომელშიც მოხდა გაზომვა. კონტექსტის გარეშე უბრალოდ 5 პროცენტის მატება იქნებოდა უაზრო და არაფრის მომცემი. თუმცა, რადგანაც მან აიღო 84.6 ქულა, ეს ალბათ უნდა გავიგოთ როგორც კარგი და იმედის მომცემი ქულა.

მარეგულირებელი ხარისხი

ჩეხეთის რესპუბლიკამ განიცადა მნიშვნელოვანი პროგრესი მარეგულირებელი ხარისხის უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით საკუთარი მარეგულირებელი ეფექტის შეფასების (RIA) პროცესის გაძიერებითა და მისი ხარისხის გადახედვის გზით, დამოუკიდებელი დამკვირვებლის დაარსების მეშვეობით (OECD, 2015). მართალია სამთავრობო ოფისში არსებობს RIA-თვის მიძღვნილი ჯგუფი, მაგრამ არ არსებობს ორგანო, რომელიც იქნება პასუხისმგებელი მთელი მთავრობის მარეგულირებელ პოლიტიკაზე.

კანონის უზენაესობა

ჩეხეთის რესპუბლიკაში მართლმსაჯულების სისტემა უმეტესად დამოუკიდებელია და კანონის უზენაესობა დაცულია სამოქალაქო და სისხლისსამართლის საკითხებში. მაშინ როდესაც კორუპცია და პოლიტიკური ზეწოლა კვლავ არსებობს ძალოვან სააგენტოებში, პროკურატორის ოფისი ბოლო წლებში უფრო და უფრო დამოუკიდებელი გახდა. 2012 წელს ČSSD-ს დავიდ რატის კორუფციასთან დაკავშირებით დაპატიმრება და 2013 წლის სამთავრობო რეიდი ბევრმა დაინახა როგორც დასტური ჩეხეთში კანონის უზენაესობის გაძლიერებისა. თუმცა, რეიდის შემდეგი პერიოდი მოცულია ბრალდებების სიზუსტესთან დაკავშირებული კამათითა და მსჯავრის დადების ნაკლებობით.

2009 წლის ანტიდისკრიმინაციული აქტის თანახმად ყველა პიროვნება მიუხედავად სქესისა, რასისა, ასაკისა, შესაძებლობებისა, რწმენისა და სექსუალური ორიენტაციის უნდა იყვნენ თანაბარუფლებიანები. თუმცა, რომას (ციგნები) საზოგადოების წევრების ცუდად მოპყრობა და სამუშაო ბაზარზე დისკრიმინაცია კვლავაც გრძელდება, ისინი ცხოვრობენ უაღრესად ცუდ პირობებში და მათზე კვლავ გრძელდება მემარჯვენე ჯგუფების მხრიდან ძალადობა და მუქარა. 2014 წლის სექტემბერში, ევროპულმა კომისიამ წამოიწყო სასამართლო პროცესი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ციგანი ბავშვების დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, რომელთაც ემუქრებათ სეგრეგაცია საგანმანათლებლო სისტემაში.

კორუფციის კონტროლი

ჩეხეთის რესპუბლიკის ისტორიული მახასიათებელია არასტაბილური მთავრობა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის 20 წლის დამოუკიდებლობის ისტორიის განმავლობაში მათ

შეიცვალეს 12 კაბინეტი. ხშირად მომხდარა შიდა დავები და ასევე აღსანიშნავია რომ სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობა ძალიან დაბალი რჩება (Freedom House, 2015). კერძოდ, ჩეხეთში მაღალ დონეებზე არსებული კორუპცია ძალიან გავრცელებულია. ჩეხეთს არ გააჩნია ლობირების მარეგულირებელი სპეციფიკური კანონები და ქვეყანაში არსებული გავლენიანი ლობისტები ხშირად ახერხებდნენ სასამართლოსაგან თავის არიდებას (Freedom House, 2015). მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული პოლიტიკის შემუშავების სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას. ამასთან მიმართებაში CSO-ს კოლექტიურმა ქმედებებმა უზიდა პარლამენტს რეფორმების მეშვეობით პროცედურათა წესების შეცვლისკენ. რეფორმა გატარებულ იქნა, რაც აღმოჩნდა არალეგიტიმური საპარლამენტო ლობირებასთან საბრძოლველად უმნიშვნელოვანესი საფეხური და ბოლო მოუღო ანონიმურ კენჭისყრას. აღნიშნული ეფორმა იყო რეკონსტრუქციის სტატუს - სახელმწიფო რეკონსტრუქციის, ღია საზოგადოების ფონდის მიერ დაფინანსებული დიდი ანტი-კორუფციული კოალიცია, რომელიც შედგებოდა ყველა პოლიტიკაზე ორიენტირებული ნჯო-ებისაგან - ორ წლიანი კამპანიის შედეგი. 2012 წლიდან მოყოლებული კოალიციამ ჩაატარა მრავალი აქტივობა და ადვოკატირებდა კორუფციის საწინააღმდეგო და უფრო მეტი გამჭვირვალობისათვის საჭირო კანონების იმპლემენტაციისათვის.

6. სახელმწიფოს რეკონსტრუქცია

რამოდენიმე ჩეხური ნჯო მუშაობდა ერთად იმაზე რომ ბოლო მოეღო კურიფციისათვის, რათა აღედგინა საზოგადოებაში მთავრობისადმი ნდობა. ამ კოალიციას, რომელმაც შეკრიბა ყველაზე პოლიტიკურად ორიენტირებული ნჯო_ები და აწარმოებდა ორ წლიან ანტიკორუფციულ კამპანიას დაერქვა „სახელმწიფოს რეკონსტრუქცია“ და ფინანსდებოდა ღია საზოგადოების ფონდის მიერ. 2012 წლიდან მოყოლებული კოალიციის მიერ ჩატარებულ იქნა მრავალი აქტივობა, რათა მომხდარიყო ანტი კორუფციული და გამჭვირვალობისათვის საჭირო კანონების იმპლემენტაცია. ისინი აკრიტიკებდნენ ჩეხურ ელიტას, რომელმაც მოახერხა ქვეყნის დაპყრობა და განუწყვეტლად იყენებდნენ სახელმწიფო რესურსებს საკუთარი ინტერესებისათვის. რალათქმავუნდა საქმე მივიდა საპარლამენტო რეფორმამდე, რათა მომხდარიყო

პროცედურების წესების შეცვლა. ამან წარმოადგინა ჩეხეთის საპარლამენტი სისტემის გაუმჯობესებისათვის საჭირო უმთავრესი საფეხური წინ. თუმცა, ჯგუფს მოუწია სტრატეგიის დროებით და მცირედით შეცვლა, რათა გამკლავებოდა 2013 წლის კორუფციის სკანდალის გამოწვევებს. კონცენტრაცია გაკეთებული იყო რიგ ანტიკორუფციული წინადადებების იმპლემენტაციაზე, დაწყებული საჯარო კონტრაქტების რეგისტრაციიდან დამთავრებული პარტიის ფინანსების გამჭვირვალობით (მეცხრე წინადადების დეტალები შეგიძიათ მოიძიოთ მათ ვებ გვერდზე). რამაც გამოიწვია 9 წარმატებული ანტიკორუფციული კანონპროექტის შემოღება და უდიდესი ინფორმირების კამპანია, რომელიც იყენებდა სოციალურ მედიასაც და ტრადიციულ აგიტაციას. საზოგადო ზეწოლა აუცილებელი იყო ამ მოქმედებების წარმატებისათვის, ჩეხური საკანონმდებლო პროცესების თავისებურების გამო: კანონები, რომლებიც არ არის დამტკიცებული საარჩევნო ვადის განმავლობაში ავტომატურად არის უარყოფილი მომდევნო არჩეული პარლამენტის მიერ.


მაშინ როდესაც ძნელია ესეთ დროს გარანტირება იმისა რომ ამგვარი სიტუაციები არ იქნება გამოყენებული არალეგიტიმური მიზნებისათვის, საზოგადოებრივი ინიციატივის მთავარ მიზანს წარმოადგენს პოლიტიკური სისტემის ხარვეზების გამომწვევება, მათი რომლებიც არის “კლეპტოკრატიული” პოლიტიკური საქციელის ხელისშემწყობი. 2014 წლის ოქტომბერს, კანონპროექტი, რომელიც უმიზნებდა საჯარო სერვისის დეპოლიტიზირებას იქნა მიღებული სენატის მიერ (Freedom House, 2015). ძირითადი არჩევნების მოახლოვებისას სახელმწიფოს რეკონსტრუქციამ მოიწვია ყველა ცალკეული პარტიის წარმომადგენელი, რათა ხელი მოეწერათ სტრუქტურული რეფორმებისათვის, 9 საკანონპროექტო წინადადების ფორმით. ესენი მოიცავდა:

- 1) პოლიტიკური პარტიების გამჭვირვალედ დაფინანსება
- 2) საჯარო სამსახურის დაწყებისას აქტივების დეკლარაცია
- 3) მთავრობის და ადგილობრივი მთავრობის კონტრაქტები ინტერნეტზე
- 4) ანონიმური წილების გაუქმება
- 5) სახელმწიფო კომპანიების საბჭოებზე დანიშვნები
- 6) დამოუკიდებელი საჯარო ადმინისტრაცია
- 7) არანაირი პოლიტიკური ჩარევა გამომძიებებისას
- 8) გამჭვირვალე საკანონმდებლო პროცესი

9) უზენაესი აუდიტის სამსახურის ძალაუფლების გაზრდა

2013 წელს არჩეული პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების ნაწილმა ხელი მოაწერა ფიცს, რომლის მიხედვითაც ისინი აქტიურად ჩაებმებოდნენ ზემოჩამოთვლილი წინადადებების მიღებასა და იმპლემენტაციაში. ამჟამინდელმა მთავრობამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ისინი აპირებდნენ რომ ყოფილიყვნენ უფრო ყურადღებით სახელმწიფოს რეკონსტრუქციის (RS) მოთხოვნებისადმი. კერძოდ კი, ANO-ს პარტიამ (უკმაყოფილო მოქალაქეების მოძრაობა), მულტიმილიარდერი ანდუი ბაბისის მეთაურობით დადო პირობები, რომ რეგულარულად გაივლიდა კონსულტაციას RS-თან, რათა განეხილათ შემოთავაზებული კანონები. თუმცა, რეალობა ცოტათი უფრო რთული აღმოჩნდა და პროგრესიც უფრო ნელი. პროგრესისათვის თვალის სადევნებლად RS-მა დაიწყო მთელი საკანონმდებლო პროცესის მონიტორინგი და საკუთარ ვებ გვერდზე, ადვილად გასაგები გზით, აჩვენებს ყველა წინვლასა და წარუმატებლობას.

ნახ.:1. მიღების პროგრესი და RS-ის წინადადებების იმპლემენტაცია.



წყარო: სახელმწიფოს რეკონსტრუქცია, 2016

ზემოთ მოწოდებული გრაფიდან ნათელია რომ **RS**-ის მიერ შემოთავაზებული 9 წინადადებიდან სრულად მხოლოდ 3 იქნა მიღებული. სხვები კი გადადებულია უსაზღვრო ვადით ან პოლიტიკური ჩარევების საგნად იქცა, რამაც შეცვა მთელი მათი შინაარსი, ხოლო ზოგიერთი კანონპროექტი კი საერთოდ არეულია. 3 წინადადების წარმატების გააზრებასთან ერთად RS ასევე აკრიტიკებს რეფორმების ნელ პროგრესს. მათი დასკვნის ტანახმად, მთავრომას ურჩევნია მოქალაქეების უფრო ძლიერი კონტროლი და მათზე მაღალი სანქციები ვიდრე მთავრობისა და საკუთარი საქციელის სტრუქტურული რეფორმა (Reconstruction of the State, 2016). პირველადი რეფორმის გეგმის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა RS-ის ზოგიერთ წევრ ორგანიზაციაში იმედგაცრუება გამოიწვია, რამაც შემდგომ გამოიწვია ორგანიზაციის შეიგნით დაძაბულობა. ზოგიერთი წევრი განიცდიდა RS-ის მომავალი მიმართულებებისა და

პოლიტიკური მიდრეკილებების შესახებ. 2015 წელს, ჩეხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო გამჭვირვალობამ გამოცხადა, რომ იგი აპირებს საერთო პლატფორმის დატოვებას. ზოგიერთი სხვა ორგანიზაციები, როგორებიც არის ანტიკორუფციული ინიციატივა ბეზკორუფცე ოჟივენი, მუდმივად აფასებენ წევრობის უპირატესობებსა და ნაკლებს.

RS მუდმივად ხდება პოლიტიკური პარტიების მიმღე კრიტიკის საგანი, სავარაუდოდ ტენდენციური მოხსენებებისა და შეფასებებისათვის.

შესასწავლი ქეისი: კარგი მმართველობა უნგრეთში

1. მმართველობის ზოგადი მიმოხილვა

2010 წლის აპრილის საპარლამენტი არჩევნების შედეგად უნგრეთში პრემიერ მინისტრ ვიქტორ ორბან მეთაურობის ქვეშ მყოფი კონსერვატიული მთავრობა მოვიდა ძალაში. მან ჩამოაყალიბა კოალიცია ახალგაზრდა დემოკრატების ალიანს-უნგრეთის სამოქალაქო კავშირსა (Fidesz) დაქრისტიან დემოკრატ ხალხთა პარტიას შორის, იგი აკონტროლებდა ერთპალატიანი ეროვნული ასამბლეის ორმესამედიან უმრავლესობას (Kovacs, 2013). ორბანის კოალიციამ, 2014 წლის აპრილის საპარლამენტო არჩევნებზე მეორედ შეძლო გამარჯვება და შეინარჩუნა ორ-მესამედიანი უმრავლესობა (Kovacs, 2015). 2004 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც შევიდა ევროკავშირში, მმართველობის სიტაცია საგრძნობლად შეიცვალა. უკვე ძალიან დიდი ხანია, საერთაშორისო საზოგადოების მიერ უნგრეთი მიიჩნევა როგორც ერთ ერთი ყველაზე წარმატებული დემოკრატიისაკენ ტრანზიციის საკითხში. თუმცა, ამჟამად უნგრეთი განიცდის პოლიტიკურ ტრანსფორმაციას და გახდა სერიოზული საერთაშორისო კრიტიკის საგანი, რადგანაც ფიდეჟის მთავრობამ გააკეთა განცადება „არალიბერალური, ეროვნულ ფასეულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოს“ ჩამოყალიბების შესახებ (Gall, 2014).

თავისუფლების სახლის მიხედვით (Kovacs, 2015) საერთო დემოკრატიის შეფასება დაეცა 2004 წლის 1.96-იდან 2014-ში 3.18-მდე, სადაც 1 წარმოადგენს დემოკრატიის უმაღლეს პროგრესს და 7 კი უმდაბლესს. უფრო მეტიც, 2014 წელს მსოფლიო ბანკმა დადო დასკვნა უნგრეთში 1996 წლიდან 2014 წლამდე უნგრეთში მმართველობის დონის

განვითარებასთან დაკავშირებით ექვსი გაერთიანებული მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც აჩვენებს ბოლო ათწლეულის განმავლობაში თითოეული მაჩვენებლის გაუარესებას. თავისუფალი სახლის შეფასების სისტემის მიხედვით უნგრეთის მმართველობის გაუარესების მიზეზი შეიძლება ორ მთავარ მოვლენას დავაბრალოთ: 2006 წლის პოლიტიკური კრიზისი, რომელშიც გარეული იყო ფერენს გიურჩანის, სოციალ-დემოკრატ პრემიერ მინისტრს და ფიდეჟის პარტიის აღმავლობას, რომელმაც შემოიღო რამოდენიმე ქვეყანაში დემოკრატიის დამასუსტებელი რეფორმა.

2010 წელს, კლიმატით უკმაყოფილო, უნგრეთის საზოგადოებამ აირჩია პრემიერ მინისტრად ვიკტორ ორბანი, ვისმა პარტიამაც მოიგო პარლამენტის ორი-მესამედი. მისი არჩევიდან რამოდენიმე თვის შემდეგ მან დაიწყო ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები, რომლებიც დასრულდა 2012 წელს ახალი კონსტიტუციის შექმნით. რამდენადაც სხვადასხვა კომენტატორები აღწერენ ფიდეჟის მთავრობას როგორც ავტოკრატიულად, მის პარტიას და მთელ მის რიგ საკამათო რეფორმებს მართლაც რომ მხარს უჭერს უნგრეთის მოსახლეობის უმრავლესობა (Ziegler, 2014). მიუხედავად ამისა, ორბანის მმართველობა მხარს უჭერს კარგი მმართველობის ექვსი მაჩვენებლის საერთოდ დაცემას.

2. კარგი მმართველობის მაჩვენებლები უნგრეთში

ხმა და ანგარიშვალდებულება

კარგ მმართველობაზე მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზის მიხედვით ხმა და ანგარიშვალდებულების გაზომვამ აჩვენა მსოფლიო მაშტაბით მმართველობის მაჩვენებლების მზარდი გაუარესება, რაც დაფუძნებულია 2004 წლიდან მოყოლებული მონაცემებზე. პოლიტიკური პლურალიზმისა და მონაწილეობის შესაძებლობის არსებობის გამო უნგრეთი ჯერ კიდევ კარგ მდგომარეობაშია - გარკვეული შეფასებების მიხედვით. ანგარიშვალდებულების პრაქტიკულ მხარეში, განსაკუთრებით ჩრდილში აყენებს ამ ფიგურებს აქტივობები, რომლებიც ხდება არჩევნებსა და რეალურად არჩევნებზე მონაწილეობის შესაძებლობებს შორის.

თუმცა, ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ მონიტორინგს, უნგრეთში ოპერირების თავისუფლება გააჩნია, გარკვეული რეგულაციების შედეგად აწყდებიან წინააღმდეგობებს და ვერ აგრძელებენ ეფექტურად მუშაობას. ერთერთი ესეთი წინააღმდეგობაა საჯარო ინფორმაციის მოსაპოვებლად დაწესებული გადასახადი. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში გამოითხოვოს ინფორმაცია საჯარო ინტერესისა. პეტიცია შეიძლება იყოს ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული.

ანალოგიური საკითხი იყო საარჩევნო კანონის ცვლილება, რომლის მიზენი იყო არჩევნების დაწყება შემცირებული კანდიდატისათვის საჭირო „საჯარო რეკომენდაციების ხელმოწერებით“ და ასევე ამ კანონის თანახმად მონაწილე პარტიებს შეეძლოთ განაცხადი გაეკეთებინათ საარჩევნო კამპანიისათვის საჭირო სახელმწიფო დაფინანსებისათვის. აღნიშნული საკითხი დასრულდა 2014 წლის არჩევნებზე დიდი რაოდენობის პარტიების მონაწილეობით და ასევე მნიშვნელოვანი ფრაგმენტაცია შეიმჩნეოდა ოპოზიციის მხარდამჭერების ბაზებზე.

შეკრების თავისუფლება დომინირებს უნგრეთში, წარმოდგენილია როგორც უდიდესი და ყველაზე ეფექტური პლატფორმა ოპოზიციისათვის (საინტერესოა რომ ეს ხდება აქტიური პოლიტიკური პარტიების ჩარების გარეშე). ყველაზე დიდი ქვევიდან-ზევით ორგანიზებული დემონსტრაცია, რომელიც ჩატარებულა ვიკტორ ორბანის 2010 წელს ინაუგურაციის შემდეგ, შედგა მთავრობის მიერ მონაცემთა გამოყენებაზე დაწესებული დაგეგმილი გადასახედების წინააღმდეგ. ეგრეთ წოდებული „შიდა გადასახადები“, ხალხმა დაინახა როგორც არაპირდაპირ დაწესებული შეზღუდვა აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით. რაც შემდგომ გადაიქცა მთავრობის საწინააღმდეგო ოპოზიციურ სიმბოლოდ, რომელმაც დაუყოვნებლივი პოპულარულობის დაცემის შემდეგ ეგრევე თავი დაანება გადასახადის დაწესებას. დემონსტრაციების ჩატარება თავისუფალია, დემონსტრაციების როგორებიცაა საზოგადოებაში განხილული ბუდაპეშტის პრაიდი, კავშირის შეკრებები, ან მასიური გამოსვლები სამთავრობო კორუფციის წინააღმდეგ.

პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის არ არსებობა

2011 წელს პრემიერ მინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა: „ჩვენ შეგვიძია თამამად ვთქვათ რომ უნგრეთს გააჩნია ევროპაში ყველაზე სტაბილური მმართველობა, რაც შემდეგ წლებში გამოისახება მის უდიდეს უპირატესობაში დიპლომატიისა და ეკონომიკური პოლიტიკის წარმოებისას,“³ არასტაბილურობის ნაკლებობა, მართლაც რომ აღნიშნულ პერიოდში უნგრეთმა აჩვენა გარკვეული წინსვლა. თუმცა, სხვა დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაში, 2004 წლიდან მოყოლებული, მსოფლიო ბანკის მიერ საერთო დაანგარიშებიდან გამომდინარე მმართველობის მაჩვენებლებში აღინიშნება პოლიტიკური სტაბილურობის შემცირება.

მთავრობის ეფექტურობა

2004 წლიდან მოყოლებული მთავრობის შეცდომების რაოდენობა გაიზარდა, რამაც გამოიწვია მისი ეფექტურობის შემცირება და ასევე შეცდომების შედეგებზე ჩაჭიდება. ერთერთი ესეთი მაგალითია საგანმანათლებლო სისტემის ცენტრალიზაცია. ადგილობრივი მთავრობებისაგან ავტორიტეტის წართმევამ ევროკავშირსა და უნგრეთში არსებული ადამიანთა უფლებების ჯგუფების მხრიდან დიდი კრიტიკა გამოიწვია, მათი განცხადებით ამგვარი პოლიტიკა მიზანმიმართულია ფიდეჟის პარტიის მიერ წარმოებული ცენტრალიზაციის პოლიტიკის გასაძლიერებლად. საგანმანათლებლო პოლიტიკის ამგვარმა სისუსტემ და არასტაბილურობამ გამოიწვია პროტესტები, სადაც აცხადებდნენ რომ ამგვარი პოლიტიკა არის ქაოტური და დიდი რაოდენობით მასწავლებლებს ტოვებს გულგრილს და უიმედოდ.

მარეგულირებელი ხარისხი

ზოგი აცხადებს რომ უნგრეთის მთავრობამ ვერ მოახერხა ისეთი ხმის პოლიტიკის ფორმულირება და იმპლემენტაცია, რომელიც წააქეზებდა კერძო სექტორის განვითარებას. სინამდვილეში, მისი ეკონომიკური პოლიტიკის მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ხშირი ეკონომიკურ საკითხებში ჩარევა, რაც ხაზს უსვავს ეროვნული წარმოების გაძლიერებას და ეწინააღმდეგება უცხოურ პირდაპირ ინვესტირებას (Ágh, Bönker and Dieringer, 2014). მთლიანობაში, ფიდეჟის მთავრობამ შეზღუდა სხვადასხვა უნგრული ეკონომიკის სექტორი და სამუშაო კლასსა და

სამეწარმეო სექტორს შეუქმნა უფრო სერიოზული პრობლემები. თუმცა, უნგრეთის ცენტრალური ბანკი სათანადო სესხებს იძლევა, რათა მოხდეს, საპროცესო განაკვეთების ინფლაციასთან ახლოს მყოფი, პატარა და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსება.

კანონის უზენაესობა

2010 წლიდან, ფიდეჟის მთავრობამ გადაწყვიტა იმ სფეროების გაანალიზება, რომლებსაც ესაჭიროება სამართლებრივი რეფორმები, მაგრამ მისი ინიციატივები ჯერ კიდევ უნდა გაისინჯოს ადევატურობაზე. გატარებულ რეფორმებმა შეიძლება ხელი შეუწყოს, ნაციონალური და რელიგიური დაყოფის ეფექტებს, და წააქეზოს მთავრობის ცენტრალიზაცია.

2012 წელს დაიწერა ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც უმეტესობა კანონებს გასატარებლად სჭირდებოდათ სუპერ უმრავლესობა. შესაძლებელია რომ ამან გამოიწვიოს მომავალი მთავრობის ეფექტურობის შემცირება. დამატებით, კოვაცის მიხედვით, 2013, კონსტიტუციაში არსებული ახალი კანონმდებლობის ხარისხი ხშირად იყო დაბალი, რადგანაც ბევრი ამ კანონებისაგან იყო დაწერილი რათა დაეკმაყოფილებინა მთავრობის მოკლე ვადიანი მიზნები. (Kovacs, 2013: 248). თავიდან კონსტიტუცია დიდ როლს თამაშობდა, რათა წინ დადგომოდა მთავრობის არასასურველ გადაწყვეტილებებს, მაგრამ 2013 წლის მარტის სადავო საკონსტიტუციო ცვლილებამ კიდევ უფრო შეზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტეციები (Ágh, Bönker and Dieringer, 2014). მისი იურისდიქცია იქნა შემცირებული და უფრო მეტი ძალაუფლება მიეცა მმართველ მთავრობას.

კორუფციის კონტროლი

2011 წელს პირველად არჩევის შემდგომ ფიდეჟის მთავრობამ ვერ მოახერხა კორუფციასთან შებრძოლება, რომელიც წლების მანძილზე იყო უნგრეთის პოლიტიკის ნაწილი. ამისმაგივრად ვიქტორ ორბან აგრძელებდა სამეფო ნაცნობების მნიშვნელოვან სამთავრობო თანამდებობებზე დანიშვნას. 2012 წელს, მისი მეგობრის კომპანიას გადაეცა საჯარო კონტრაქტების უდიდესი ნაწილი, რითიც კრონიზმის რისკი რეალობად აქცია (Aron Kovacs, 2013, p. 250).

2014 წელს, ორბანის უნგრეთის პრემიერობის მეორე მანდატის დასასრულს ძალიან ბევრი ხალხი გამოვიდა ბუდაპეშტის ქუჩებში რათა გაეპროტესტებინათ უნგრეთს პოლიტიკური ელიტა, სამთავრობო კორუფცია და ანვტორიტარული ტენდენციები. 2014 წლის 18 ნოემბერს ყველას ეს დღე დაამახსოვრდა როგორც უნგრული განრისხების დღე, დაახლოებით 10,000 კაცი აპროტესტებდა კორუფციას და მთავრობისაგან და საგადასახადო მმართველობისაგან ითხოვდნენ უფრო მეტ ანგარიშვალდებულებას (Lynch, 2014).

უნგრეთის კერძო სექტორსაც ახასიათებს კორუფცია. კორპორაციების აღმასრულებელი დირექტორების დიდი ნაწილი ფიქტობს რომ კარგი პირადი კავშირები თამაშობს უდიდეს როლს უზრუნველყოფის პროცედურებში. ოლიგარხულ ელემენტებთან კერძო-საჯარო კავშირების შესახებ ცნობილ საქმეს ემახიან „აკრძალვას“, როდესაც ა.შ.შ.-ს ელჩმა ბუდაპეშტში უნგრეთის მოქალაქეს ამერიკაში შესვლაზე უარი განუცხადა. გადაწყვეტილებას საუბრულად ედო ცნობილი საჯარო მოხელის მცდელობა, რათა შეეთავაზებინა საგადასახადო უპირატესობები ამერიკული კომპანიისათვის.

3. 2014 წლის „კონფლიქტი“ უნგრულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ფიდეჟის მთავრობას შორის

უნგრეთი, როგორც ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი იღებს დაფინანსებას ბრიუსელიდან. თუმცა, ქვეყნები, რომლებიც არ არიან წევრები სარგებლობენ განსაკუთრებული სტატუსითა და პრივილეგიებით, როგორც უფრო ფართო ევროპის ეკონომიკურის სივრცის (EEA) წევრები და მარაგდებიან ფინანსური დახმარებით სხვა კანალების მეშვეობით. დაფინანსება ხდება როგორც „EEA-ს გრანტებით ასევე ნორვეგიული გრანტებითაც“, ხოლო უნგრეთი არის ერთერთი უდიდესი დახმარების მომპოვებელი. მაშასადამე, მთავრობის ინტერესშიც შედის სამოქალაქო საზოგადოებასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება.

თუმცა, ურთიერთობა დამკვირვებელ ნჯო-ებს, აღმასრულებელ ფიდეჟის მთავრობასა და გარკვეულ ადამიანთა უფლებებს შორის ხდება უფრო და უფრო დაძაბული. რამოდენიმე

გაზეთმა 2013 წელს დაბეჭდა, რომ ნორვეგიული ფონდს ფავორიტად ყავდა გარკვეული ორგანიზაციები.

კერძოდ, ნორვეგიული ფონდი სპეციალურად ირჩევდა უნგრულ ორგანიზაციებს (Ökotárs Foundation), რომლებსაც ჰქონდათ კავშირი ოპოსზიციასთან. თუმცა, აღნიშნული საკითხში საერთაშორისო საზოგადოებამ ბრალი დადო ნორვეგიას ირიბად უნგრეთის პოლიტიკაში ჩარევაში. დებატების შემდგომ, მთავრომის მიერ კონტროლირებადმა სამსახურებმა (GCO) ჩაატარეს სამი ორგანიზაციის საკუთრების ადგილზე ჩხრეკვა (ოქტარსის ფონდი, დემოკრატიული უფლებების განვითარების ფონდი – დემნე და აუტონიმის ფონდები). GCO-ს თანამშრომლებმა მოითხოვეს აუდიტორიული დომუმენტაცია, თუმცა ძალიან რთული გამოდგა მათთვის რაიმე სახის პასუხისმგებლობის დამტკიცება. ოკოტარსის ფონდი რეგულირდება და დაკვირვების ქვეშ იმყოფება ბრიუსელში დაფუძნებული საფინანსო მექანიზმის სამსახურის (FMO) მიერ, ვისაც იგი უზრუნველყოფს ფინანსურ და პროფესიულ დასკვნებს, ყველაფერს რაც ადეკვატურია.

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ: ოქოტარს

არის პოლიტიკურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს გარემოს გაუმჯობესებას და სამოქალაქო საზოგადოებასა და ძირითად ხალხში ცნობიერების გაზრდას. უმეტესად აღნიშნული ორგანიზაცია დაკავებული ადგილობრივი სამეორნეო პროექტებით, პატარა მაშტაბით. 2014 წლის მაისში, მთავრობამ დაიწყო მათი ფინანსური შემოწმებები, რადგანაც ფიქრობდნენ რომ ნორვეგიული გრანტები იყო არალეგალური და მათ დაუწესეს რიგი გადასახადები. ოქოტარსმა გაასაჩივრა უნგრეთის კონსტიტუციურ სასამართლოში და სხვა ნჯო-ებთან და ონლაინ კამპანიებთან ერთად ორგანიზება გაუკეთა საკუთარი ოფისის წინ პროტესტებს.

დემნეტი

იგი, ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების საშუალებით აძლიერებს სამოქალაქო საზოგადო ორგანიზაციებისა და სხვა საზოგადო მონაწილეების შესაძლებლობებს. იგი კონცენტრირდება CSO-ების გაძლიერებაზე. მათ უნგრეთში უფრო აქცენტი გააკეთეს

რამოდენიმე გრანტის შესაძებლობაზე, ისინი ეხმარებოდნენ და უწევდნენ კონსულტაციებს იმ ნჯო-ებს რომლებიც ეძებდნენ დაფინანსებას. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებში განჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდით შესაძებელია დამატებითი თანხების მოძიება. უფრო მეტიც, დემენტი, უნგრულ ნჯო-ებს აკავშირებდა გრძელვადიან გრანტების წყაროებთან. იგი ასევე მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების მიერ მთავრობის მონიტორინგს.

უნგრეთის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირი (HCLU)

HCLU არის უნგრეთის ადამიანთა უფლებების დამკვირვებელი, რომელიც მუშაობს ყველა პოლიტიკური ინსტიტუტისაგან დამოუკიდებლად. მისი მიზანია საერთაშორისო კონვენციებისა და უნგრეთის კონსტიტუციის მიერ დაფუძნებული ფუნდამენტალური უფლებებისა და პრინციპებისადმი პატივისცემის გამტკიცება. მთლიანობაში მისი მიზანია უნგრეთსა და CEE-ს რეგიონში სამოქალაქო საზოგადოებისა და კანონის უზენაესობის გაძლიერება. მათ მრავალჯერ მოუხდენიათ სხვადასხვა მოქმედებების ორგანიზება პოლიტიკური გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, აღსანიშნავია მათი ქმედებები საკონსტიტუციო უფლებებისა და ინფორმაციის თავისუფლების შენარჩუნებისა და უზრუნველყოფისათვის.

აუტონომიას ფონდი

იგი მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. აუტონომია ასევე მხარს უჭერს სამოქალაქო ინიციატივებს, რომლებშიც ხალხი ახდენს შესაძებელი ადგილობრივი რესურსების მობილიზებას, რათა მიაღწიონ საკუთარ მიზანს. პირდაპირი განვითარების სამუშაოების გარდა ჩვენ ასევე დაკავებული ვართ ტრეინინგებითა და კვლევებით.

კარპატოკის ფონდი

დაკავებულია ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებით, ხალხისათვის ვინც ცხოვრობენ კარპატების ევრორეგიონში. ისინი ასევე დაკავებულნი არიან რეგიონის მდგრადი განვითარებით და სოციალური, ეთნიკური, კულტურული და გარემოს ფასეულობების დაცვით.

შესასწავლი ქეისი: კარგი მმართველობა სლოვაკეთის

რესპუბლიკაში

1. მმართველობის მიმოხილვა

თავის მხრივ, სლოვაკეთის რესპუბლიკამ, სხვა ვისგრადის ქვეყნებთან ერთად, ასევე განიცადა ტრანზიციის და კომუნისტური ტოტალიტარიანული რეჟიმიდან თანამედროვე ევროპული დემოკრატიად იქცა და გახდა ევროკავშირის სრულფუნქციონირებელი წევრი. თუმცა, მას თავისი სპეციფიური გარემო გააჩნდა, რადგანაც იგი ფაქტიურად არასოდეს არ ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო 1993 წლამდე (გარდა ომის დროინდელი სლოვაკიისა). მართალია რაღაც სახის ინსტიტუტები არსებობდა წინა ფედერალური პერიოდის შემდგომ, ახალი სლოვაკეთის, ყველაფრით რაც მას ეკუთვნის ეხლა, თავიდან გამოკვეთა და დაარსება იყო საჭრო. ეს ნამდვილად აძლევდა მათ შესაძლებლობას რომ საკუთარი სურვილის მიხედვით აერჩიათ მმართველობის მოდელი.

თუმცა, მთელი რიგი მისი ხედვებისა და მომავლისა დამოუკიდებელი იყო ღრმად შეზრდილ სოციო-კულტურულ ნიმუშებზე და შეიძლება უფრო მნიშვნელოვნადაც დამოუკიდებელი იყო მისი ელიტის განზრახვებსა და თვისებებზე. როგორც სხვა აღმსავლეთ ბლოკის ქვეყნები, ახლად დემოკრატიული მთავრობები იდგნენ სერიოზული გამოწვევის წინაშე, რომ განეცალკეებინათ ყოფილი ფესვებგადგმული კომუნისტური რეჟიმისა და საიდუმლო პოლიციის წევრები საკუთარი საზოგადოებიდან. სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და ბევრი ძველი რეჟიმის წარმომადგენელი მაინც დარჩა ძალაუფლებაში, მაგალითად, ძველი სახელმწიფო აქტივების პრივატიზაციის პროცესის საშუალებით. კორუფცია და მისაკუთრება გახდა ჩვეულებრივი რაღაცა. ნაგავში გადასაყრელი ელიტები და სხვა ინსტიტუტები, რომლებიც კრიტიკტებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ინსტიტუტების მიერ, კი მონაწილეობდნენ არასწორი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებაში, რაც შემდგომ გახდა 1990-იანებში რამოდენიმე სერიოზული კორუფციისა და სკანდალის წყარო.

ამ პერიოდის განმავლობაში, ადრე არსებული გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, როგორც სხვა CEE ქვეყნებში, შეცვლილი იქნა კულისებში შეთანხმებული

ხელშეკრულებებით, არაოფიციალურად მომუშავე ძალუფლების კავშირების მეშვეობით (Sajó, 1998). სლოვაკეთის სიტუაცია შემდეგში მდგომარეობდა, ერთის მხრივ, ხდებოდა არაჯანსაღი კავშირი ბიზნეს სექტორისა და პოლიტიკურ პარტიებს შორის და მეორეს მხრივ პოლიტიკური პარტიების მიერ - უმეტესად მმართველი პარტიების მიერ - მიმდინარეობდა სერიოზული ჩარევა სახელმწიფო ბიუროკრატისა და ადმინისტრაციულ პროცესებში. (Goetz and Wollmann 2001, Meyer-Sahling 2008). აღნიშნული კავშირების გაერთანების გავლენამ და უმეტესი პოლიტიკური სისტემების არასტაბილურობამ გამოიწვია მაშტაბური კორუფცია და თანდაყოლილი მოკლევადიანი პოლიტიკის წარმართვა (Potůček, 2008). სლოვაკეთის პოლიტიკურ სისტემაში ერთპარტიული HZDS-ს ბრძანებლობამ უფრო გააუარესა ყველაფერი და სლოვაკეთი კინარამ გადააქცია იზოლირებულ და ავტორიტარულ რეჟიმად.

გარკვეული ხარისხობრივი ცვლილება გამოიწვია ახალ საუკუნესთან ერთად ახალმა კოალიციური პარტიების მიერ ოფისში HZDS შეცვლამ. ქვეყანა საბოლოოდ დადგა ევროკავშირის წევრობის გზაზე, რისთვისაც მას რიგი გრძელვადიანი რეფორმები უნდა გაეარა, რათა დაეკმაყოფილებინა მკაცრი გაწევრიანებისათვის საჭირო კრიტერიუმები. აღნიშნული რეფორმები, სხვა სიკეთეებთან ერთად, მოიცავდა სამოქალაქო სერვისის კანონების, ადგილობრივი ადმინისტრაციის აქტისა და სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას. თუმცა, ამ კანონებმა სლოვაკეთის რესპუბლიკას ფორმალურად დააკმაყოფილებინა ევროკავშირის სტანდარტები, მაგრამ დიდი გავლენა ადმინისტრაციულ კულტურასა და ქვეყანაში არსებულ ღრმად ფესვებ გადგმულ კორუფციაზე ვერ მოახდინა. როგორც ეგეთი, კანონები არ იყო საკმარისი მოქალაქეების ნადვილი ხარისხობრივი ცვლილებების შესაძლებლობაში დასარწმუნებლად (Transparency International, 2009). მთავრობის პასუხისგებაში მოყვანა ჯერ კიდევ ძალიან რთული იყო.

მხოლოდ 1998 წლის შემდეგ და განსაკუთრებით ალიანცია ფაირ ფლეისა (Fair Play alliance - AFP) და სლოვაკეთის საერთაშორისო გამჭვირვალობის დაარსების შემდეგ (TIS), როგორც 2002 წლიდან დამოუკიდებელი ორგანო, დაიწყო ცვლილებისათვის საჭირო სისტემურ ბრძოლა. პირველ ფაზაში, TIS იქნა მოწვეული, რათა მონიტორინგი გაეწია სლოვაკეთის ტელეკომისათვის, სადაც მან დაიმკვიდრა ადგილი როგორც უძიერესი

ანტიკორუფციული ძალა ქვეყანაში. AFP დაარსდა იმისათვის რათა გაეწია გამოეძიებინა ინდივიდუალური პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი. მას შემდეგ AFP-მ და TIS-მ ცალცალკე, ერთმანეთთან თანამშრომლობით ან კიდევ სხვა სპეციალიზირებულ ორგანიზაციებთან ერთად წამოიწყეს მრავალი საინტერესო ინიციატივა და პროექტი. ზოგიერთი მათგანი დაფინანსებული იყო ღია საზოგადოების ინსტიტუტის/ფონდის მიერ, რაც აღმოჩნდა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში გადამწყვეტი წყარო მრავალი მმართველობის გასაუჯობესებელი პროექტისათვის. მთავრობაზე გარდა კონსტრუქციული ზეწოლისა, რომელიც მოიცავდა ახალ წინადადებებსა და სამართლიანობის მონიტორინგს - კანონების განვითარება, მთავარი აქცენტი სლოვაკური ნჯო-ებისა იყო გაზრდილი გამჭვირვალობისათვისა და საჯარო მოხელეების პასუხისგებისათვის საჭირო ციფრული პლატფორმების განვითარება. ქვევით, ჩვენ წარმოგიდგენთ ჩვენს პროექტს, რომელმაც იქონია ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა სლოვაკეთში მმართველობის ხარისხზე.

2. პროექტები სლოვაკეთში

ოტვორენე ზმლუვი.სკ zmluvy.sk (ღია კონტრაქტები)

გაერთიანებული წამყვანი პროექტი, რომელიც შეიქმნა ყველა ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის კონტრაქტების გამოსაქვეყნებლად საჭირო ონლაინ პლატფორმის გასავითარებლად და შესანახად. იგი იყენებს მეთოდს, რომლის მიხედვითაც ხალხი თვითონ ამოწმებს მათი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილ კონტრაქტებს და თვითონ წყვიტავენ აღნიშნული კონტრაქტების მიერ მოტანილი ფულის ფასს. იგი ეყრდნობა კონტრაქტებზე, რომლებიც სლოვაკეთის მთავრობამ, 2011 წლის კანონის მიხედვით, ოფიციალურად ხელმისაწვდომი გახადა. ვებგვერდი otvorenemluby.sk აგროვებს ინდივიდუალურ საზოგადო ორგანოების მიერ გაზიარებულ კონტრაქტებს, ამოწმებს და ინახავს მათ სახემწიფოს მიერ კონტროლირებად კონტრაქტების რეგისტრატურის მსგავს ადგილას. ოფიციალურ რეგისტრზე დამატებით, otvorenemluby.sk მოქალაქეებს თავაზობს დამატებით ინსტრუმენტებს, რათა მათ შემდგომ შეძლონ ინდივიდუალურ კონტრაქტებზე კონტერის გაკეთება და მათი განხილვა. 2016 წლის თებერვლიდან ვებგვერდი შესთავაზებს ხალხს 83 მილიონი ევროს ღებულების კონტრაქტების სიას.

ღირებულება: 30000-40000 ევროს capex და ათობით ევრო წელიწადში ვებგვერდის შესანახად

მომსახურე პერსონალი: მხოლოდ ერთი წევრი, რომელიც ნახევარი დრო პასუხისმგებელი იქნება რეგულარულ განახლებასა და კვლევებზე

საჯაროდ კუთვნილი ქონება

TIS-ის მიერ განვითარებული პროექტი შექმნილია ინდივიდუალურად საჯაროდ კუთვნილი წარმოებების განჭვირვალობის შესაფასებლად. იგი მოიცავს საჯარო კომპანიების დაფებსა და სიებს, მათი გენერალური საზოგადოების მიერ კრიტიკულად განხილვის შესაძლებლობის დონის მიხედვით. ამ სიებში, შეფასებულია მათ მიერ მოწოდებული ონლაინ ინფორმაცია და მათი სურვილი, რომ უპასუხონ TIS-ს და მორიგი მოქალაქეების მიერ დასმულ შეკითხვებს. შემდგომი ანალიზები არის შესაძლებელი, სადაც შესაძარებლად მოტანილი იქნება უცხოეთის კორპორაციების ნიმუშები. ვებგვერდი ასევე წარმოგიდგენთ საჯარო კომპანიების ფინანსურ მონაცემებს.

ღირებულება: დაახლოებით 30000 ევრო

მომსახურე პერსონალი: ერთი წევრი ნახევარი განაწესით

ოტვორენე ვერეჟნე ობსტარავანიე (ღია საჯარო უზრუნველყოფა)

სლოვაკეთში TIS-ის საჯარო უზრუნველყოფაზე ინფორმაციის მედიაციის პროექტი. ვებგვერდი tender.sme.sk ინახავს და ატარებს მონაცემებს, სლოვაკეთის საჯარო მოხელეების ტენდერების ჩატარების შესახებ. მონაცემები დალაგებულია უზრუნველყოფის მოხელის, კონტრაქტორის, რეგიონისა და ტენდერის თემატიკის მიხედვით. ვებგვერდი აგებულია სლოვაკეთის წამყვანი გაზეთის SME-ს მიერ მომარაგებულ პლატფორმაზე. მონაცემები სრულიად ახალია და მზდაა შემდგომი ოპერაციებისა და ანალიზისათვის

ღირებულება: დაახლოებით 10000 ევრო ვებ დიზაინისათვის, ოპერაციები უფასოა

მომსახურე პერსონალი: 1 ნახევარ განაწესიანი თანამშრომელი, რომელიც ეძებს აფდეითებს

ოტვორენა სამოსპრავა (ღია ადგილობრივი მთავრობა)

TIS-ის პროექტის კონცენტრაცია მიმართულია ადგილობრივი მთავრობისაკენ. იგი ერთის მხრივ აფასებს ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლების ქმედებების საერთო შემსრულებლობის გამჭვირვალობასა და გახსნილობასთან დაკავშირებით, ხოლო მეორეს მხრივ მოწოდებული ინფორმაციის ხარისხს. TIS-ის თანამშრომლები სხვადასხვა სფეროებში არსებული შედარებით რთული მაჩვენებლების მიხედვით აფასებენ და შემდგომ ადგენენ სლოვაკეთის 100 უდიდესი ადგილობრივი წარმომადგენლის სიას. სფეროები დაყოფილია ადგილობრივ მმართველობაში საკუთარი გამჭვირვალობასა და კარგ მმართველობაზე მოხდენილის გავლენის მიხედვით. ეს სფეროები მოიცავს:

სფერო	ფასი
1) ინფორმაციის წვდომა	21
2) მოქალაქეთა მონაწილეობა	14.5
3) საჯარო უზრუნველყოფა	12
4) აქტივების მართვა (გაყიდვებისა და გაქირავების)	9.5
5) ბიუჯეტი	12
6) გრანტები და სუბსიდიები	7
7) განსახლება და სოციალური განსახლება	6.5
8) ადამიანური რესურსების მართვა	4.5
9) ეთიკა	6
10) სივრცული დაგეგმვა და მიწის გამოყენება	3
11) გენ. ადგილობრივი მთავრობის რისკი და ინვესტიციები	4

ღირებულება: 10000 ევრომდე capex

მომსახურე პერსონალი: კვადრატული შემოწმებები, სხვაგვარად არანაირი

Datanest.sk

AFP-მ შეიმუშავა ყოვლის მომცველი ციფრული სერვისი, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ნაკადების მონიტორინგს საჯარო სექტორსა და ბიზნეს და საჯარო ორგანიზაციებს შორის, ამავდროულად შეიცავს სამთავრობო დოკუმენტებისა და პროფესიონალური ორგანიზაციების რეგისტრს. იგი ასევე მოიცავს პოლიტიკური პარტიების, ევროპული სტრუქტურული ფონდის, საჯარო გრანტების, პრივატიზაციისა და საჯარო შესყიდვების მიმოხილვას. ზემოხსენებულ რამოდენიმე პროექტთან არსებობს გარკვეული დამთხვები. დატანესტის სამომავლო ამბიციას წარმოადგენს მთელ რიგ ინფორმაციებზე კონცენტრაცია, ინფორმაციაზე, რომელიც მოწოდებულია მსგავსი პროექტებიდან, რათა მოხდეს მათი ინტეგრაცია.

ფასი: 40000 ევროზე მეტი capex და რამოდენიმე ასეული წლის განმავლობაში

მომსახურე პერსონალი: ერთი ადამიანი; ნახევარი განაწესით

Znasichdani.sk

პროექტი, რომელიც სლოვაკეთში თვალყურს ადევნებს და გვიჩვენებს ბიზნესმენების პირად კავშირებს საჯარო შესყიდვებთან. ისინი ამისათვის ამყარებენ კავშირს ბიზნესების მფლობელებთან და სახალხო ტენდერებით აჩეულ კონტრაქტორებთან. ეს ყველაფერი ჩაწერილია datanest.sk-ის მონაცემებში და შემდგომში შეიძება გახდეს მისი განუყრელი ნაწილი.

ღირებულება: 8000 ევრომდე

მომსახურე პერსონალი: ერთი ადამიანი; ნახევარი განაწესით

Politikaopen.sk

აგროვებს და ავრცელებს ინფორმაციას სლოვაკი პოლიტიკოსების ქონებაზე, მოვალეობებზე და ვალდებულებებზე. პროექტი მუშაობს ნებაყოფლობით ფორმატში. პოლიტიკოსები, ვისაც სურთ რომ იყვნენ გამჭვირვალენი შეუძიათ წარადგინონ საკუთარი მონაცემები, საქუთარ სიმდიდრეზე, ფინანსური დასკვნის სახით, რომელიც შემდგომ გარდაიქმნება ციფრულ ფორმატში. პლატფორმის ადმინისტრატორი არ ამოწმებს პოლიტიკოსებისმიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეს, ამის შესაძლებლობა ეძლევათ თვითონ მოქალაქეებს.

ღირებულება: 15000 ევრო

მომსახურე პერსონალი: ერთი პიროვნება; ნახევარი განაწესი

Biela Vrana (თეთრი ყვავის ჯილდო)

ეს გახლავთ ჯილდო, რომელიც განკუთვნილია იმ მამაცი ადამიანებისათვის, რომლებმაც შეძეს საჯარო ინტერესების, სიმართლის და სამართლიანობის დაცვა. სიძნელეების, დისკომფორტისა და საფრთხეების მიუხედავად. პროექტის მიზანია ესეთი ხალხის გამხნეება, რათა მათ გააგრძელონ თავიანთი საქმე.

3. სლოვაკეთის მთავრობა

სლოვაკეთის მთავრობამ წამოიწყო მოქმედებები რომლებიც საჭიროა კარგი მმართველობის პრაქტიკისათვის. სამწუხაროდ, მათ ანტიკორუფციულ ზომებს აკლია ხალხისაგან რწმენა (TIS, 2009), რომელთაც სჯერათ რომ პოლიტიკოსები მხოლოდ მცირედით ერეოდნენ საკითხებში, რათა უზრუნველყოთ საკუთარი თავიდან არჩევა. თუმცა, გარკვეული მტკიცე ზომები იქნა მიღებული მთავრობის მიერ და მათმა ნდობის დონემაც აიწია ხალხში (OECD, 2013). როგორც უმეტეს სხვა CEE-ს სახელმწიფოში მოდა სლოვაკეთმაც გამოთქვა სურვილი ღია მთავრობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივაში მონაწილეობის მისაღებად, რათა გაძლიერებულიყო საკუთარი მოქალაქეთა როლი. OGP მხარს უჭერს სოციალურ და კულტურულ ცვლილებებს და უფრო ინტენსიური დიალოგის წამოწყებას, მთავრობასა და სამოქალაქო სექტორის შორის. სლოვაკთა პარტნიორობაში მონაწილეობის ზუსტი შედეგი ჯერ კიდევ შესამჩნევია.

2014 წელს, სლოვაკეთის მთავრობამ წამოიწყო ამბიციური სამოქალაქო მომსახურების რეფორმა და ამისათვის გადაწყვიტა OECD პარტნიორობა და სურვილი რომ დაეპატიჟებინათ OECD-ს ექსპერტები, რათა მათ შემდგომ მოეხდინათ სლოვაკეთი ბიუროკრატის სტატუს ქვოს შეფასება. ექსპერტმა 2015 წლის უმეტესი ნაწილი გაატარეს მთავრობის ინდივიდუალური დეპარტამენტების მონახულებასა და სლოვაკეთის საჯარო ადმინისტრაციის დაარსებაში. საბოლოო დასკვნა ანალიზს უკეთებს იმას თუ რა რეფორმებზე უნდა მოახდინოს სლოვაკეთმა კონცენტრაცია, უფრო

ფართოდ კი, ამჟამინდელი პრობლებიდან გამოსვალზე. ჯამში, რეკომენდაციები ძირითადად ორ სხვადასხვა სფეროს შეეხო:

A) სლოვაკეთის საჯარო ადმინისტრაციაში უკეთესი კოორდინაცია, რაც მოხდებოდა მთავრობაში ამისათვის სპეციალური ორგანოს შექმნით, რომელიც იქნებოდა პასუხისმგებელი იქნებოდა მთავრობის შიგნით, მისი ცენტრიდან სამინისტროებამდე და სხვა სააგენტოებში და პირიქით, ინფორმაციის დინებაზე.

B) პოლიტიკის წარმოებისა და მონიტორინგის უნარების გაძლიერება - გადაწყვეტილების მიღება უნდა იყოს უფრო სისტემატიური, რომელიც დაფუძნებული იქნება ფაქტებზე და ხმის ანალიზზე.

როგორც სხვა CEE ქვეყნებში, სლოვაკეთში კარგი მმართველობის მომავალი უმეტესად დამოკიდებულია იმაზე თუ რა სახის საზოგადოებრივი ცვლილება მოხდება და საბოლოოდ რა სახის ახალი წესრიგი გაჩნდება. როგორც ჩანს ამგვარ საქციელს ფესვები აქვს გადგმული აღნიშნული კომუნისტურ პერიოდში გაზრდილ თაობაში და რომ ძალიან მალე გაიზრდება ახალი ელიტა, რომელიც შედგება ახალგაზრდა პროგრესულად მოაზროვნე მოქალაქეებისაგან, რომელთა ქონებაწამოვა ერთმანეთში არსებული ჯანსღ კონკურენციისაგან უფრო ვიდრე კორუმპირებული ტრანზაქციებისა და ძველ სტრუქტურებში არსებული ნეპოტიზმისაგან.

ბიბლიოგრაფია

Abrahamson, P (1995) Welfare pluralism. New Haven: Edgar Elgar.

Ágh, A., Bönker, F. and Dieringer, J., (2014), 2014 Hungary Report, Sustainable Governance Indicators, available from: http://www.sgi-network.org/docs/2014/country/SGI2014_Hungary.pdf

Bilefsky, D. (2013) *Czech Ex-Premier Acknowledges Fault in Corruption Scandal*, *New York Times*. [Online]

Available at: <http://www.nytimes.com/2013/07/23/world/europe/czech-ex-premier-acknowledges-fault-in-corruption-scandal.html>

[Accessed 2016 February 04]

Daňová kobra (2016) Information on Tax cobra competences

Available from: <http://www.danovakobra.cz/tax-cobra.html>

Dojcsák, D., (2014), Constitutional Change through Euro Crisis Law: Hungary, European University Institute, available from: <http://eurocrislaw.eui.eu/country/hungary/topic/political-context/>

Dunleavy, P *et al.* (2005) “New Public Management is Dead – Long Live Digital-Era Governance”, *Journal of Public Administration Research and Theory*, September. 467-494.

Dunleavy, P and Carrera, L (2013) *Growing the productivity of government services*, Cheltenham: Edward Elgar.

EU Commission (2003) *Report from the Commission on European Governance*, Commission of the European Communities

EUR-Lex (1989) *Phare Programme*. [Online]

Available at: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=URISERV:e50004>

[Accessed 03 February 2016]

Euractiv, (2014), Hungarians accuse Orbán of stealing their pension money, available from: <http://www.euractiv.com/sections/elections/hungarians-accuse-orban-stealing-their-pension-money-310381>

Field, A. 2005 *Discovering Statistics using SPSS*, 2nd edition, London: Sage

Freedom House, (2004), *Nations in Transit*, available from:

<https://freedomhouse.org/report/nations-transit/2004/hungary>

Freedom House (2015) *Freedom House Report - Czech Republic*. [Online]

Available at: <https://freedomhouse.org/report/freedom-world/2015/czech-republic>

[Accessed 03 February 2016]

Gall, L., (2014), Dispatches: The End of Liberal Democracy in Hungary?, *Human Rights Watch*,

available from: [https://www.hrw.org/news/2014/07/29/dispatches-end-liberal-democracy-](https://www.hrw.org/news/2014/07/29/dispatches-end-liberal-democracy-hungary)

[hungary](https://www.hrw.org/news/2014/07/29/dispatches-end-liberal-democracy-hungary)

Grindle, M.S. (2010) 'Good Governance: The Inflation of an Idea', *HKS Faculty Research*

Working Paper Series, RWP10-023, John F. Kennedy School of Government, Harvard University

Hloušek, V. (2011) *The Czech Republic's Transition to Democracy*. [Online]

Available at: www.eduinitiatives.org/sites/default/files/2.%20Hloušek-

[The%20Czech%20Republics%20Transition%20to%20Democracy_1.doc](http://www.eduinitiatives.org/sites/default/files/2.%20Hloušek-The%20Czech%20Republics%20Transition%20to%20Democracy_1.doc)

[Accessed 2 February 2016]

Hood, J, Fraser, I and McGravey, N (2006) "Transparency of Risk and Reward in U.K. Public-

Private Partnerships ", *Public Budgeting and Finance*, 26, 4, 40-58.

Hui, G and Hayllar, MR (2010) "Creating Public Value in E-Government: A Public-Private-

Citizen Collaboration Framework in Web 2.0", *Australian Journal of Public Administration* 69,

S1, 120-131.

Hyden, G. Court, J. and Mease, K. (2003) 'Making Sense of Governance: The Need for Involving

Local Stakeholders', *World Governance Assessment, Shaping Policy for Development*, [online], available at: <http://www.odi.org/publications/3135-making-sense-governance-need-involving-local-stakeholders>

Joint Research Centre of the European Commission (2007) 'Quantitative vs. Qualitative Methods, Online Foresight Guide', *European Commission*, [online], available at: http://forlearn.jrc.ec.europa.eu/guide/4_methodology/meth_quanti-quali.htm

Kaufmann, D., Kraay, A. (2015) 'The Worldwide Governance Indicators (WGI) project', The World Bank, [online], available at: <http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#home>

Kaufmann, D., Kraay, A., Mastruzzi, M. (2010) 'The Worldwide Governance Indicators: Methodology and Analytical Issues', *Policy Research Working Paper*, The World Bank Development Research Group, September, [online], available at: http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1682130

Kovacs, B. A., (2013), Nations in Transit: Hungary, *Freedom House*, available from: <https://freedomhouse.org/report/nations-transit/2013/hungary>

Kovacs, B. A., (2015), Nations in Transit: Hungary, *Freedom House*, available from: <https://freedomhouse.org/report/nations-transit/2013/hungary>

Lynch, D., (2014), Hungary Public Outrage Day: 10,000 Hungarians Protest Against Corruption, *International Business Times*, available from: <http://www.ibtimes.com/hungary-public-outrage-day-10000-hungarians-protest-against-corruption-orban-1725084>

Matejova, L. (2014) 'What is More Important: Democracy or Efficiency? Case Study of Municipalities in the Czech Republic', in: Kováčik, P. (ed.) *Reflections on Good Governance in Visegrad and Beyond*, The Network of Institutes and Schools of Public Administration

Mazák, J. (2014) *Anti-Corruption NGOs Reconstruct the Czech State: A Case Study of a Joint*

Advocacy Project, Prague: s.n

Ministry of Finance of the Czech Republic, Electronic registry of sales

Available from: <http://www.mfcr.cz/cs/o-ministerstvu/odborne-studie-a-vyzkumy/2016/studie-eet-23692>

OECD (2013) 'Government at a Glance', OECD report, Available from:

http://www.keepeek.com/Digital-Asset-Management/oecd/governance/government-at-a-glance-2013_gov_glance-2013-en#page197 (Accessed on 28 January 2016).

OECD (2015) *OECD Regulatory Policy Outlook 2015*. [Online]

Available at: <http://www.oecd.org/gov/regulatory-policy/Czech%20Republic-web.pdf>

[Accessed 5 February 2016]

Osborne, S. P. (ed.) (2010) *The New Public Governance? Emerging Perspectives on the Theory and Practice of Public Governance*. London: Routledge, London.

Pollitt, B and Bouckaert, G (2011) *Public Management Reform*. Oxford: Oxford University Press.

Reconstruction of the State (2016) Dva roky vlády: Jak si vede při prosazování "rekonstrukčních" zákonů?

Available at: <http://www.rekonstrukcestatu.cz/cs/archiv-novinek/9561-dva-roky-vlady-jak-si-vede-pri-prosazovani-rekonstrukcnich-zakonu->

Reporters Without Borders (2014) *World Press Freedom Index 2014*. [Online]

Available at: <http://rsf.org/index2014/en-index2014.php#>

[Accessed 4 February 2016]

SGI (2014) *Czech Republic - Executive Accountability*. [Online]

Available at: http://www.sgi-network.org/2014/Czech_Republic/Executive_Accountability

[Accessed 4 February 2016]

Simms, M. R. (2013) The Unbearable Darkness of Czech Politics. *The Atlantic*, 14 August, pp.

<http://www.theatlantic.com/international/archive/2013/08/the-unbearable-darkness-of-czech-politics/278679/>

Telegraph, T. (2013) *Czech PM resigns amid spying and corruption scandal*. [Online]

Available at:

<http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/europe/czechrepublic/10124222/Czech-PM-resigns-amid-spying-and-corruption-scandal.html>

[Accessed 4 February 2016]

Thomas, M.A. (2010) 'What Do the Worldwide Governance Indicators Measure?', *European Journal of Development Research*, No. 22, The Johns Hopkins University, http://iis-db.stanford.edu/docs/623/Thomas_Gov_Indicators.pdf

Transparency International (2009), Fico aj Dzurinda bojovali s korupciou rovnako slabo, Press release by TI Slovakia from 18 December 2009. Available from: <http://transparency.sk/wp-content/uploads/2010/02/Tlacsprava181209prieskum.pdf>

United Nations Department of Economic and Public Affairs (2007), 'Public Governance Indicators: A Literature Review', New York, [online], available at:

<http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un/unpan027075.pdf>

United Nations Development Programme (2007) *Governance Indicators: A User's Guide*, Second Edition, UN

Vickers, P. and Offredy, M. (2010) *Developing a Healthcare Research Proposal: An Interactive Student Guide*, Willey

Williams, G. (2011) 'What makes a good governance indicator?', *Policy Practice Brief*, No. 6, January, [online], available at: <http://thepolicypractice.com/wp-content/uploads/2014/09/PolicyBrief6.pdf>

World Bank, (2014), Country Data Report for Hungary: 1996-2014, *Worldwide Governance Indicators*, available from: <http://info.worldbank.org/governance/wgi/pdf/c101.pdf>

World Bank (2015) *World Governance Indicators*, s.l.: World Bank

Ziegler, T. D., (2014), When the European moral vacuum meets Hungary's autocratic regime, *OpenDemocracy*, available from: <https://www.opendemocracy.net/can-europe-make-it/tamas-dezso-ziegler/when-european-moral-vacuum-meets-hungary%E2%80%99s-autocratic-regime>